

აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნ უ გ ზ ა რ კ ა ი შ ა უ რ ი

დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია და მისი როლი
სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში
(კოლხეთის დაბლობის რაიონების მაგალითზე)

08.00.13 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯემალ მახარაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი, 2006 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი ;

თავი I. დაშრობითი მელიორაციის პირობები და თავისებურებები საქართველოში;

- 1.1. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება ;
- 1.2. საქართველოში დაშრობითი მელიორაციის განვითარების ისტორია ;
- 1.3. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრების დადგენის აუცილებლობა ;
- 1.4. ტყის რესურსების კვლავწარმოების როლი ჭარბტენიანი მიწების დაშრობაში ;

თავი II. კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და განვითარების ტენდენციები რეტროპერსპექტივაში;

- 2.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თავისებურებანი კოლხეთის დაბლობის პირობებში ;
- 2.2. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ;
- 2.3. დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების ძირითადი მიმართულებები ;
- 2.3.1. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბების თავისებურება-

ნი ;

2.3.2. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ეკონომიკური დასაბუთება ;

თავი III. დაშრობილი მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები;

3.1. დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები ;

3.2. დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა ;

დასკვნები და წინადადებები ;

გამოყენებული ლიტერატურა ;

დანართები .

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პროექტების აქტუალურობა. საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა, მისი სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან პირობას სასურსათო უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს. ამ ფონზე ეს პრობლემა უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო მწვავედ გამოიკვეთა.

აგრარულ სექტორში არსებული რთული პრობლემები უნდა გადაწყდეს საწარმოო პოტენციალის მაღალეფექტური გამოყენების და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის დინამიკური განვითარების გზით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული და დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულად დასაბუთებული წყალსამეურნეო სამუშაოების სრულყოფილი პროგრამის შემუშავებასა და მათი პრაქტიკულად განხორციელების გზების ძიებას.

აგრარული რეფორმის პირობებში, სამელიორაციო ღონისძიებათა სისტემაში მწვავე საკითხად იკვეთება კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების ათვისება და გამოყენება. კოლხეთის დაბლობი მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების უდიდესი რეზერვია საქართველოში. ამასთან, იგი ითვლება სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების მძლავრ ბაზად და რეკრეაციული მეურნეობის გაფართოების უნიკალურ რეგიონად.

2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში მელიორირებული მიწების საერთო მოცულობიდან (1186,7 ათასი ჰექტარი) სარწყავი მიწების ხვედრითი წილი შეადგენს 39,5 %-ს ანუ 469,2 ათას ჰექტარს, დაშრობილის, შესაბამისად, – 13,7 %-ს და 162,9 ათას ჰექტარს (მ.შ. კოლხეთის დაბლობზე – 11,9 % და 140,7 ათას ჰექტ-

არს), გაწყოლოვანებული საძოვრების – 29,5 %-ს და 349,6 ათას ჰექტარს, ხოლო მლაშობი და ბიცობიანი ნიადაგების – 17,3 %-ს და 205,0 ათას ჰექტარს.

მელიორირებული მიწები ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (3023,5 ათასი ჰექტარი) 39,2 %-ია და სოფლის მეურნეობის პროდუქციის 50 %-ზე მეტს იძლეოდა (1986-1990 წლების საშუალო მონაცემებით); მ.შ.: ბოსტნეულის – 75 %, კარტოფილის – 70 %, ყურძნის – 65 %, მარცვლეულის – 50 %, ხილის – 80 % და ა.შ. ანალოგიური მაჩვენებლები კოლხეთის დაბლობის დამშრობილ მიწებზე მეტად დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამდენად, კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების დამშრობას, ათვისებას და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას ქვეყნის სამელიორაციო ღონისძიებათა კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკულად გამოყენების შედეგად კოლხეთის დაბლობის დამშრობილ მიწებზე შეიძლება დამატებით მიღებულ იქნეს: მარცვლეული – 293, ხორცი – 65,7, რძე – 189, ჩაი – 22,5 ათასი ტონა და ა.შ.

აქედან, ცხადია, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის, რომელიც კოლხეთის დაბლობის დამშრობი სისტემების რეაბილიტაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კვლევას ეძღვნება, აქტუალურობა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა. აგრარულ სექტორში სამელიორაციო ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის, ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების თეორიული და პრაქტიკული

საკითხები სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვთ მსოფლიოსა და საქართველოს გამოჩენილ მეცნიერებს, რომელთა მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა პრობლემის ბევრმა ასპექტმა, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში დაშრობილი მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები დღემდე სრულყოფილად შესწავლილი და გადაწყვეტილი არ არის. სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს აგრარული რეფორმის პირობებში კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურების სრულყოფის, მელიორაციის განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრა, ჰიდროტექნიკური, აგრომელიორაციული და აგროტექნიკური ღონისძიებების ფართო მასშტაბით განხორციელების აუცილებლობა.

ამდენად, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას, რომელიც განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის მიზანსა და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში დაშრობილი მიწების რეაბილიტაციის პირობებში ახალი ფართობების ათვისებისა და სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბების თავისებურებების, ტენდენციებისა და კანონზომიერების შესწავლის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დაისახა შემდეგი ამოცანები:

- დაშრობილი მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა, აგრარული რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

- დაშრობილი მიწების რეაბილიტაციის, სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების თავისებურებების, ტენდენციებისა და კანონზომიერების დადგენა;

- დაშრობილ რეაბილიტირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის დადგენა და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;

- დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების ეკონომიკური დასაბუთება და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზული პარამეტრების დადგენა;

- აგრარული რეფორმების პირობებში ახალი ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება და მათი სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში არსებული 24 ადმინისტრაციული რაიონი და მათი დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, მელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებების განხორციელებაში სამელიორაციო ასოციაციების ფუნქციონირების მთლიანობაში განხილვა და, აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის განვითარების საკითხებზე თანამედროვე ეკონომიკური შეხედულებები და მოსაზრებები, თეორიული ნაშრომები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებები, საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების

ბრძანებ-ულებები, დადგენილებები, განკარგულებები, სხვადასხვა კანონი, მსო- ფლიოს პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ჩამოყა-ლიბებული კონცეფციები, რეკომენდაციები და წინადადებები.

პრობლემების ცალკეული ასპექტების განხილვა-გამოკვლევას გამოყენებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი: მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საანგარიშო-კონსტრუქციული, საბალანსო, ექსტრაპოლაციის, ნორმატიული და სხვ.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ეკონომიკურ გამოკვლევას, რომელშიც კომპლექსურად არის გაანალიზებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში კოლხეთის დაბლობის სარეაბილიტაციო ფართობების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე კვლევის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

- დასაბუთებულია სარეაბილიტაციო ფართობებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის სრულყოფის წინადადებები;
- დასაბუთებულია სარეაბილიტაციო ფართობებზე ნათესი ფართობის სტრუქტურის სრულყოფის წინადადებები;
- დადგენილია დაშრობილი სავარგულების რაციონალური სტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროგნოზული პარამეტრები;

- ფასიან წყალმომსახურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა და მათი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლები;

- დადგენილია კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობები და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა;

- დადგენილია მეორად დაჭაობებას ქვემდებარე ჭარბტენიანი მიწების სალიკვიდაციოდ საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა ალტერნატიული წყაროები;

- დასაბუთებულია ჭარბტენიანი მიწების ეფექტიანად გამოყენებაში სატყეო მეურნეობის როლი და მნიშვნელობა;

- დასაბუთებულია ცალკეულ სამელიორაციო სისტემაზე არსებული სამელიორაციო ასოციაციების ფედერაციებად გაერთიანების ეკონომიკური მიზანშეწონილობა;

- დამუშავებულია დამშრობი სისტემების პრივატიზების ეტაპობრივად განხორციელების წინადადებები;

- დამუშავებულია წინადადებები სამელიორაციო სამსახურის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

კვლევის შედეგების რეალიზაცია. ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები რეკომენდაციებისა და წინადადებების სახით წარედგინა ხელმძღვანელ ორგანოებს და მიღებულ იქნა შესაბამისი სამთავრობო გადაწყვეტილებები.

დაშრობითი მელიორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებზე ავტორის გამოკვლევები გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, გამოყენებულ იქნა საქართველოს აგრო-

სამრეწველო კომპლექსებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესაბამისი განაკვეთის მომზადებისას.

ავტორი უშუალოდ მონაწილეობდა ისეთი დირექტიული დოკუმენტი-ნტების მომზადებაში, როგორცაა:

- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის 20 ბრძანებულება “მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში განხორციელებული რეფორმების პირველი ეტაპის შესახებ”;
- საქართველოს კანონი “მიწების მელიორაციის შესახებ”;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აგვისტოს 493 ბრძანებულება “ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიების შესახებ”;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 29 სექტემბრის 563 ბრძანებულება “წყალმომხმარებელთა ასოციაციების დაფუძნების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ”.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში აქტიური მონაწილეობისათვის ავტორს მადლობა აქვს გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისაგან, ხოლო 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ავტორის მიერ ჩატარებული გამოკვლევები საფუძვლად დაედო “პატარა ფოთის” პილოტპროგრამის განხორციელებას. იგი უშუალოდ მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოქმედი სამელიორაციო კოოპერატივების, ხოლო შემდგომ, წევრობაზე დაფუძნებული ირიგაცია-დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბებაში, საქართველოს ცალკეული რეგიონების სპეციფიკური პრობემების გათვალისწინებით, რეკომენდაციებს აძლევდა მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებს მელიორირებული მიწების ეფექტიანობის, სასოფლო-

სამეურნეო კულტურების გაადგილების სრულყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

პუბლიკაცია და აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახული და გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო, პრაქტიკული ხასიათის სტატიაში. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები განხილულია აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის მენეჯმენტის, ინოვაციური და ინვესტიციური ეკონომიკის და მოდელირების განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე.

ნაშრომის მოცემულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 152 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების, წინადადებებისა და დანართებისაგან. ნაშრომს თან ერთვის 133 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია და 8 ცხრილი, სქემა და რუკა, დანართის სახით.

თავი I. დაშრობითი მელიორაციის პირობები და თავისებურებები საქართველოში

1.1. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება

კოლხეთის დაბლობის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის კრიტიკული ანალიზისა და, აქედან გამომდინარე, გამოუყენებელი რეზერვების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების თა-ვისებურებათა დეტალურ შესწავლასა და გათვალისწინებას. პირველ რიგში, საჭიროა გაანალიზდეს მისი ისეთი ელემენტები, როგორცაა რელიეფი, კლიმატი, ნიადაგი, მცენარეული საფარი, წყლის რესურსები და ა.შ., რომლებიც კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასო-ფლო-სამეურნეო თავისების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის საფუძველი გახდება.

საქართველო ევრაზიის კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნა-წილში, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის სარტყლების საზღვარზე მდებარეობს. იგი მთიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰექტარი) 53 % (3683,2 ათასი ჰექტარი) მთიან ზონას უჭირავს, 33 % – მთისწინებს (2293,3 ათასი ჰექტარი), ხოლო 14 % – ვაკე ადგილებს (972,9 ათასი ჰექტარი) 14 გრადუსზე ნაკლები დახრილობით. ასეთი გეოფიზიკური მდებარეობა გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის კლი-მატურ-ნიადაგურ მდგომარეობაზე, რითაც განპირობებულია წყალჰაე-როვანი რეჟიმის რეგულირების აუცილებლობა მრავალდარგოვანი სო-ფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

ქვეყნისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა, რის გამოც, შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალი განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი და ნიადაგურ-ეკონომიკური პირობებია შექმნილი. კოლხეთის დაბლობს უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლი ესაზღვრება და ამ ზოლიდან მე-200 ჰორიზონტით შემოიფარგლება. იგი ბუნებრივ საზღვრებში 24 ადმინისტრაციული რაიონის 1924,8 ათას ჰექტარს მოიცავს, მათ შორისაა 9 ადმინისტრაციული რაიონის 225 ათას ჰექტარამდე მინერალური ჭარბტენიანი მიწები, რომლებიც ე.წ. პირობით საზღვრებად მოიაზრებოდა და საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით გამოიყოფოდა.

კოლხეთის დაბლობი, ფართო გეოგრაფიული გაგებით (ბუნებრივ საზღვრებში), წარმოადგენს ვაკეს და მოქცეულია შავ ზღვასა და დიდი და მცირე კავკასიონის ქედების განშტოებებს შორის. შორეულ წარსულში კოლხეთის დაბლობი შავი ზღვის უბე იყო, სამი მხრიდან შემოფარგლული კავკასიონითა და მისი განშტოებებით – ლიხისა და აჭარა-ახალციხის მთაგრეხილებით, და ათასეული წლების განმავლობაში ივსებოდა მათი კალთებიდან მდინარეების (სუფსა, რიონი, ხობი, ტეხური, აბაშა, ცხენისწყალი, ენგური, ლალიძგა, კოდორი და სხვ.) მიერ ჩამოტანილი ღორღითა და შლამით, რაც საუკუნეების მანძილზე ილექებოდა დაბლობზე და იწვევდა ზღვის ფსკერის აწევას. მარტო მდინარე რიონს ზღვაში ყოველწლიურად შეაქვს 10.0 მილიონამდე კუბური მეტრი შლამი.

ამრიგად, თუ კოლხეთის დაბლობს, ერთი მხრივ, მდინარე რიონის მიერ გამონარიყი მასალა ზრდის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით, მეორე მხრივ, ამ ეფექტს ანელებს საწინააღმდეგო მოვლენა – ხმელეთის საუკუნეობრივი ნელი დაწევა, რაც შავი

ზღვის ნაპირებზე ხდება და იწვევს ძლიერ დაჭაობებას, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში.

კოლხეთის დაბლობის ზედაპირი თითქმის ჰორიზონტალურია, სუსტად გამოხატული დაქანებით ზღვისკენ. უმნიშვნელო დაქანების შედეგად მრავალრიცხოვანი მდინარეები მდორედ მიედინებიან, იკლავებიან და ადვილად გადმოდიან ნაპირებიდან, ხოლო უხვად მოსული ნალექები ჩადინებას ვერ ახერხებს. საბოლოო ჯამში, თითქმის მთელი დაბლობი ვრცელ, მრავალ ადგილზე მიუვალ ჭაობებსა და დაჭაობებულ სივრცეებს წარმოადგენს.

იტალიელი მისიონერი ლამბერტი (XVII ს.) აღნიშნავდა, რომ “კოლხიდას თავისი მდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის მსგავსი არსად არ მოიპოვება. ამის მიზეზია ის, რომ დასავლეთით, შავი ზღვით მოდის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით აკრავს კავკასიის მთები, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოდის. ამას დაუმატეთ ხშირი ტყეები, რომლის გამო ჰაერი ვერ მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და ამას მუდამ მოსდევს წვიმა და ნისლი.” (2.61.237)

ზაფხულის განმავლობაში ზღვა ნელა თბება, ზამთარში კი თანდათან ცივდება, ამიტომ კოლხეთში ტემპერატურა მნიშვნელოვნად ზომიერია. ყველაზე ცივი თვე იანვარია, ყველაზე თბილი (ცხელი) – ივლისი ან აგვისტო. საშუალო დღეღამური ტემპერატურა წლის განმავლობაში სანაპირო ზოლში $13,76^{\circ}$ C-ის ქვემოთ არ ეცემა, ხოლო ზღვიდან მოცილებულ ადგილებში, კერძოდ ზუგდიდში, – $13,8^{\circ}$ C, ხეთაში – $14,9^{\circ}$ C, სამტრედიაში – $14,7^{\circ}$ C-ია. ყინვები, ჩვეულებრივ, დეკემბრის ბოლოს იწყება და შეიძლება მარტის ბოლომდე გაგრძელდეს.

მიწათმოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ტემპერატურულ რეჟიმს, რომელიც, ჰაერის ტემპერატურულ რეჟიმთან ერთად, დამოკიდებულია ნიადაგის თბურ თვისებებზე, მცენარეულ საფარსა და ნიადაგის ტენიანობაზე. კოლხეთის დაბლობზე ნიადაგის დაბალი ტემპერატურა იანვარში (2°C -დან 5°C -მდე) აღინიშნება, ხოლო ჰაერის ყველაზე მაღალი (აბსოლუტური მაქსიმუმი) – ივლისის თვეში (26°C -დან 41°C -მდე), ყველაზე დაბალი (აბსოლუტური მინიმუმი) – 18°C . გარდა ამისა, რეგიონისთვის დამახასიათებელია ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ღვარცოფები, მეწყერები და ჭარბი ატმოსფერული ნალექები, რომლის წლიური ჯამი, ცალკეული პუნქტების მიხედვით, 1300-2700 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. ნალექების მეტი რაოდენობა, ჩვეულებრივ, ზღვის სანაპირო ზოლში მოდის. ზღვიდან აღმოსავლეთით ნალექების რაოდენობა თანდათანობით მცირდება, ხოლო დაბლობის მომიჯნავე მთის კალთებთან მიახლოებისას კვლავ მატულობს.

ზამთარში ნალექები ხანგრძლივი წვიმების და თოვლის სახით მოდის. წვიმიანი პერიოდის ხანგრძლივობა კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა პუნქტისათვის 4-7 დღეს შეადგენს, თუმცა წვიმიანი პერიოდი ზოგჯერ 10-19 დღესაც გრძელდება. უნალექო პერიოდების ხანგრძლივობა, საშუალოდ, 5-12 დღეს, ზოგჯერ კი 23-25 დღეს შეადგენს. ვეგეტაციის პერიოდში, ნალექების არათანაბარი განაწილების გამო, კოლხეთის დაბლობის ცალკეული ფართობები და მათზე გაადგილებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები ირიგაციას საჭიროებს.

კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელია დასავლეთისა და აღმოსავლეთის რუმბის ქარები, რომლებიც კლიმატზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენენ. დასავლეთის რუმბის ქარები, უმთავრესად,

ზაფხულობით ქრის. ქარი, გამოივლის რა ზღვის სივრცეებს, მოაქვს ღრუბლები, ადიდებს ჰაერის ტენიანობას და იწვევს წვიმებს. აღმოსავლეთის რუმბის ქარები მატერიკის ქარებია, ახასიათებს სიმშრალე, მკვეთრად ამცირებს ჰაერის ფარდობით ტენიანობას და აძლიერებს ნიადაგის ზედაპირიდან აორთქლებას. დიდი სიჩქარისა და ხანგრძლივობის ქარები, ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მკვეთრი შემცირებით, იწვევს კულტურული მცენარეებისათვის მეტად საზიანო ამინდს – ხორშაკს, მაგალითად, მდინარე რიონის ხეობაში, განსაკუთრებით მაღალი ტენიანობის პირობებში. ხორშაკების წლიურ მსვლელობას აქვს განმეორების ორი მკვეთრად გამოსახული მაქსიმუმი: გაზაფხულზე (მარტსა და აპრილში) და ზამთარში. ხორშაკებს სხვადასხვა ხანგრძლივობა ახასიათებს: უფრო ხშირად ორი, იშვიათად 3-5 დღე-ღამე.

ბუნებრივი პირობების შედარებით ერთგვაროვნების მიუხედავად, ნიადაგები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ძირითადად გავრცელებულია წითელმიწა, ყვითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატული, ეწერი და ჭაობიანი მიწების სახესხვაობები.

აკად. საბაშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ნიადაგების დარაიონების სქემის მიხედვით, “საქართველოს ფარგლებში გავრცელებულ ნიადაგებს შორის მთავარია: დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის წითელმიწა ეწეროვანი ნიადაგები... გარდა ამისა, რიგ ადგილებში დიდი გავრცელება აქვს ჭაობიან, დამლაშებულ ალუვიურ და სხვა ნიადაგებს” (2.38.308).

გეომორფოლოგიური აგებულების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა: დაბლობი, გორაკიანი მთისწინების, საშუალო მთიანი და მაღალმთიანი ზონები. გეოლოგიური აგებულების მიხედ-

ვით, დაბლობის ზოლი მდინარეთა აკუმულაციური მოქმედების პროდუქტია და წარმოდგენილია სხვადასხვა მექანიკური და ქიმიური შედგენილობის ახალი და ძველი ალუვიური ნაფენებით. ძირითადად, ეს ნაფენები ქვიშიან და ქვიშიან-თიხიან მდინარეთა გასწვრივ და ღორ-ღიან წყალგამყოფებზეა. რიყის ნაფენი ალაგ-ალაგ დაფარულია სხვა-დასხვა სისქის თიხიანი ფენით, ზოგან კი თითქმის ზედაპირზე გამოდის.

დაბლობის დასავლეთ ნაწილებში ნიადაგის წარმოქმნის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნიადაგისა და გრუნტის ჭარბი ტენიანობა. ამ ზონისათვის დამახასიათებელ უხვ ნალექთან ერთად, რომელიც თითქმის მთლიანი მასივის სახით იწვევს სხვადასხვა შედგენილობისა და თვისების ჭაობიანი ნიადაგების გავრცელებას, მდინარეთა გასწვრივ დაბლობის ნაწილში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები, რომელთა დიდი ნაწილი დაჭაობებულია.

საქართველო მდიდარია მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის რესურსებით. მდინარეთა ქსელი განსაკუთრებით ხშირია დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი (46,5 %) უკავია, წყლის რესურსები 77,5 % შეადგენს. აქ მოედინება საქართველოს ყველაზე წყალუბვი მდინარეები – რიონი და ჭოროხი, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან. საერთოდ, კოლხეთის დაბლობის მდინარეები ატმოსფერული ნალექების სიუხვისა და მყინვარებიდან, მარადიული თოვლიდან კვების გამო წყალუბვობითა და ნაკადების მუდმივობით გამოირჩევა. დაბლობის ფარგლებში გამავალ ყველა მდინარეს დაკლავნილი კალაპოტი ახასიათებს და ქმნის მუხურებს, მეჩეჩებს და ნაკალაპოტარებს. უჩებრო მდინარეები წყალდიდობის დროს ნაპირზე გადმოდის და დიდ ფართობს ტბორავს.

კოლხეთის დაჭაობებულ დაბლობს მდინარეები ჰყოფს მდინარეთა შესაბამის მასივებად, კერძოდ: დალიძგა-კოდორის, ენგური-დალიძგას, ხობი-ენგურის, ჭალადიდის, ცივი-ტეხურის, ტეხური-აბაშის, აბაშა-ნოდელას, ნოდელა-ცხენისწყლის, სუფსა-ნატანების და ნატანები-კირტიშის.

დაბლობის დაჭაობებულ ნაწილში გვხვდება ტბები და ტორფნარები, მათგან ყველაზე დიდი ტბაა პალიასტომი, რომელიც ქ. ფოთის მახლობლად მდებარეობს. მისი ფართობი 17 კვ.კმ-ს შეადგენს. სხვა ტბებიდან აღსანიშნავია ფართო წყალი, იმნათი, დიდი და პატარა ბებისარი. ამ რეგიონში ტორფნარების სახით გავრცელებულია ჭაობიანი ნაფენები, რომელთა საერთო ფართობი 14 ათას ჰექტარს შეადგენს.

კოლხეთის დაბლობისა და მთისწინების ზონას ახასიათებს მდიდარი მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეულობა. დაბლობის დასავლეთ ნაწილში ჭაობის ტიპის ტყეა, ხოლო შემადლებულ და მთისწინების ზონებში ჭარბობს სუბტროპიკული კულტურული მცენარეულობა.

კოლხეთის დაბლობის მცენარეულობა, ინტენსიური სამეურნეო ზემოქმედების შედეგად, თავისი პირველადი, ბუნებრივი სახით არ არის შემონახული. ადრინდელი აღწერილობისა და ყოფილი მცენარეული საბურველის ნაშთების მიხედვით, იგი შემოსილი ყოფილა ჭაობის მცენარეულობით და მუყნარი ტყეებით, ხოლო უფრო შემადლებულ ადგილებზე იზრდებოდა კოლხეთის მუხა, რცხილა, წაბლი და სხვა კატეგორიის ტყეები.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მკვეთრად შეიცვალა კოლხეთის ლანდშაფტი. გარდაიქმნა ძველი, ბუნებრივი ლანდშაფტი და

მი-სი ადგილი დაიკავა ახალმა – კულტურულმა და ანთროპოგენულმა ლანდშაფტმა. დაიწყო და ინტენსიურად გრძელდება დაჭაობებული ფართობების ამოშრობა, იქმნება ახალი დასახლებული პუნქტები თავისი ინფრასტრუქტურის ობიექტებით და ახლად ათვისებული ფართობებით.

1.2. საქართველოში დაშრობითი მელიორაციის განვითარების ისტორია

მელიორაცია უძველესი დროიდან გამოიყენება და იმთავითვე ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენდა, ამასთან, სამელიორაციო ღონიძიებების განხორციელება მიწათმოქმედთა ოცნება იყო. როგორც გერმანელი ქიმიკოსი და აგრონომი ფრაააზი ამბობდა, გლეხის გაგებაში მცნება “მიწა” ყოველთვის შეერთებულია ტენიანობის მცნებასთან: “ტენიანი” მიწა დედაა, და არ იქნება ტენიანი, გადაიქცევა დედინაცვლად.

ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში გამოყენებულია მიწის მელიორაციის ესა თუ ის ფორმა. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სარწყავი მიწათმოქმედება. აღსანიშნავია, რომ სარწყავი მიწების ფართობი მსოფლიოში 30-დან 160 მილიონ ჰექტრამდე გაიზარდა, რის გამოც მეოცე საუკუნეს “მორწყვის საუკუნე” უწოდეს.

მელიორაციის ყველაზე უძველეს და დიდი გამოცდილების მქონე რეგიონებს განეკუთნება შუა აზია და ამიერკავკასია. საკმარისია აღინიშნოს, რომ VI-VII საუკუნეებში შუა აზიისა და კავკასიის საირიგა-ციო მშენებლობის მეთოდებს მეზობელი სახელმწიფოებიც

ეცნობო-დნენ და ნერგავდნენ (2.12.56). ამდენად, საქართველო მელიორაციის დარგში მდიდარი შემოქმედებითი წარსულის მქონეა. დადგენილია, რომ აქ წყალსამეურნეო საქმიანობა უხსოვარი დროიდან წარმოებს. ამის შესახებ მრავალგზის აქვთ აღნიშნული ბერძენ გეოგრაფებს და ისტორიკოსებს. ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან ცნობილია, რომ სტრაბონი წერდა: “მორწყულია მდინარეებითა და სხვა წყლებით ეს ქვეყანა (საქართველო), უფრო მეტად, ვიდრე ბაბილონი და ეგვიპტე” (2.48.132).

საქართველოში მონათმფლობელურ ურთიერთობათა რღვევისა და ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვის პროცესში განსაკუთრებით დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მისი ინტენსიური დარგები – მებაღეობა, მევენახეობა და მებაღჩეობა, რომელთა განვითარება გვალვიან და ქარბტენიან რაიონებში შეუძლებელი იქნებოდა მორწყვის, ამოშრობისა და სხვა მელიორაციული საშუალებების ფართ-ოდ წარმოების გარეშე. მოპოვებული ისტორიულ-არქეოლოგიური მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი მძიმე შრომა გაუწევიათ ჩვენს წინაპრებს მელიორაციის გზით ქართული მიწა-წყლის სხვადასხვა ბუნებრივი ნაკლის გამოსასწორებლად.

მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობა მიწის თხრილებით გარშემოვლებულ ნაკვეთებზე ხის სახლებსა და მიწურებში ცხოვრობდა. აქ დამოწმებული დასახლების ტიპი ზუსტად ისეთივეა, როგორც დამახასიათებელი იყო ზღვისპირა ზოლში მთელი კოლხეთის დაბლობისათვის. აღსანიშნავია, რომ ბორცვები, რომლებზედაც ოჩამჩირის ანტიკური სამოსახლოა გაშენებული, ხელოვნურია და, როგორც გამოირკვა, ამ ადგილების დაჭაობების შედეგადაა მოზვინული. ამრიგად, კოლხეთის უძველესი ნამოსახლარების შესწავლის საფუძვე-

ლზე, თვით სამოსახლოს გამართვაშიც კარგად ჩანს უძველესი კოლხური ტრადიციები.

საცხოვრებლად ხელოვნური ბორცვების აგება და მათ ირგვლივ მდინარეებთან შეერთებული არხების სისტემის მოწყობა ადამიანთა დიდ გამოცდილებას მოწმობს. ესაა ჭაობთან ბრძოლის საუკეთესოდ მოფიქრებული სამეურნეო ღონისძიება – მელიორაცია.

საზოგადოებრივი ფორმაციის შემდგომ ეტაპზე, ფეოდალურ საქართველოში, ჭაობებთან ბრძოლის არავითარი ღონისძიება არ გატარებულა. მიწების მორწყვასა და, მით უმეტეს, ჭაობების ამოშრობასთან დაკავშირებით, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა დასავლეთ საქართველოში ცარიზმის ბატონობის პერიოდშიც. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც საქართველოში მელიორაციის დარგში განხორციელდა, იყო დამბის მოწყობა მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით, მდინარე ცივის შესართავიდან ქ. ფოთამდე – ეს დამბა წყალდიდობისგან თავის დასაცავად ააგეს 1867 წელს.

დაჭაობების პროცესმა კიდევ უფრო იმატა ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთის შტოს გაყვანის შედეგად (1869 წ.). ეს გამოწვეული იყო სანაპირო ჯებირის მშენებლობით, რის შედეგადაც ამოივსო მდინარე ცივის არხები, მოუვლელობის გამო გაუქმდა ნედაართის არხი, რომელიც მდინარე რიონს აერთებდა მდინარე ფიჩორასთან.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის საკითხებით დაინტერესებული იყო ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც დიდი შრომა და ენერგია მოახმარა ამ მეტად საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრას. 1905 წლის 5 ივლისს ქუთაისის გუბერნატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ ქ. ფოთის გარშემო ათობით კილომეტრზე მდებარე ჭაო-

ბების დაშრობისათვის საჭიროა განსაკუთრებული ხარჯები. ფოთს რომ გააჩნდეს შემოსავლის წყარო, იგი შეძლებდა თავისი მიდამოების დაშრობას და ისეთ აყვავებულ მინდვრებად გადაქცევას, როგორც ლიბარდის დაბლობია. მაგრამ მისმა მცდელობამ რუსეთის მეფის მთავრობას კოლხეთის დაბლობისადმი ვერავითარი ინტერესი ვერ აღუძრა.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის აუცილებლობის საკითხი განხილულ იქნა 1913 წელს შავი ზღვის სანაპიროს მოღვაწეთა ყრილობაზე, სადაც დაისახა გარკვეული პერსპექტიული ამოცანები, მაგრამ ისინი პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

1914 წელს, მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს მოთხოვნით, კავკასიის ინსპექციამ შავი ზღვის სანაპიროზე მიავლინა ინჟინერი ა. ცეიტლინი, რომელმაც მოახდინა ამ რაიონის ჰიდროლოგიური გამოკვლევა. მისი აზრით, რიონი, ხობი, ენგური, რომლებიც მდინარეთა დანალექებით ამაღლებულ კალაპოტებში მიედინებიან, ჯებირების შემოვლების შემდეგ შეიძლებოდა ფართოდ გამოეყენებინათ მათ შორის მდებარე ფართობების კოლმაცაციისათვის, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა ეს საკითხი დიდი ხნით უკან გადასწია.

1918-1921 წლებში, მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებით, ინჟინერ-აგრონომ გრაჩევის ხელმძღვანელობით ჩატარდა მდ. ხობის, მდ. რიონის, შავი ზღვისა და ზუგდიდის გზატკეცილის მიმდებარე დაჭაობებული მასივების სადაზვერვო გამოკვლევები.

1922 წელს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე დაისვა საკითხი კოლხეთის დაბლობის დაშრობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, პრობლემური გახდა არასაკმარისი რაოდენობის ტექნი-

კური კადრები, ვინაიდან სამუშაოების დაწყებამდე საჭირო იყო დაჭაობების მიზნების შესწავლა-დადგენა, ფინანსური რესურსები და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის სამუშაოები დაიწყო 1925 წელს. გაიჭრა პალიასტომის ტბისა და შავი ზღვის შემაერთებელი არხები და ქ. ფოთის დაცვის მიზნით მდინარე კაპარჭინას გასწვრივ აიგო ჯებირი. მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, ქ. ფოთის მახლობლად, 3250 ჰექტარზე და ქობულეთის 1000 ჰექტარზე მოეწყო საკოლმეტაციო უბანი. დაჭაობებულ ფართობზე ჩატარდა დაშრობითი სამუშაოები.

1929 წელს ქ. ფოთში დაარსდა კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგური, ვინაიდან სამუშაოების გაგრძელებისთვის საჭირო იყო სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება. ამ სადგურის ბაზაზე შემდგომში (1929 წ.) შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალი, რომელთა მეცნიერული კვლევის მასალები საფუძვლად დაედო კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პროექტის შედგენას.

1929-1930 წლებში შედგენილი კოლხეთის დაბლობის 220 ათასი ჰექტრის მელიორაციის სქემის მიხედვით, დაშრობის სამუშაოები სამ რიგად იქნა წარმოდგენილი. სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, 1932 წელს შეიქმნა სპეციალური სამშენებლო ორგანიზაცია “კოლხეთმშენი”. დაიწყო კოლხეთის ცენტრალური და სამხრეთ ზღვისპირეთის, ჭალადიდის, ცივი-ტეხურის, ტეხური-აბაშის, აბაშანოღელისა და სუფსა-ნატანების მასივების დაშრობითი სამუშაოები.

ტრესტ “კოლხეთმშენის” მიერ 1936-1938 წლებში შედგენილ იქნა კოლხეთის დაბლობის 42,6 ათასი ჰექტარი მიწის დაშრობისათვის პირველ რიგში ჩასატარებელი სამუშაოების ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი, თავისი ინფრასტრუქტურით. პროექტის განსახორციელებლად გამოიყო 19,9 მლნ მანეთი.

კოლხეთის დაბლობის დაშრობისათვის გენერალური გეგმით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოები დაიწო 1939 წელს, მაგრამ შეწყვეტილ იქნა 1941 წელს. იგი ეტაპობრივად გაგრძელდა 1945 წლიდან.

პირველ რიგში დაშრობილი კოლხეთის დაბლობის მიწების ცალკეული რაიონებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით განაწილების მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ 1935-1945 წლებში სამელიორაციო სამუშაოები, ძირითადად, ტარდებოდა ფოთის, ხობის, სენაკისა და აბაშის რაიონებში. პირველი რიგის სამუშაოების გენერალურ გეგმას გააჩნდა თავისი ნაკლოვანებები, კერძოდ, იგი არ ითვალისწინებდა ზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში წყალმიმღებთან შეგროვილი წყლის (რაც იწვევდა დაშრობილი მასივების კვლავ დატბორვას) გადასაქაჩი სატუმბი სადგურის მშენებლობას. ამასთან, საანალიზო წლებში დაშრობითი სამუშაოების გეგმა არ შესრულდა. ამის ძირითადი მიზეზი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სიმცირე, გამოცდილების დაბალი დონე და დიდი სამამულო ომით გამოწვეული სიძნელებები იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პირველი რიგის სამუშაოების მიუხედავად, ამ მიწების ინტენსიურად ათვისების საქმეს ხელს უშლიდა ზოგიერთი დამხმარე ღონისძიების ერთიანი კომპლექსით ჩატარებლობა. კერძოდ, ფართო-

ბებზე ტყე-ბუჩქნარების ამოძირკვისა და ზედაპირის მოპირკეთების, მოსახლეობის სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის სამუშაოები ამ ზონაში განლაგებულ კოლმეურნეობებს საკუთარი სახსრებით უნდა შეესრულებინათ. მათ საამისო საშუალებები არ გააჩნდათ, ამიტომ ათვისების საქმე ჩამორჩა და დაშრობილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალპროდუქტიული გახდა.

1966 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, დაიწყო დაშრობილი ფართობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კოლხეთის მიწების სრულფასოვნად და დაჩქარებით ათვისების მიზნით, გათვალისწინებულ იქნა ყველა დამხმარე ღონისძიების გატარება. კერძოდ, დაშრობილი მიწების დატბორვისაგან დაცვის მიზნით, 1966-1970 წლებში აშენებულ იქნა სამი დიდი მოცულობის დიუკერი და ორი სატუმბო სადგური.

დაშრობითი მელიორაციის განვითარებას საქართველოში თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დანიშნულება ჰქონდა. ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ პირველი გაანგარიშებები ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს გააკეთა ს. ქვარიანმა. ამასთან, იგი ითვალისწინებდა საქართველოში მცირემიწიანობის დაძლევისათვის საჭირო ღონისძიებებს. დასავლეთ საქართველოში, ამ ძირითად ასპექტთან ერთად, გათვალისწინებული იყო დაშრობილ მიწებზე ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების განვითარება და მწვავე ინფექციური დაავადების – მალარიის ლიკვიდაცია.

კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეში, მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტის მეცნიერული სიღრმით დამუშავებისა

და განზოგადების თვალსაზრისით, დარგის განვითარებაში საპატიო ადგილი უკავიათ პ. ჟღენტს, ნ. ყანდაუროვს და სხვებს.

დიდი მოცულობის კაპიტალური დაბანდების მიუხედავად, კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობა და სასოფლო-სამეურნეო ათვისება მეტად ნელი ტემპით და მთელი რიგი საჭირო ღონისძიებების ჩატარებლად, უხარისხოდ მიმდინარეობდა. ამ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ წვრილ ტყე-ბუჩქნარებს, ნაკლებად პროდუქტიულ სათიბ-საძოვრებს ეკავა.

დაშრობილი მიწების დაჩქარებული და ინტენსიური გამოყენება მოითხოვდა ისეთ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის სათანადო ნიადაგის ჰიდროლოგიური რეჟიმის რადიკალურად გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჩატარეს ინტენსიური სამუშაოები, რაც საფუძვლად დაედო კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების კომპლექსური სქემის დამტკიცებას.

აღნიშნული სქემით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული. კერძოდ, დაჭაობების მიზნების დასადგენად უკანასკნელ პერიოდში შეგროვილი ანალიზური, ექსპერიმენტული და ფაქტობრივი მასალის, ნიადაგობრივ-სამელიორაციო გამოკვლევების საფუძველზე, ადრე მიღებულ საინჟინრო გადაწყვეტილებებს დაემატა ახალი ღონისძიებები, რომელთა დანიშნულება იყო ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენი წყლების უფრო ეფექტურად მოცილების გზების შემუშავება. აღნიშნულის პარალელურად, შემუშავდა რეკომენდაციები სა-

სოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილებისათვის, განმტკიცდა წყალსამეურნეო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სამელიორაციო მშენებლობაში, დაშრობილი მიწების შემდგომ გადიდებასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გამხდარიყო დამშრობი სისტემების ტექნიკური დონის ამაღლება და თითოეული მელიორირებული ფართობის უკუგების ზრდა, ხოლო მელიორირებული მიწების გამოყენებაში პრი-ორიტეტულ ამოცანად – სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირეული გაუმჯობესება და მათი პროდუქტიულობის გაზრდა.

კოლხეთის დაბლობზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ ამ რეგიონის ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის ჯერ კიდევ მრავალი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა იყო გადასაჭრელი. სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ღონიძიების გამო თავი იჩინა დაშრობისა და ათვისების ტემპებს შორის შეუსაბამობამ. დაშრობილი მიწების ზრდის ტემპს მეტად ჩამორჩებოდა სასოფლო-სამეურნეო ათვისების ტემპი, რაც ხელს უწყობდა დაშრობილი მიწების დიდი ნაწილის განმეორებით დაფარვას ტყე-ბუჩქნარებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1976 წელს ჩატარებული მელიორირებული მიწების ინვენტარიზაციის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა 13,8 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა. კვლავ მწირია სამელიორაციო მშენებლობის, საექსპლუატაციო და სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სრულყოფილად ან საერთოდ არ ტარდებოდა დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისა და გაკულტურების ღონისძიებები და სხვა. ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელი გახდა

კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების ახალი სქემის შედგენა.

სწორედ აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო ინსტიტუტებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით დამუშავდა კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების კომპლექსური სქემა, რომელიც დამტკიცდა და ამოქმედდა 1979 წელს. დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების ტემპებს შორის დისპროპორციის დაძლევის მიზნით, სამშენებლო ორგანიზაცია “მთავარწყალმშენს” კოლხიდაში, საინჟინრო-მელიორაციული სამუშაოების პარალელურად, აგრომელიორაციული ღონისძიებების შესრულებაც დაევალა. ეს გულისხმობდა მიწათმოსარგებლისათვის მელიორაციული ფართობების მხოლოდ გაკულტურების ციკლის შემდეგ გადაცემას. ამ ღონისძიებამ, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეში. საინჟინრო-მელიორაციული სამუშაოების შესრულებამ მნიშვნელოვნად აამაღლა მელიორირებული მიწების გამოყენების დონე, მაგრამ, როგორც ანალიზმა ცხადყო, საგრძნობლად შემცირდა დაშრობილი მიწების ამოქმედების ტემპი, მკვეთრად გამოიკვეთა სქემაში ჩადებულ საპროექტო და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა, თავი იჩინა ფინანსურმა და მატერიალურმა დეფიციტმა. მიწათმოსარგებლებისათვის შიდასამეურნეო ქსელების გადაცემამ კიდევ უფრო გაართულა დაშრობილი მიწების გამოყენება და ექსპლუატაცია. მცირე ფინანსური შესაძლებლობის მქონე მეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს შიდასამეურნეო ქსელების სწორი ექსპლუატაცია და დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ფინანსური უზრუნველყოფის პირობებშიც კი,

მიწათმოსარგებლები მთლიანად საჭირო მოცულობაზე არ აფორმებდნენ ხელშეკრულებას, საექსპლუატაციო სამმართველოების მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო. მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე დახურული დრენაჟისა და “კვალის” ერთობლივად გამოყენებამაც კი ვერ მოგვცა სასურველი შედეგი, არასწორად შერჩეულ და მოუმზადებელ დაშრობილ ნიადაგებზე გაშენებული ჩაის პლანტაციები და სხვა სუბტროპიკული კულტურები დაკნინდა და ჩამოსაწერი გახდა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა ამ რეგიონში მათი შემდგომი განვითარების მიზანშეწონილობა.

1.3. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრების დადგენის აუცილებლობა

საინჟინრო-მელიორაციული და სასოფლო-სამეურნეო ათვისების თვალსაზრისიდან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობი, რომლის ფართობი 225,35 ათას ჰექტარს შეადგენს, მიჩნეულ იქნა ე.წ. დასაშრობ ზონად და მოქცეულია პირობით საზღვრებში. იგი მდებარეობს რიონის, ენგურის, ხობის, ღალიძგას, კოდორის, სუფსის, ნატანების, კინტრიშისა და სხვა მდინარეების ქვედა ნაწილში, გადაჭიმულია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, მდინარე კოდორის შესართავიდან მდინარე კინტრიშის შესართავამდე და წარმოადგენს ზღვისპირა დაჭაობებულ ალუვიურ ვაკეს, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ხოლო ხმელეთზე პირობით საზღვრად გვევლინება რკინიგზის ლიანდაგი და საავტომობილო გზატკეცილი. პირობითი საზღვრები ალაგ-ალაგ ემთხვევა ამ ზონის ბუნებრივ საზღვრებს, კერძოდ, პირობითად დაწესებული საზღვარი ისე გადის,

რომ საზღვრის მნიშვნელობას კარგავს, რადგან მის ორივე მხარეს, საკმაოდ დიდი ტერიტორიაზე, მიწები არსებითად ერთმანეთის იდენტურია. საქმე იმაშია, რომ დასაშრობი ზონის ე.წ. პირობით საზღვრებს გარეთ მდებარე საკმაოდ დიდი მასივები საჭიროებენ მელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებების ჩატარებას. ასეთ მასივებს მიეკუთვნება მერიის დაბლობი, რომელიც ქობულეთისა და სუფსა-ნატანების დაჭაობებული მასივების ორგანული ნაწილია. თავისი გენეზისით, სუფსა-ნატანების მასივის გაგრძელებაა ორ მთას შორის მოქცეული მდინარე სუფსის ხეობა. ანალოგიური სურათი შეიმჩნევა მდინარე ცივის ხეობაში, სენაკი-ჩხოროწყუს რაიონების ტერიტორიებზე, მდინარეების: ხობის, მუნჩისა და ჯუმის ქალებში, ურთის მთის გადაღმა. პერიოდულად დაჭაობებული მიწების უძველეს ტერასებზე, ზედა ეწერის, ხეცერის, ხიბულისა და სხვა სოფლების ტერიტორიებზე, რომლებიც მდინარე ენგურის ხეობით საკმაოდ შორს გრძელდება, ტერასები ისე ვრცელია, ხოლო მიწის ზედაპირი იმდენად არაორგანიზებული, რომ გაძნელებულია წყლების ევაკუაცია. ასეთივე მდგომარეობაა მდინარე ენგურის გაღმა, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, მდინარე კოდორის ხეობაში, ბაბუშერასა და ფშავას ტერიტორიებზე, სოხუმის რაიონში, მდინარე გუმისთის ქვედა წელში, ბიჭვინთის მასივზე, მდინარე ბზიფის ქვედა წელში, გაგრის რაიონის ზღვისპირა დაბლობ ზოლში.

ასეთმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა კოლხეთის დაბლობის ე. წ. დასაშრობი ზონის დღემდე მოქმედი საზღვრის დაზუსტების საკითხი. მრავალი წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით და პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ აღნიშნული საზღვრები მეტად პირობითია და საჭიროებს შესწორებას, ბუნებრივ პირო-

ბებთან მიახლოებასა და ბუნებრივ საზღვრებში მოქცევას. ამ მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ყოფილი სამინისტროების 1978 წლის 17 აპრილის 2-187/10-188 ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, საქართველოს მიწათ-მოწყობის საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, პროფ. ა. მოწერელიას ხელმძღვანელობით, კოლხეთის დაბლობის მიწების ეფექტიანად გამოყენებისათვის დააზუსტეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სრულყოფის ღონისძიებები, რის საფუძველზეც დადგინდა კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრები. მათ დასაზუსტებლად გამოყენებული გეომორფოლოგიური და გეოლოგიური მასალების მიხედვით, კოლხეთის დაბლობს უჭირავს დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომლის ჰიფსომეტრია მერყეობს 0-200 მეტრის ფარგლებში, ხასიათდება ვაკე რელიეფით და მოქცეულია ბუნებრივ საზღვრებში. მრავალი წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად, კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი დრენირების მიხედვით გამოყოფილია ოთხი ზონა:

პირველი ზონა წარმოდგენილია დაჭაობებული მიწებით, რომლებიც საჭიროებენ სისტემატური მელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებების ჩატარებას. ტერიტორიულად იგი მოქცეულია კოლხეთის დაბლობის დღემდე აღიარებული დასაშრობი ზონის პირობით საზღვრებში, რომლის ფართობი შეადგენს 225,35 ათას ჰექტარს.

ეს ზონა ხასიათდება დაბალი ჰიფსომეტრიული დონით, უმნიშვნელო ქანობის ვაკე რელიეფით, რომლის საერთო ფონზე მკაფიოდ არის გამოსახული მიკრორელიეფის სხვადასხვა ფორმა. ამ ზონაში გავრცელებულია მძიმე მექანიკური შემადგენლობის უსტრუქტურო, სხვადასხვა ხარისხით დაჭაობებული ნიადაგები, ამიტომ ამ მიწების ინტენსიურად ათვისებისათვის საჭიროა დაშრობით მელიორაციაში ცნობილი ყველა ხერხისა და მეთოდის, ამასთან, კულტურულ-ტექნიკური და აგრომელიორაციული ღონისძიებების სრული კომპლექსის გამოყენება.

მეორე ზონა წარმოდგენილია პერიოდულად ჭარბტენიანი მიწებით, რომლის საერთო ფონზე ალაგ-ალაგ უმეტესად გავრცელებულია დაჭაობებული მიწები. ასეთი მიწები, ძირითადად, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ნაწილობრივ, გურიაში გვხვდება უძველეს ტერასებზე. მათი პერიოდული დაჭაობების მიზეზებია: ატმოსფერული ნალექები და დელუვიური წყლები, მთის კალთებიდან მიწისქვეშა წყლების სახით არაორგანიზებული გამოდინებით. ამ მიწების პერიოდულ დაჭაობებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერასების ამგები ნიადაგ-გრუნტების ეპიგენები: ორშტენიანი და ილუვიური ჰორიზონტის, ზოგან უფრო ღრმა ფენების დიდი სიმკვრივე და უჟონვობა.

ამ ზონის მიწების მელიორაციისათვის საჭირო იქნება მთისპირა არხები, ზოგ ადგილებში შერჩევითი დაშრობისათვის სისტემური დაშრობი ქსელი, სხვა ადგილებში წყალმიმღებად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მხოლოდ კოლექტორული ქსელი. ამ ფონზე აუცილებელია ნიადაგის მკვრივი ფენის დესტრუქცია და მიწის ზედაპირის მოშანდაკება ბუნებრივი ქანების მიხედვით.

მესამე ზონაში შედის მიწები, რომლებიც წლის ცივ პერიოდში ჭარბი ტენის გამო საჭიროებენ დაშრობას, ხოლო თბილი, აქტიური ვეგეტაციის დროს – აუცილებელ მორწყვას. ამ ზონის მიწები გავრცელებულია იმერეთის ვაკეზე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური მასივის აღმოსავლეთ ნაწილში.

ეს ზონა ხასიათდება მაღალი ჰიდრომეტრიული დონით, ვაკე რელიეფით, რომლის საერთო ფონზე საკმაოდ არის გამოსახული მიკრორელიეფის ფონები. ეს მიწები ჭარბტენიანია წლის ცივ პერიოდში, რაც უმთავრესად გამოწვეულია ხშირი ატმოსფერული ნალექებით, დელუვიური წყლებით, ზოგან – მიწისქვეშა წყლების გამოსვლებით. ამ ზონაში ზედაპირული წრეტა არ არის ორგანიზებული.

მიწების მელიორაციისათვის აუცილებელია მთისძირა არხების მოწყობა, წყალმიმღებად – კოლექტორული ქსელი, ნიადაგების მკვრივი ფენების დესტრუქცია, მიწის ზედაპირის მოშანდაკება, დახურული დრენაჟის მოწყობა და ქვა-ღორღებისგან გაწმენდა, რაც ხელს შეუწყობს ზედაპირულ წრეტას, ნიადაგში წყლის ჟონვას, ნიადაგის წყალტევადობის გაზრდასა და მთელ პროფილში წყლის აკუმულაციას.

მეოთხე ზონაში შედის ის მიწები, რომლებიც საჭიროებენ პერიოდულ მორწყვას მხოლოდ თბილი ვეგეტაციის დროს. ეს მიწები მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ცენტრალური მასივის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონიდან აღმოსავლეთით და მოიცავს მდ. ყვირილის და მდ. ხანისწყლის დაბლობს. აქ გავრცელებულია სუსტი ეწერი ნიადაგები, მკაფიოდ გამოსახული შემკვრივებული ილივიური ჰორიზონტით, აგრეთვე, მდელოს კორდიანი და ალუვიური

ნიადაგები, რომელთაც ახასიათებთ მეტად განსხვავებული მექანიკური შედგენი-ლობა, ფიზიკური და წყლოვანი თვისებები.

ამ ზონის მიწების მელიორაციისათვის საჭიროა სარწყავი ქსელის მოწყობა, მიწის ზედაპირის მოშანდაკება, ქვა-ღორღისგან გაწმენდა, ნიადაგის მკვრივი ფენების დესტრუქცია და ღრმა დამუშავება, ალუვიური ჰორიზონტის ზედაპირზე ამობრუნებით.

რა კრიტერიუმებით ვსარგებლობდით კოლხეთის ბუნებრივი საზღვრების დადგენისათვის?

1. უპირველეს ყოვლისა, საერთო მელიორაციული მდგომარეობით, რომლის ფორმირების მთავარი ფაქტორები: ტოპოგრაფიული, ნიადაგური, კლიმატური პირობები ე.წ. პირობითი საზღვრების ანუ დასაშრობი ზონის იდენტურია. ტოპოგრაფიულად, კოლხეთის დაბლობის ეს ნაწილი ვაკეა, წარმოადგენს უძველესი ზღვიური და მდინარეული ტერასების სისტემას, ხასიათდება საკმაოდ მაღალი, ჰიფსომეტრიული დონით და მეტი ქანობით, ვიდრე პირობით საზღვრებში, მაგრამ ეს ტერასები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ნიადაგის ჰიდროლოგიური რეჟიმით. ატმოსფერული ნალექების მოსვლის შემდეგ, წყალს განიერ ტერასებზე მეტი ნაწილი აქვს გასასვლელი ბუნებრივ წყალმიმღებამდე. ამის გამო, აქ ნიადაგის ზედა ფენები მეტ ხანს არის ჭარბი ტენის გავლენის ქვეშ, ვიწრო ტერასებზე. ამიტომ, მიუხედავად ჰიფსომეტრიული დონისა, ტერასები სხვა-დასხვა ჰიდროლოგიურ პირობებშია და წყლოვანი რეჟიმის მოსაგვა-რებლად სხვადასხვაგვარ მელიორაციულ ღონისძიებებს საჭიროებს.

ამ ტერასებზე, უმეტესწილად, წარმოდგენილია ეწერი ტიპის ნიადაგები, რომელთაც პროფილში უთუოდ ახლავს შემკვრივებული

ალივიური ჰორიზონტი, ზოგჯერ ორშტეინის ფენით. ეს ძალზე ასუსტებს ნიადაგში წყლის ჟონვადობასა და გადაადგილებას მის სიღრმეში. ამიტომ აქ მოსული ნალექების უმეტესი ნაწილი უსარგებლოდ იკარგება ზედაპირული წრეტის შედეგად. თუმცა ნიადაგის აქტიურ ფენაში გაჟონილი წყალი საკმარისია ამ ფენის დატენიანებისა და პერიოდულად ანარობული პროცესების განვითარებისათვის. ამ ნიადაგზე კულტურული მცენარეები მკვეთრად ცვალებად ჰიდროლოგიურ პირობებშია: წვიმის დროს ჭარბი ტენის, ხოლო უნალექო პერიოდში ტენის დეფიციტის პირობებში. ეს ნიადაგები საჭიროებენ მელიორაციას, მაგრამ, თუ არ მოხდა დამახასიათებელი მკვრივი ალუვიური და ორშტეინიანი ჰორიზონტის დესტრუქცია, მარტო დამშრობი სისტემა, წყლის დროულად შეკრება და ევაკუაცია დადებითად ვერ გადაწყვეტს ამ მიწების მელიორირების საკითხს. აღნიშნული ღონისძიება მოგვცემს საშუალებას უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ატმოსფერული ნალექები, შევამციროთ მათი უსარგებლო დანაკარგი და დავაგროვოთ მნიშვნელოვანი ნაწილი ნიადაგის ღრმა ფენაში, რომელიც გვალვიან პერიოდში, კაპილარების მეშვეობით, მცენარეებს წყლით უზრუნველყოფს.

კოლხეთის დაბლობს ესაზღვრება მთავარი და მცირე კავკასიონის კალთები, საიდანაც ხდება დელივიური წყლების მოვარდნა, რომელთაც ზოგჯერ ვერ იტევს არსებული ჰიდროგრაფიული ქსელი და პერიოდულად იწვევს ტერიტორიის ან შედარებით პატარა მდინარეების დატბორვას. ამიტომ აუცილებელია მთის კალთებიდან მოვარდნილი წყლების შეკავება მთისძირა არხებით.

წვრილი ჰიდროგრაფიული ქსელი, რომელიც შედგება ღელეებისა და პატარა მდინარეებისაგან, რომლებიც უშუალოდ დაბლობის ფარგ-

ლებში იკვებებიან წყაროებითა და ატმოსფერული ნალექებით, უარყოფით გავლენას ახდენს ისედაც მძიმე მელიორაციულ ვითარებაზე, ვინაიდან ვერ იტევს და ვერ ახერხებს ე.წ. პირობით საზღვრებში ანუ დასაშრობი ზონის გარეთ ფორმირებული წყლის ნაკადების გატარებას. დაგროვილი წყლები გადმოდიან ნაპირებიდან და ტბორავენ ახლომდებარე მიწებს, საიდანაც არაორგანიზებული ნაკადების სახით გადის ე.წ. პირობითი საზღვრების დასაშრობ ზონაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პირობით საზღვრებს გარეთ დამოუკიდებელი სამელიორაციო სისტემების მეშვეობით ამ წყლების შეკავება და ევაკუაცია, ისე, რომ არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ე.წ. დასაშრობი ზონის მიწებზე, ან შეიქმნას კოლხეთის დაბლობის ერთიანი სამელიორაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი დაბლობის მიწების მელიორაციას. ეს ერთიანი სისტემა, პირობით საზღვრებში დასაშრობი ზონის მიწების მელიორაციასთან ერთად, გულისხმობს სრულ სამელიორაციო ღონისძიებებს, მთისძირა არხების, ცალკეულ მასივებზე შერჩევითი სისტემური დამშრობი ქსელის, ხოლო დანარჩენ ნაწილებში შუალედურ წყალმიმღებად მხოლოდ კოლექტიური ქსელის მოწყობასა და კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსის გატარებას მთელ დაბლობზე.

2. ერთ-ერთ მაჩვენებელს, რომლითაც ვისარგებლებთ პირობით საზღვრებს გარეთ მიწების მელიორაციის საჭიროების აუცილებლობის დადგენისათვის, წარმოადგენს გეობოტანიკური მასალა, კერძოდ, თხმელის ტყე და სხვა ნიადაგის ტენთან შეგუებული მცენარეების გავრცელება. ასეთი მცენარეული საფარი ხშირად კოლხეთის დაბლობის პირობით საზღვრებს გარეთაც გვხვდება, უმთავრესად, წყალსადინარის კალაპოტის გასწვრივ, ხშირად კი ტყეების სახით. მათ

საკმაოდ დიდი, სხვადასხვა ხარისხით დაჭაობებული ფართობი უჭირავს. აღნიშნული მიწების გამოყენება ნიადაგში წყლის რეჟიმის რეგულირების თვალსაზრისით, დაშრობითი მელიორაციისა და კულტ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება.

3. აგროტექნიკურ ღონისძიებათა აგროვადებში შესრულების შესაძლებლობის გათვალისწინება სამეურნეო თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მაჩვენებელია. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ კოლხეთის დაბლობის მიწების გამოყენება მელიორაციული ჩარევის გარეშე შეუძლებელია. ისეთი ეფექტური და აუცილებელი აგროტექნიკური ღონისძიება, როგორც ნიადაგის მზრალად ხვნაა, კოლხეთის დაბლობის პირობებში ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ვინაიდან ხვნისთვის დასაშვები ტენი ნიადაგში მეტად მოკლე პერიოდშია. შემოდგომა-ზამთრის სეზონში ნიადაგები უმეტესად ზედმეტად ტენიანია, რის გამოც მათი დამუშავება შეუძლებელია. მიწები, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე იხვნება. ხნული დიდი ბელტიანობით ხასიათდება და შემდგომში მათი თესვის წინ დამუშავება ძნელდება, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ამიტომ აღნიშნული მიწები საჭიროებენ სათანადო სამელიორაციო ღონისძიებების გატარებას, რათა არ მოხდეს ნიადაგის დატენიანება და შესაძლებელ იქნეს სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების დაწესებულ აგროვადებში შესრულება.

აღნიშნული კრიტერიუმების ანალიზიდან ირკვევა, რომ მხოლოდ კოლხეთის დაბლობის პირობით საზღვრებში გატარებული მელიორაციული ღონისძიებებით სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, თუ თანმიმდევრულად არ განხორციელდა კოლხეთის დაბლობის

პირობით საზღვრებს გარეთ არსებული მიწების მელიორაცია. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ პირობით საზღვრებს გარეთ ჩატარებული მელიორაციული ღონისძიებების შედეგად დაშრობილია დასაშრობი ზონის, დაახლოებით, 50 %-ზე მეტი ფართობი.

სამთავრობო კომისიის მიერ შესწავლილი და დამუშავებული მასალების თანახმად, კოლხეთის დაბლობი ბუნებრივ საზღვრებში შეადგენს 798,1 ათას ჰექტარს, საიდანაც პირობით საზღვრებში მოქცეულია 225,35 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი 572,75 ათასი ჰექტარი პირობით საზღვრებს ანუ დასაშრობი ზონის გარეთ მდებარეობს (ცხრილი 1.3.1).

ბუნებრივ საზღვრებში კოლხეთის დაბლობის მელიორირებული

ცხრილი 1.3.1

**კოლხეთის დაბლობის ზონაში არსებული მელიორაციული მიწები
(2004 წლის მდგომარეობით) ***

/ათასი ჰა/

№	ადმინისტრაციული რაიონები	კოლხეთის დაბლობის რაიონებში სულ	აქედან				შენიშვნა
			კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში	ხეცდრითი წილი რაიონის მიმართ (%)	მათ შორის		
					კოლხეთის დაბლობის პირობით საზღვრებში	ხეცდრითი წილი რაიონის მიმართ (%)	
1	2	3	4	5	6	7	8
1	გაგრა	77.2	20.07	26.0	–	–	
2	გალი	100.8	72.6	72.0	–	–	
3	გუდაუთა	164.0	38.25	23.3	–	–	
4	გულრიფში	183.4	20.49	11.2	–	–	
5	სოხუმი	152.2	14.39	9.5	–	–	
6	ოჩამჩირე	185.2	67.92	36.77	9.66	5.2	
7	ხელგანაური	43.0	17.29	40.2	–	–	
8	ქობულეთი	72.0	23.62	32.8	3.23	4.5	
9	წყალტუბო	76.0	37.48	49.3	–	–	
10	აბაშა	32.0	32.0	100	18.47	57.7	
11	ბაღდათი	81.5	12.76	15.6	–	–	
12	ფანი	56.2	18.66	33.2	–	–	
13	ზუგდიდი	68.3	68.3	100	34.95	51.2	
14	ლანჩხუთი	53.3	50.68	95.1	32.21	60.4	

15	მარტვილი	87.9	25.65	29.2	–	–	
16	ოზურგეთი	67.6	41.18	60.9	3.02	4.5	
17	სამტრედია	35.3	32.86	93.1	–	–	
18	სენაკი	52.1	51.78	99.4	17.78	34.2	
19	ჩოხატაური	82.5	16.75	20.3	–	–	
20	ჩხოროწყუ	61.9	16.9	27.3	–	–	
21	ზესტაფონი	42.4	10.11	23.8	–	–	
22	ხობი	71.7	71.7	100	56.45	78.7	
23	ხონი	42.7	20.29	47.5	–	–	
24	თერჯოლა	35.6	17.21	48.3	–	–	
	ს უ ლ	1924.8	798.10	41.5	225.35	11.7	

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ყოფილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის და მიწათმოქმედების საპროექტო ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით.

მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხი მოითხოვს ახლებურად გააზრებას. ჯერ ერთი, ერთიანი მელიორირებული ფონი კარგ პირობებს იძლევა სუბტროპიკული კულტურების უკეთ განლაგებისათვის, ხოლო ის მიწები, რომლებიც მეტად რთულ და ძნელ მელიორაციულ ვითარებაშია და სამელიორაციო ღონისძიებები ვერ იძლევა სასურველ ეფექტს მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურებისათვის, შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ერთწლიანი კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების განლაგების მეცნიერული საფუძვლების უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, საჭიროა ნიადაგის საფარის მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევები, რომლებიც ჩატარებულია მხოლოდ კოლხეთის დაბლობის პირობით საზღვრებში ე.წ. დასაშრობ ზონაში, ხოლო დასაშრობი ზონის გარეთ კი ასეთი მასშტაბით ნიადაგის გამოკვლევის მასალები არ არსებობს. 1989-1991 წლებში საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები იქნა

შესრულებული ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ, რომელთა გამოკვლევებზე დაყრდნობით შესწავლილ და დაკონკრეტებულ იქნა ნიადაგის საფარი. მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევები საფუძვლად დაედო ამ რეგიონის მელიორირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის შემუშავებას.

1.4. ტყის რესურსების კვლავწარმოების როლი ჭარბტენიანი მიწების დაშრობაში

გარემოს დაცვა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება დიდი სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი არსებობის, ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების უშრეტი წყაროა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწის რესურსების რეაბილიტაცია-კვლავწარმოებას.

საქართველოს უნიკალური ლანდშაფტი თავისი გეოლოგიური პროცესებით ერთ-ერთი ურთულესია ამიერკავკასიაში, რითიც განპირობებულია სხვადასხვა აგროტექნიკური და ნიადაგდაცვითი ღონისძიების როლის ამაღლება, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ნიადაგური საფარის მრავალფეროვნება.

მეცნიერულ-ტექნიკური ღონის სწრაფი ზრდა ადასტურებს, რომ ადამიანის საქმიანობისთვის ათვისებული ტერიტორიები სულ უფრო დეფიციტური და ძვირადღირებული ხდება. ქვეყნის აგრარული პოლიტიკის კონცეფციაში აღნიშნულია, რომ მიწა, მიწის წიაღი, ტყე, წყალი

ერის სიმდიდრეა და ვინც ამუშავებს, მანვე უნდა დაიცვას. ნიადაგდამცავ ზოლებსა და ტყე-ბუჩქნარებს მრავალმხრივი სარგებლობა მოაქვს სამყაროსათვის. იგი აჯანსაღებს, ალამაზებს და ახანგრძლივებს სიცოცხლისუნარიანობას დედამიწაზე, არეგულირებს ბუნების უარყოფითი მოვლენების გავლენას და ხელს უწყობს ეკოლოგიური წონასწორობის მაქსიმალურად შენარჩუნებას.

ტყეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში, მისი რესურსების კვლავწარმოების მდგომარეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროგრესული საზოგადოება. კვლავწარმოება მეცნიერებს ესმით როგორც უწყვეტად განმეორებული საზოგადოებრივი წარმოების პროცესი. სატყეო მეურნეობის თავისებურება განაპირობებს ტყის რესურსების კვლავწარმოების სპეციფიკურ ხასიათს. სატყეო მეურნეობის ტყის რესურსების კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი, როგორც არ უნდა იყოს მისი საზოგადოებრივი ხასიათი, მუდამ გადაჯაჭვულია კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესთან.

მცენარეს, მისი განვითარების ხანგრძლივ პერიოდში, კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესთან შედარებით, ესაჭიროება მცირე შრომითი ზემოქმედება. მცენარეთა ბიოლოგიური პროცესების ამ თავისებურებათა შედეგად სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი ტყის მეურნეობაში, კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი ხასიათდება შრომისა და ბუნებრივი ძალების მეტ-ნაკლებ სიდიდეთა მოქმედებით და ამ ძალების ურთიერთშერწყმით. ტყე, ბუნებრივი თუ ხელოვნური წარმოების, მხოლოდ მაშინ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით, როდესაც შესაძლებელი სახმარი ღირებულება შრომის პროცესის შედეგად იქცევა რეალურ სახმარ ღირებულებად.

ტყის რესურსების კვლავწარმოება მიმდინარეობს რამდენიმე გზით, რომელთა შორის მთავარია:

- ტყის ხელოვნური გაშენება უტყეო, მცირეტყიან და დაჭაობებულ ადგილებში;
- ტყის ბუნებრივი განახლება და მისი ხელის შეწყობა;
- მცირე მწარმოებლურობის კორომების რეკონსტრუქცია და პროდუქტიულობის ამაღლება;
- ტყის ექსპლუატაციის (ჭრის) დონის რეგულირება.

დასახელებულ გზებს შორის დაჭაობებული მიწების დაშრობის ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტყის ხელოვნურად გაშენებას.

მეტყევე მეცნიერთა მრავალი წლის დაკვირვებისა და კვლევის, აგრეთვე, პრაქტიკოსი მუშაკების მრავალი წლის მუშაობის შედეგად დადგენილია, თუ რა დიდი ეფექტის მოცემა შეუძლია დაჭაობებულ ადგილებში ტყის ისეთი სახეობების ხელოვნურად გაშენებას, რომლებიც ხასიათდება მაღალი ტრანსპირაციით.

წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევებით დადასტურებულია, რომ ერთ ჰექტარ ფართობზე შუახნოვანი წიფლნარი კორომი ერთ სავეგეტაციო პერიოდში აორთქლებს 2300 ტონა წყალს, ნაძვნარი კორომები – 2400 ტონა, მუხნარები – 1200 ტონა წყალს და ა.შ. რამდენადაც მაღალია ჰაერის ტემპერატურა და დიდია მზის რადიაცია, იმდენად მეტი ოდენობით აორთქლებენ წყალს მცენარეები.

განვიხილოთ ზოგიერთი ამ სახეობის მოკლე სატყეო დახასიათება, რომელთა გამოყენებაც, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია დასავლეთ საქართველოში დაჭაობებული მიწების რეაბილიტაციის სფეროში.

– მარადმწვანე კვიპაროსი, რომელიც სიმაღლით 50 მეტრი და დიამეტრით 2 მეტრია, ცოცხლობს 600 წლამდე. წყალში დიდხანს დგომის შემთხვევაში უვითარდება ბოთლის მაგვარი საჰაერო ფესვები.

– ბამბუკი (პლანტაციური მეურნეობა) – საქართველოში გავრცელებულია ტექნიკურ კულტურათა შორის. იგი ძვირფასი მცენარეა, რადგან ხანმოკლე პერიოდში მიზნობრივი დანიშნულების დიდძალ მერქანს იძლევა. ერთი ჰექტარი პლანტაცია მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე სხვა რომელიმე სწრაფმზარდი ტყის ჯიში. ამიტომ ბამბუკის გასაშენებლად ვარგისი ფართობი, ძირითადად, მათი პლანტაციების შესაქმნელად უნდა გამოვიყენოთ.

– ევკალიპტი ყველაზე სწრაფმზარდია, 100 წლის ასაკში სიმაღლეში 100 მეტრს აღწევს. მას მრავალმხრივი გამოყენება აქვს (მერქანი, ფოთოლი, ფესვები). ევკალიპტის რიგ სახეობებს “მცენარე ტუმბოს” უწოდებენ. აორთქლების უნარის გამო შეუძლია ნიადაგიდან და ჭარბტენიანი მიწებიდან წყლის დიდი რაოდენობით ამოქაჩვა. დადგენილია, რომ ერთი ზრდასრული ევკალიპტის ხე წლიურად 14 ტონა წყალს აორთქლებს. ამ თვისებებისა და სწრაფი ზრდის უნარის გამო, იგი საქართველოს ჭარბტენიანი რაიონებისთვის ერთ-ერთ მთავარ სახეობად უნდა მივიჩნიოთ. დადგენილია, რომ ევკალიპტმა კოლხეთის ჭარბტენიანი ფართობის დაშრობის მხრივ დიდი როლი შეასრულა. ჩვენში ევკალიპტის 30-35-წლიანი ნარგავების საშუალო სიმაღლე 38-40 მეტრია. ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვლოს მისი დაბალი ყინვა-გამძლეობა. იყინება 8-10 გრადუსზე, მაგრამ სელექციის შედეგად შე-იძლება ყინვაგამძლეობა 15 გრადუსამდე ავიყვანოთ.

– ვერხვები, ძირითადად, დაცვითი ტყის ზოლების გაშენებისას და მდინარეების აუზში, უშუალოდ კალაპოტში და მათ გასწვრივ, ჭა-

ლის ტყეების აღსადგენად გამოიყენება. ვერხვები (ხვალო, არფი, ალვა, ბალზამური, წითელმარღვა და თურანული) სიმაღლეში 30 მეტრს აღწევს, დიამეტრი 2 მეტრამდეა. ბალზამური ვერხვი პირველი სიდიდის სწრაფმზარდი ხეა, სიმაღლით 25-30 მეტრს აღწევს, დიამეტრით – 80-100 სმ. 40 წლამდე სწრაფად იზრდება, შემდეგ მატება კლებულობს. ცოცხლობს 90-100 წლამდე. იგი უკეთესად იზრდება ტენიან ნიადაგზე, მდინარის, წყალსაცავებისა და სარწყავი არხების გასწვრივ.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს დაშრობითი მელიორაციის ღონისძიებათა სისტემაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი სახეობები, როგორცაა თხილი, ნეკერჩხალი, ტირიფი, თხმელა და სხვ. დაჭაობებული მიწების დაშრობაში ტყის ხელოვნური გამენება საშუალებას იძლევა:

1. ავითვისოთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ის რესურსები, რომლებიც ამოვარდნილი იყო სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან;
2. დაშრობილ მიწებზე ვაწარმოოთ ისეთი სასურსათო რესურსები, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა სურსათის ბაზარზე;
3. გავაშენოთ ისეთი სწრაფმზარდი მიზნობრივი პლანტაციები, რომლებიც დროის მოკლე პერიოდში ფართობის ერთეულზე მოგვცემს როგორც მერქნულ, ისე არამერქნულ რესურსებს;
4. ხელი შევუწყოთ ტყისა და სოფლის მეურნეობის დარგთა ინტეგრაციის გაღრმავებას და ამ ფონზე ორივე დარგის მდგრად განვითარებას.

ტყის ბიოლოგიურ თავისებურებათა ცოდნა და დაჭაობებული მიწების დაშრობის ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად ადიდებს მიწის ფართობის ერთეულიდან მიღებულ სახალხო მეურნეობრივ სარგებლობას. ამ ღონისძიებათა მიზანშეწონილობით აიხსნება ასეთი კა-

ტეგორიის ტყეებში მოვლითი ჭრების ჩატარება. ტყის რესურსების კვლავწარმოების ერთ-ერთი გზა სწორედ ჭრის დონის რეგულირებაა. მხედველობაში გვაქვს მოვლითი ჭრები, რომლის შედეგად იზრდება ტყის მწარმოებლურობა და პროდუქტიულობა, სარგებლიანობა, უმჯობესდება ნიადაგობრივ-კლიმატური ფაქტორები.

დაბალი მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის კორომებში მაღალი პროდუქტიულობის ტყის მცენარეების შეტანით იზრდება ტყეში ნივთიერებათა დაგროვება. ე.ი. დაჭაობებულ მიწებზე სატყეო-სამედიოორაციო ღონისძიებების გატარების შედეგად იზრდება ტყის რესურსების კვლავწარმოების მასშტაბები და მცირდება კვლავწარმოების ციკლის პერიოდი.

კოლხეთის დაბლობზე მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე 70%-მდე ტყე-ბუჩქნარი იყო გავრცელებული, შევხვდებოდით ძვირადღირებულ კაკლოვან, თესლოვან, კურკოვან, ძვირფასმერქნიან და სხვა კულტურულ-სამკურნალო თვისებების მქონე ხე-მცენარეებს, მაგრამ ისინი გაიჩეხა და განადგურდა, ხოლო მიწები გამოყენებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო დანიშნულებით.

სამშენებლო-სარეალიბიტაციო და ათვისებითი სამუშაოების სრული ციკლის დამთავრების შემდეგ, ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით, კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ამალდა საკვები კულტურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მავნებლები, გაკულტურდა ბუნებრივი სათიბ-სამოვარი, რამაც ხელი შეუწყო მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტიულობის ზრდას. ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში გარკვეული წვლილი შეაქვს სატყეო მეურნეობას თავისი სასარგებლო პროდუქტიულობით და გარემო ფაქტორებზე ზემოქმედებით. ამიტომ

სატყეო მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტებისა და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის წარმოების გადიდების რთული და მრავალმხრივი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ყველა შესაძლებლობის კავშირურთიერთობის სრულყოფას.

უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედა სატყეო მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისების ღონისძიებების ეფექტიანობაზე. მკვეთრად შემცირდა მაღალი სიხშირისა და მწიფე კორომების მოცულობა. დადგენილია, რომ კორომთა 0,1 სიხშირით გადიდებისათვის საჭიროა არანაკლებ 30 წელი. ამას-თან, სისტემატურად უნდა ჩატარდეს შერჩევითი სანიტარიული და საექსპლუატაციო ჭრები. მიუხედავად ამისა, საქართველოში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში სისტემატურად კლებულობდა საექსპლუატაციო და სანიტარიული ჭრებით მიღებული მერქნის რაოდენობა. პერსპექტივაში, 2015 წლისათვის შესაძლებელი იქნება იგი, 1980 წელს-თან შედარებით, გაიზარდოს 61,3 %-ით, ხოლო აღნიშნული ჭრების ხვედრითი წილი ტყის საერთო სარგებლობაში გაიზარდება 56,7 %-მდე.

ტყის რესურსები ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა. მათი მნიშვნელობა წარმოების განვითარებაში, მით უმეტეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, მეტად დიდია. აქედან გამომდინარე, ტყის გამოყენებისა და სარგებლობის ხასიათის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასურსათო რესურსების წარმოების საქმეში. საბჭოთა კავშირში საქართველოს ტყეების საერთო ფართობით (3009,3 ათ. ჰა, მ.შ. ყოფილ კოლმეურნეობებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში 531,4 ათ. ჰა) მეოთხე ადგილი ეკავა რუსეთის, ლატვიისა და ესტონეთის შემდეგ. ტყე გამოირჩევა ნიადაგდაცვითი, წყალმარე-

გულირებელი, კლიმატოლოგიური და რეკრეაციული ფუნქციებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს იცავს ქარისმიერი და წყლის-მიერი ეროზიისაგან, ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას. განსაკუთრებით საგულისხმოა ტყის როლი ჭარბტენიანი და დაჭაობებული ფართობებიდან ჭარბი წყლების აორთქლებასა და მალარიის მავნე კერების ლიკვიდაციაში.

ამდენად, დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების სირთულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სხვადასხვა სამელიორაციო ღონისძიებებთან ერთად, აგროტექნიკური ნორმების სრული დაცვით გაშენდეს ქარსაფარი და ნიადაგდაცვითი ტყის ზოლები.

სატყეო მეურნეობის განვითარების ექსტენსიური მიმართულების პირობებში მისი წარმოების ამაღლება, ძირითადად, ხორციელდებოდა ტყის ფონდის ახალი მიწების ათვისებითა და ტყით დაფარული ფართობის ზრდით. იგი იძლეოდა მისი პროდუქციის გამოყენების არეალის გაფართოების საშუალებას. მაგალითად, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ძირითადად, მხოლოდ მერქანს იყენებდნენ, ხოლო 80-იანი წლებიდან მოთხოვნილება გაიზარდა არამერქნული პროდუქციის წარმოებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტეგრაციის პირობებში, წინა პლანზე გადმოინაცვლა ინტენსიურმა ფაქტორმა, ვინაიდან ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება რაციონალურად მართვისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობების გაუმჯობესებით მაღალი უკუგების მიღების შესაძლებლობებს ქმნიდა.

სატყეო და აგრარული მეურნეობების კავშირურთიერთობის სრულყოფა და ინტენსიფიკაცია შეუძლებელია ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემების შემუშავების გარეშე, რომელიც შეაფასებს როგორც საბოლოო, ისე შუალედურ პროდუქციას. აქედან

გამომდინარე, ისევე, როგორც აგრარული და სატყეო მეურნეობის მართვის, ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდები, ტყის რესურსების კვლავწარმოება, ტყის ფონდის მიწებზე ყველა სახის რესურსების ათვისება და ურთიერთშეთანხმებული ურთიერთობების დამყარება სატყეო ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე რთულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება.

თავი II. კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და განვითარების ტენდენ- ციები რეტროპერსპექტივაში

2.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თავისებურე- ბანი კოლხეთის დაბლობის პირობებში

საქართველოს სოფლის მეურნეობას მრავალწლოვანი ისტორია აქვს, წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ უძველეს კერას მთელ მსოფლიოში. აქ გვხვდება ვაზის რამდენიმე ასეულზე მეტი ადგილობრივი ჯიში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კულტივირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მსოფლიოში ასევე განთქმულია ქართული ფუტკარი. ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა მაღალი ხარისხის ქართული აბრეშუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ნიადაგური საფარის მრავალფეროვნება განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრიობას. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მთიანი და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძნელად ასათვისებელი რეგიონია. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, მისი ტერიტორია შემდეგნაირად ნაწილდება: ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლემდე მდებარეობს ტერიტორიის 26,7 %, 500 მეტრიდან 1000 მეტრამდე – 21,7 %, 1000-დან 1500 მეტრამდე – 19,1 %, 1500 მეტრიდან 3000 მეტრამდე – 31,0 %, 3000 მეტრზე ზევით – 1,5 %. ქვეყნის ტერიტორიის ფიზიკურ-

გეოგრაფიული პირობების სირთულე და მრავალფეროვნება განაპირობებს მისი ცალკეული ნაწილების ჰიდროლოგიურ განსხვავებას. იგი უმდიდრესია წყლის რესურსებით, მას-ზე მოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის მდინარეების ჩამონადენის 1,4 %.

ბუნებრივი კომპლექსის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შავი ზღვა, რომელიც ხელს უწყობს სანაპირო ზოლში დაბალ და ტენიან კლიმატს, რაც, თავის მხრივ, ინტენსიური სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა არაერთი ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობის დარგობრივ და განვითარების სტრატეგიულ სტრუქტურებში.

ამჟამად არსებულ კოლხეთის ჰიდრომელიორაციული დარაიონების რუკაზე გამოყოფილია შვიდი ძირითადი ზონა:

1. ეს ზონა (8,85 ათასი ჰექტარი) გამოირჩევა მეტად რთული რელიეფით და მოიცავს ზღვისპირა დიუნებს, პლაჟებსა და მსხვილ მდინარეთა დელტებს. მიწის ზედაპირის ნიშნული 1-2 მეტრს შეადგენს, გრუნტის წყლების დონე 0.5-1.0 მეტრის ფარგლებში მერყეობს და ხშირად ამოდის ზედაპირზე. აქ აუცილებელია მდინარეთა რეგულირება, ჰოლდერული სისტემების მოწყობა, ძირითადად, ღია დრენაჟის ფონზე, მომანდაკება და კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება.

2. ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ 18,45 ათას ჰექტარზე წყვეტილად განლაგებულია ტორფიანი მასივები. ზედაპირის საშუალო ნიშნული მოქცეულია 0.5÷1.0 მეტრს შორის. ტორფის სიღრმე 6.0÷12 მეტრს შორის მერყეობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამ ფართობების ათვისება მეტად ძნელია, ამიტომ არსებობს რამდენიმე მოსაზ-

რება: ზედაპირის რეგულირება და შემდგომში მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისება, ტორფის მთლიანად ამოღება და გამოყენება, ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნება და ა.შ.

3. ტორფიანი მასივებისა და დრენაჟის მიმდებარე ტერიტორია სანაპიროს გასწვრივ 48,05 ათას ჰექტარს მოიცავს. ზედაპირის ნიშნული 3÷5 მეტრს არ აღემატება, გრუნტის წყალი 0.5-1.0 მეტრის დონეზეა. ნიადაგი კორდიან-ჭაობიანი და ალუვიურ-ჭაობიანია, რომელთა სიღრმეში გავრცელებულია გალებებული თიხები და თიხნარები. შეიძლება ითქვას, რომ ეს ზონა ჰიდრომეტეოროლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მძიმეა. ნიადაგში ფიზიკური თიხების შემადგენლობა 60-80 %-ია, ფოლენიაციის კოეფიციენტი – 0,01-0,025 მ/დღ. შეადგენს. ამ ზონაში აუცილებელია მდინარეების რეგულირება, დამბების მოწყობა, წყალგამყვანი ქსელებისა და სატუმბი სადგურების მშენებლობა, დახურული დრენაჟისა და ე.წ. “კვალის” შეთანაწყობა, კულტტექნიკური ღონისძიებების სისტემატურად გატარება და სხვ.

4. შეტბორვის ზონის მიმდებარე ტერიტორია მოიცავს 28,0 ათას ჰექტარს, 5÷20 ზედაპირის ნიშნულზე, სადაც წყლის დონე 0.5÷1.0 მეტრზეა და წარმოდგენილია ეწერ-გალებებული თიხებითა და თიხნარებით, ასევე ეწერ-ჭაობიანი თიხნარიანი და ალუვიური ნიადაგებით. ასეთი გრუნტი ხასიათდება ფილენიაციის მცირე კოეფიციენტით. აქ მოსაწყობი და მოსაშანდაკებელია მარეგულირებელი და ღია წყალგამყვანი ქსელები და “კვლები”, ჩასატარებელია კულტტექნიკური სამუშაოები და მოსაწყობია დახურული დრენაჟი.

5. ეს ზონა, ძირითადად, მოიცავს მსხვილი მდინარეების გასწვრივ 53,4 ათას ჰექტარს, 10÷25 მეტრ ნიშნულზე. გრუნტის წყლები განლაგებულია 1,0÷2.0 მეტრ სიღრმეზე. აქ გვხვდება ეწერ-გალებებუ-

ლი თიხები და თიხნარები, ეწერ-ჭაობიანი თიხები, მსხვილი მდინარეების გასწვრივ გავრცელებულია ალუვიურ-მდელოსა და კორდიან-მდელოს ნიადაგები, $0,01\div 0,02$ მ/დღ.დ. ფილტრაციის კოეფიციენტით.

6. ეს ზონა მდებარეობს მდინარე ენგურის ჩრდილოეთით, მე-4 და მე-7 ზონების მიმდებარე $10,25$ ათას ჰექტარზე, $10\div 30$ მეტრ ნიშნულზე, სადაც $1,0\div 2,0$ მეტრ სიღრმეზეა გრუნტის წყლის დონე და წარმოდგენილია ეწერ-თიხოვანი და მძიმე თიხნარი ნიადაგებით, $0,4-1,0$ მეტრის სიღრმეზე ორშტეინების შემცველი ჰორიზონტებით, $0,05-0,1$ მ/დღ.დ. ფილტრაციის კოეფიციენტით. ამ ზონაში ღია, დახურული დრენაჟის ფონზე ორშტეინების სტრუქტურის დასაშლელად აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ასევე მოშანდაკება და კულტტექნიკური სამუშაოების ჩატარება.

7. ეს ზონა განთავსებულია $15\div 75$ მეტრ ნიშნულზე და მისი ტერიტორია შეადგენს $57,1$ ათას ჰექტარს, სადაც წყლის დონე $2\div 5$ მეტრზეა. ძირითადად, გავრცელებულია ეწერი, თიხოვანი და თიხნარი ნიადაგები, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე გვხვდება ალუვიური მდელოს თიხნარი. დაშრობითი ღონისძიებებიდან, ძირითადად, საჭიროა მდინარეთა რეგულირება, ღია წყალგამყვანი და მარეგულირებელი ქსელების მშენებლობა, მოშანდაკება და კულტტექნიკური ღონისძიებების გატარება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კოლხეთის დაბლობზე, ისევე, როგორც საქართველოში, მიწათმოქმედების დარგებიდან მეტნაკლებად განვითარებული იყო მარცვლეული კულტურების წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება; მეცხოველეობის დარგებიდან: მესაქონლეობა (მეკამეჩეობა), მეთხევლეობა, მეღორეობა, ლოკალურად, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

საბჭოურ პერიოდში გარკვეული სახეცვლილება განიცადა სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის ჯერ კიდევ უცხო კულტურები – ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი, ტუნგო, ბამბუკი, დაფნა და სხვ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა და შეიქმნა მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მიმართულების სხვადასხვა, ახალი ტიპის რენტაბელური მეურნეობები. მებოსტნეობისა და მერძეული მიმართულების მესაქონლეობის განვითარებამ ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ასევე ახალი, საგარეუბნო ტიპი, რამაც დადებითი როლი შეასრულა მალფუჭებადი და ნაკლებად ტრანსპორტირებადი სასურსათო პროდუქტებით ქალაქების მოსახლეობის უზრუნველყოფაში. ამ ცვლილებებმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მთლიანად მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მიიღო ორი ძირითადი, სტრატეგიული ხასიათის მიმართულება:

– გამოიკვეთა პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და მათ ბაზაზე მომუშავე გადამამუშავებელი მრეწველობა;

– დაჯგუფდა და ახალი ძალით განვითარდა ე.წ. სასურსათო მნიშვნელობის დარგები: მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა (დახურულ და ღია გრუნტში), მეცხოველეობა და მასთან შეთანწყობილი ტექნიკური და საკვები კულტურების წარმოება, ა.შ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღების გაუმჯობესების ტენდენციები, მისი ქვედარგების განვითარების ზიგზაგური ხასიათი. ამის მრავალი მიზეზი არსებობდა. ერთ-ერთი და უმთავრესი ის იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობა ეყრდნობოდა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, ამიტომ ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებლად იზრდებოდა ან მცირდებოდა ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი. ამ დროს მხედველობაში ნაკლებად მიიღებოდა მეურნეობის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. ამის შედეგი იყო ის, რომ საგრძნობლად შემცირდა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი (1940 წელს – 748,4 ათ. ჰა, 1990 წელს – 269,8 ათ. ჰა) და უპირატესად გაიზარდა საკვები კულტურების ფართობი (1940 წელს – 52,6 ათ. ჰა, 1990 წელს – 331,8 ათ. ჰა). აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში უგულვებელყოფილი იყო საკვები კულტურების ორი და ზოგ ადგილებში სამი მოსავლის მიღების საუკეთესო ბუნებრივი პირობები.

სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებდა ზემდგომ ორგანოთა ადმინისტრაციულ-ბრძანებითი განკარგულებები, რის გამოც, ფაქტობრივად, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში. ზემდგომი ორგანოების მითითებების ზეგავლენით, მათ უფლება არ ჰქონდათ საქმე ისეთნაირად ეკეთებინათ, როგორც ამას კონკრეტული პირობები და ვითარება მოითხოვდა. მუშაობის ასეთმა სტილმა ათეულწლოვანობით ჩამოარჩინა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა.

ყოველგვარი მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე გამოიყენებოდა ინტენსიფიკაციის ძირითადი ფაქტორები. გეგმური მაჩვენებლე-

ბის შესრულების აუცილებლობა მწარმოებლებს აიძულებდა უსისტემოდ გამოეყენებინათ მინერალური სასუქები, საწვავ-საცხები მასალები, მცენარეთა დაცვისა და სხვა ფულად-მატერიალური საშუალებები.

არასწორი აგრარული პოლიტიკის შედეგად ჩამორჩა სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგების განვითარება, როგორცაა მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა, ზოგიერთი სოფელი თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა. სათიბ-სადოვრები, რომლებიც მთლიანი სავარგულების თითქმის 41 %-ს აღემატება, სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის გამო დაბალპროდუქტიულია და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 8-9 %-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობაზე მთიანი რელიეფის გავლენა, ძირითადად, მეტისმეტად შეზღუდულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოიხატება. საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგში გამოიყენება მთელი ტერიტორიის მხოლოდ 44,3 %, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში თითქმის ორჯერ მაღალია, მაგალითად, უკრაინაში – 91,2 %, მოლდოვეთში – 79,8 %, ჩრდილოეთ კავკასიაში – 88,4 % და ა.შ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთიანი რელიეფის გამო მოსახლეობა მეტად არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველო ხასიათდება მაღალი სიმჭიდროვით (ერთ კვ.კმ-ზე 71,2 კაცი). მოსახლეობა, ძირითადად, დასახლებულია ბარის რაიონებში, სადაც სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე 300 კაცს აღწევს.

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები სულ უფრო მეტად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

განმტკიცებას, მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ქიმიზაციის, მელო-რაციისა და სხვა ღონისძიებების გატარებას – წარმოებაზე მოქმედი წმინდა ეკონომიკური ფაქტორების გეგმაზომიერად დარეგულირებულ გამოყენებას.

ეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება გააძლიეროს ან შეანელოს ბუნებრივი განსხვავების გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. როგორც საქართველოს, ისე საკვლევი რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების კანონზომიერების შესწავლით გამოვლინდა, რომ ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით თანდათან შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა და მართვის სისტემა.

სოფლის მეურნეობის როლის და თავისებურებების დახასიათება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი მასშტაბების გათვალისწინებით. ამ მხრივ საგულისხმოა მიწის, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების პოტენციალი.

ამ თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურული თავისებურება. მაგალითად, თუ უკრაინაში სახნავი ფართობის ხვედრითი წილი მთლიანად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, საშუალოდ, 80,6 %-ია, მოლდოვეთში – 72,3 %, სომხეთში – 38,5 %, აზერბაიჯანში – 35,8 %, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში მთლიანად იყო 40,8 %, საქართველოში იგი 26,0 %-ს არ აღემატება. ანალოგიური ვითარებაა დამუშავებაში მყოფ მიწებთან მიმართებით. უკრაინაში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან დამუშავებაში მყოფ მიწებზე მოდის 83,4 %, მოლდოვეთში – 86,9 %, საქართველოში კი – 37,4 %.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეუბნო და მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის უზრუნველყოფის მაღალი დონით გამოირჩევა, მათი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის დონეზე და გარდაუვლად აყენებს საკითხს სამუშაო ძალის ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დიდი გავლენას ახდენს დარგებისა და კულტურათა სწორი და რაციონალური გაადგილება, რომლის საფუძველზე ყალიბდება ამა თუ იმ რეგიონში მისი სპეციალიზაციის ხასიათი და მიწის, შრომით და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დამოკიდებულება. იქმნება ცალკეული რეგიონისათვის და-მახასიათებელი სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა და მისი როლი შრომის დანაწილებაში.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორია სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულების ხასიათის მიხედვით დაყოფილია 13 ზონად და 11 ქვეზონად. სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მოსალოდნელი ცვლილებები გარკვეულ გავლენას მოახდენენ სასურსათო რესურსების ფორმირებასა და მოხმარებაზე. არსებული სტრუქტურის მიხედვით, 2004 წელს საქართველოში წარმოებული იყო 679,3 ათასი ტონა მარცვლეული, 400,5 ათასი ტონა ბოსტნეული, 419,5 ათასი ტონა კარტოფილი, 20,0 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 38,2 ათასი ტონა ციტრუსების ნაყოფი, 160,2 ათასი ტონა ხილი, 180,0 ათასი ტონა ყურ-

მენი, 78,4 ათასი ტონა რძე, 496,6 მლნ ცალი კვერცხი, 109,2 ათასი ტონა პირუტყვისა და ფრინველის ხორცი და სხვ. ამავე პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე პურისა და პურპროდუქტების მოხმარებამ 133 კგ შეადგინა, კარტოფილის – 58,1 კგ, ბოსტნეულ-ბაღჩეულის – 59,2 კგ, ხილის – 52,1 კგ, შაქრის – 18,6 კგ, ხორცისა და ხორც-პროდუქტების – 20,9 კგ, რძისა და რძის პროდუქტების – 191,5 კგ, კვერცხის – 104,7 ცალი და ა.შ.

არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი პირდაპირ კავშირშია სასურსათო პრობლემების გადაწყვეტასთან. აქედან გამომდინარე, როგორც საქართველოში, ისე კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების პროცესის სწორად წარმართვით უნდა გადაწყდეს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებას პროდუქციის გარანტირებული ეკვივალენტური გაცვლისა და ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის ჩაის, ციტრუსის, ყურძნის, ხილისა და მათი გადამამუშავების მაღალხარისხიანი პროდუქტების წარმოების ტემპებისა და მასშტაბების გაფართოება და მათი ექსპორტის მკვეთრად გაზრდა წარმოადგენს. ეს ხელს შეუწყობს სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარებას, საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ჩაბმასა და თანა-სწორუფლებიან მონაწილეობას. შესაბამისად, ხელი უნდა შეეწყოს მა-რცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის, მეფუტკ-რეობისა და მეთევზეობის

განვითარება-წარმოებას, ვინაიდან, ძირითა-დად, ისინი განაპირობებენ ქვეყნის სასურსათო ბალანსის ფორმირე-ბას.

როგორც აღვნიშნეთ, ნოტიო სუბტროპიკულ კოლხეთში გავრცე-
ლებული და განვითარებულია ჩაის, დაფნის, თხილის, ტუნგოს, ევკა-
ლიპტის, ბამბუკის, სხვადასხვა სუბტროპიკული ხილისა და ციტ-
რუსების, თამბაქოსა და ყურძნის კულტურები; არსებობს კვიის და
სტევიის კულტურების განვითარების დიდი პერსპექტივა. ბუნებრივ
წყალსატევებსა და ტბებში ყველა პირობაა შექმნილი მეთევზეობისა
და ნუტრიის წარმოებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით
პერსპექტიუ-ლად იკვეთება პალიასტომის ტბისა (1850 ჰექტარი) და
მისი მიმდებარე ღრმატორფიანი ჭაობების (1000 ჰექტარი) გონივრული
ათვისება.

აღსანიშნავია აქ არსებული ბუნებრივი წიაღისეულის მრავალფე-
როვნებაც: ტორფი, საპროპელი, ქვანახშირი, ბარიტი, მარმარილო,
ეკლარის ქვა, კირქვა, ცარცი, ფიქალი, მინერალური და სასმელი
წყლების დიდი მარაგი. ზღვის სანაპირო ზოლის, ბარის, მთისა და
აღპური ზონების სიახლოვე, ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების
სიმრავლე, საზღვაო პორტების, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომო-
ბილო კომუნიკაციებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურის არსე-
ბობა და განვითარების შესაძლებლობები დიდ პერსპექტივას ქმნის
საკურორტო მეურნეობის, ტურიზმის, ალპინიზმის, სამთო და წყალსა-
თხილამურო სპორტის განვითარებისათვის.

საქართველოში დაშრობილი მიწების საერთო რაოდენობა 162,9
ათას ჰექტარს შეადგენს, აქედან დასავლეთ საქართველოშია 140,7 ათ-
ასი ჰექტარი, მ.შ. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაშია 109,9 ათასი ჰექტა-
რი. დაშრობილი მიწების 117,5 ათას ჰექტარზე მოწყობილია 10,5 ათასი

კმ სიგრძის ღია საკოლექტორო დამშრობი ქსელი, ხოლო 13,3 ათას ჰექტარზე – 1.19 ათასი კმ სიგრძის დახურული დრენაჟი. 2003 წლის მდგომარეობით, დამშრობი სისტემების საწარმოო ფონდების ღირებულება 285,3 მლნ ლარს ანუ მელიორაციის საწარმოო ფონდების (1561,8 მლნ ლარი) 18,3 % შეადგენს, რომლის 39,8 % (113,5 მლნ ლარი) სახელმწიფო დანიშნულების სამელიორაციო სისტემებსა და ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობებზე, ხოლო დანარჩენი (60,2 %) ყოფილი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, ამჟამად ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებულ შიდასამეურნეო ქსელებზე მოდის (ცხრილი 2.1.1).

ცხრილი 2.1.1

**საქართველოში სამელიორაციო ფონდების ძირითადი მაჩვენებლები
(2004 წ. 01 იანვრის მდგომარეობით) ***

№	ტექნიკური სახეობები	განზომილებების ერთეული	სულ	მათ შორის		შენიშვნა
				მულ. დეპარტამენტის ბალანსზე	მუნიციპ. დაქვემდ.	
1	სარწყავი ფართობი	ათ. ჰა	469,2	410,0	59,2	
2	სარწყავი ქსელები	ათ. კმ	25,83	16,0	9,83	
	მათ შორის					
	- მაგისტრალური ქსელები	ათ. კმ	3,10	3,10	-	
	- გამანაწილებელი ქსელები	ათ. კმ	3,70	3,70	-	
	- შიდასამეურნეო ქსელები	ათ. კმ	19,03	0,79	18,84	
3	დაშრობილი ფართობი	ათ. ჰა	162,9	149,2	13,7	
4	დამშრობი სისტემის ქსელები	ათ. კმ	23,66	21,06	2,6	
5	გაწვდომი ფართობი	ათ. კმ	349,6	340,0	9,6	
6	საძოვრების გაწვდომის მილსადენები	კმ	542,8	535,0	14,8	
7	საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელები	ათ. კმ	5,10	3,7	1,4	
8	ირიგაციული წყალსაცავი	ერთ.	32,0	32,0	-	

9	ჰ/ტ ნაგებობები	ერთ.	65035	14430	506.0	
10	ნაპირგამაგრება	კმ	650,0	430,6	219,4	
11	სატუმბო სადგურები	ერთ.	462,0	232,0	230,0	
12	მლაშობ-ბიცობიანი ფართობი	ათ. კმ	205,0	–	205,0	
13	ძირითადი ფონდების საერთო ღირებულება	მლნ ლარი	1561,8	1015,5	510,3	
14	საექსპლუატაციო გზები	ათ. კმ	10,7	3,22	7,48	
	მ.შ. დამშრობ სისტემებზე	ათ. კმ	1,48	0,97	0,51	
15	სულ მელიორირებული მიწები	ათ. ჰა	1186.7	899.2	287.5	

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, ცნობილი მიზეზების გამო, გაუარესდა სამელიორაციო სისტემების, მარეგულირებელი და გამტარი ქსელების (კოლექტორების) და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა, კერძოდ:

- მწყობრიდან გამოვიდა და ნატანით შეივსო წყალგამყვანი კოლექტორები, რის გამოც ვერ ხერხდება ფართობებიდან ჭარბი წყლების გაყვანა;

- გაბინდულია და თითქმის არ ფუნქციონირებს სადრენაჟო სისტემები;

- სატუმბო სადგურების ძირითადი ნაწილი გამარცხული და განადგურებულია;

- არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაკულტურების საქმეში;

- დარღვეულია მელიორირებული მასივების გამოყენების ოპტიმალური რეჟიმი და სხვა პარამეტრები.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მელიორირებული ფართობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ეფექტიანი გამოყენება სამე-

ლიორაციო ღონისძიებების არსებული წესების დაცვის გარეშე შეუძლებელია.

კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების და ექსპლუატაციის პრაქტიკული გამოცდილებით დადგინდა, რომ ცალკეულ ნაკვეთებად განხორციელებული ჰიდრომელიორაციული თუ აგროტექნიკური ღონისძიებები ნაკლებეფექტიანია და არ იძლევა სასურველ შედეგს აგრო-მელიორაციული ფონის შესაქმნელად.

აგროსამრეწველო სექტორებში არსებული ეკონომიკური სიტუაციების დაძლევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საწარმოო რესურსების შეფასებასა (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობა, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება) და გამოყენებაზე, მათი ეფექტიანობის ამაღლებაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი აგრარული რეფორმებით გათვალისწინებული ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის კომპლექსურად გამოყენებამ უნდა შეასრულოს.

2.2. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

ქვეყნის აგრარული რეფორმის პირობებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დაჩქარება, სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად, მოითხოვს ბუნებრივი რესურსების რაც შეიძლება ინტენსიურად გამოყენებას. ამ თვალსაზრისით მიწა, მიუხედავად პოლიტიკური წყობისა, საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდესი წყაროა, იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია და მისი შენარჩუნება და გამოყენება უპირველესი მნიშვნელობის სახელმწიფო საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

მიწის რაციონალურად გამოყენების, დარგებისა და კულტურების გაადგილების, მათი ეფექტიანობის ამაღლებისა და აგრეთვე დამუშავებაში მყოფი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობის გადიდების რეალურ შესაძლებლობას ქმნის ის ფართო სამელიორაციო და ამავე დროს, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის სხვა ღონისძიებები, რაც წარსულში პრაქტიკულად ხორციელდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო ხასიათდება მცირემიწიანობით. სოფლის მეურნეობისათვის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება ნაწილობრივ განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში სახნავის დაბალი (26,4 %), ხოლო სათიბ-საძოვრების მაღალი (64,2 %) ხვედრითი წილით. სახნავის განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილია კანადაში (65,2 %), უკრაინაში (60,7 %), მოლდოვეთსა და ლატვიაში (68,0 %), საფრანგეთში (52,2 %), ბელორუსიაში (65,9 %).

კოლხეთის დაბლობის ზონაში განლაგებული 24 ადმინისტრაციული რაიონის მთლიანი მიწის ფონდიდან (1924,8 ათ. ჰა) ბუნებრივ სა-ზღვრებში მოქცეულია 798,1 ათასი ჰექტარი. ამ ფართობიდან დაშრო-ბილია 140,7 ათასი ჰექტარი.

კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვარში მთლიანად მოექცა ზუგდიდის, ხობისა და სენაკის რაიონების მიწები, ხოლო ლანჩხუთის, სამტრედიის, გალის, ოზურგეთისა და წყალტუბოს რაიონების მიწების თითქმის ორი მესამედი. საქართველოს მიწის ფონდის (6949,4 ათ. ჰა) საერთო რაოდენობიდან (ცხრილი 2.2.1) საკვები სავარგულების ხვედრითი წილი მაღალია (28,0 %), ხოლო დამუშავებაში არსებულის (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) – დაბალი (15,2 %), კოლხეთის დაბლობის რაიონებში პირიქით, საკვებ სავარგულებს 15,4 % უჭირავს, ხოლო დამუშავებაში მყოფ მიწებს – 22,7 %, კოლხეთის დაბლობის

ცხრილი 2.2.1

მიწის ფონდის სტრუქტურა (2004 წლის მონაცემები) *

№	სავარგულის დასახელება	საქართველოში		აქედან					
		ათასი ჰა	%	კოლხეთის დაბლობის რაიონებში		მათ შორის			
						კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში		ქედან	
				ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%
1	სახნავი	798,7	11,5	281,7	14,6	195,7	24,5	64,9	46,1
2	მრწ. ნარგავი	264,9	3,7	156,0	8,1	113,4	14,2	24,2	17,2
3	სათიბი	140,6	2,1	17,9	0,9	4,4	0,6	1,5	1,1
4	სადოვარი	1799,5	25,9	278,2	14,5	109,8	13,7	19,3	13,7
5	სას.-სამ. სავარგული	3003,7	43,2	733,8	38,1	423,3	53,0	109,9	78,1
6	ტყე	2838,3	40,8	878,0	45,6	215,9	27,1	4,7	3,3
7	ბუჩქნარი	164,8	2,4	49,1	2,6	28,8	3,6	0,4	0,3

8	წყლის ქვეშ	145,1	2,1	80,0	4,1	26,7	3,4	10,5	7,5
9	გზების ქვეშ	231,8	3,3	38,3	2,0	24,2	3,0	4,5	3,2
10	შენობების ქვეშ	90,6	1,3	32,8	1,7	22,8	2,8	3,0	2,1
11	ჭაობი	18,0	0,3	16,4	0,8	2,4	0,3	7,7	5,5
12	სხვა მიწები	457,1	6,6	96,4	5,1	54,0	6,8	–	–
	სულ მიწები	6949,4	100	1924,8	100	798,1	100	140,7	100

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ბუნებრივ საზღვრებში და დაშრობილ მიწებზე დამუშავებაში მყოფი მიწების ხვედრითი წილი, შესაბამისად, 38,7 და 63,3 %-ს შეადგენს, ხოლო საკეები სავარგულების – 14,3 და 14,8 %-ს.

ზემოაღნიშნული ტენდენცია ჩამოყალიბდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის განხილვის შედეგადაც (ცხრილი 2.2.2). სამწუხაროდ, ასეთი ვითარება შედეგია იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში აქ არ ჩატარებულა აღნიშნული მიწების ინვენტარიზაცია. ფაქტობრივად კი, სრულიად საწინააღმდეგო თანაფარდობასთან გვაქვს საქმე.

ცხრილი 2.2.2

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა (2004 წლის მდგომარეობით) *

№	სავარგულის დასახელება	საქართველოში		ქედან						
		ათასი ჰა	%	კოლხეთის დაბლობის რაიონებში	მათ შორის					
					კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში		ქედან დაშრობილი			
		ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	
1	სახნავი	798,7	26,6	281,7	38,4	195,7	46,2	64,9	59,0	
2	მრავალწლ. ნარგავი	264,9	8,8	156,0	21,2	113,4	26,8	24,2	22,0	
3	მათ შორის: ბაღი	56,6	1,9	19,9	2,7	9,1	2,2	3,2	2,9	
4	ვენახი	73,2	2,4	9,1	1,2	6,6	1,6	0,4	0,4	
5	ჩაი	63,0	2,1	62,5	8,5	51,8	12,2	10,6	9,6	

6	ციტრუსი	16,2	0,5	16,2	2,2	12,7	3,0	0,9	0,8
7	ეთერზეთები	8,6	0,3	7,4	1,0	4,4	1,0	1,2	1,1
8	სხვა მრწ. ნარგავ.	47,3	1,6	40,9	5,6	28,8	6,8	7,9	7,2
9	სათიბი	140,6	4,6	17,9	2,4	4,4	1,0	1,5	1,4
10	სადოვარი	1799,5	60,0	278,2	38,0	109,8	26,0	19,3	17,6
11	სას.-სამ. სავარგული	3003,7	100	733,8	100	423,3	100	109,9	100

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

უკანასკნელი წლების ცნობილმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, სამედიცინო სისტემების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილმა ინვესტიციებმა ვერ უზრუნველყო დარგის კრიზისიდან გამოყვანა. გაუარესდა მარეგულირებელი და გამტარი ქსელების ტექნიკური მდგომარეობა, დანალექით და შამბნარით შეივსო მაგისტრალური და საკოლექტორო ქსელები, ფუნქციონირება შეწყვიტა სატუმბმა სადგურებმა, ნაჟური წყლების შემკრებმა ორნატებმა, წყალშემკრებმა და წყალგამტარმა არხებმა, რის შედეგად ჭარბი წყლების 70 %-ზე მეტი სავარგულებში დარჩა. სამედიცინო სისტემების მოუვლელობის გამო განვითარდა მეორადი დაჭაობების პროცესი. ჭარბტენიან მიწებზე მეორადი დაჭაობების შედეგად წარმოშობილ ახალ ანოფელოგენურ წყალსატევებსა და ჭაობებში, სხვა ეკოლოგიურ ასპექტებთან ერთად, კოლო ანოფელესისა და, შესაბამისად, მალარიის ეპიდემიის გავრცელების ხელსაყრელი პირობები ჩამოყალიბდა.

ჭარბტენიან მიწებზე მეორადი დაჭაობების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებით ვერ ამოიწურება მალარიის გადამტანი კოლოსა და თვით მალარიის, როგორც საშიში ეპიდემიური დაავადების, წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, მაგრამ ის კომპლექსურ ღონისძიებათა მთელ სისტემაში უპირველეს პირობად მიიჩნევა, რადგან გამორიცხავს პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის მიუწვდომელი, ახალი ანოფელოგენური წყალსატევების დაჭაობების აღმოცენებას.

კოლხეთის დაბლობის ზონაში 66,35 ათას ჰექტარზე დაფიქსირდა მეორადი დაჭაობების პროცესი (ცხრილი 2.2.3). მსოფლიო ბანკის პროექტი მოიცავს 33,67 ათას ჰექტარ ნეტო ფართობს. პროგრამის მიხედვით, აღდგენითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე – 3,43 ათას ჰექტარზე, მეორე – 16,57 ათას ჰექტარზე, მესამე – 13,67 ათას ჰექტარზე, ხოლო დანარჩენ ქსელებზე (32,68 ათას ჰექტარზე) სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს. მაგრამ

ცხრილი 2.2.3

კოლხეთის ჭარბტენიან მიწებზე მეორად დაჭაობებას ქვემდებარე ფართობები და მათი შესაძლო დაფინანსების წყაროები *)

/ათ. ჰა/ათასი ლარი/

№	რაიონის დასახელება	ფართობი (ბრუტო)	ლიტრებულება	მ ა თ შ ო რ ი ს					
				მსოფლიო ბანკიდან		ეროვნული პროგრამით			
				ფართობი	ლიტრებულება	სამეურნეობათაშორისო		შიდასამეურნეო ქსელი	
						ფართობი	ლიტრებულება	ფართობი	ლიტრებულება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ოზურგეთი	2,52	2254	0,60	936	1,92	844	1,92	474
2	ჩოხატაური	1,20	666	–	–	1,20	426	1,20	240
3	ღანჩხუთი	9,95	10030	9,95	10030	–	–	–	–
4	ქობულეთი	3,5	2415	3,0	2415	–	–	–	–
5	ზუგდიდი	9,50	8669	4,35	4437	5,15	3780	1,73	452
6	ხობი	16,50	11540	6,22	5399	10,28	4241	8,43	1900
7	სენაკი	9,08	5229	4,77	2957	4,31	1710	2,51	562
8	ჩხოროწყუ	0,50	200	–	–	0,50	128	0,50	72
9	აბაშა	8,50	6229	4,28	3810	4,22	2183	0,85	236
10	სამტრედია	2,00	800	–	–	2,00	512	2,00	288
11	წყალტუბო	0,50	245	–	–	0,50	180	0,50	65
12	მარტვილი	1,40	950	–	–	1,40	700	1,40	250
13	ხონი	0,70	380	–	–	0,70	280	0,70	100
14	წალენჯიხა	0,50	285	–	–	0,50	200	0,50	85

ს უ ლ	66,35	49892	33,67	29984	32,68	15184	22,24	4724
-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	------

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მასალებიდან (“მაღარიასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით).

ამ ფართობზე ანოფელოგენური წყალსატევებისა და კოლოს გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობების ანუ ჭაობების ლიკვიდაციის მიზნით, საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპლექსურად შესრულდეს ისეთი სახის გადაუდებელი სამუშაოები, როგორცაა: შიდასამეურნეო დახურული დრენაჟების გამორეცხვები, ტექნიკის გადასასვლელი მილხიდების მოწყობა, სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთება, სატუმბო სადგურების აღდგენა, ახალი დამბების მოწყობა და არსებულის შეკეთება, ორნატების დანალექებისა და შამბნარისგან გაწმენდა, საექსპლუატაციო გზების შეკეთება და სხვ. სულ შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 19,91 მლნ ლარს, მ.შ. სამეურნეობათა შორისო ქსელების რეანიმაციისათვის საჭიროა 15184 ათასი ლარი, ხოლო შიდასამეურნეო ქსელების ფუნქციონირების აღსადგენად – 4724 ათასი ლარი.

მიწათმოქმედების კულტურის მაღალი დონის ძირითად საფუძველს მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვები წარმოადგენს. სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად თესლბრუნვები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგილი არ არის, რითაც ხელოვნურად იგნორირებულია მიწის რესურსების ეფექტიანად ათვისების და გამოყენების ეს მეტად მნიშვნელოვანი საშუალება. არადა, ამ ღონისძიებას, უდავოდ, დიდი როლის შესრულება შეუძლია კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეში.

მიწათმოქმედების კულტურის მაღალი დონის ძირითად საფუძველს მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვები წარმოადგენს.

სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად თესლბრუნვები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგილი არ არის, რითაც ხელოვნურად იგნორირებულია მიწის რესურსების ეფექტიანად ათვისების და გამოყენების ეს მეტად მნიშვნელოვანი საშუალება. არადა, ამ ღონისძიებას, უდავოდ, დიდი როლის შესრულება შეუძლია კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საანალიზო წლებში კოლხეთის დაბლობის რაიონებში ნათესი ფართობი 126,0 ათასი ჰექტრიდან 114,3 ათას ჰექტრამდე ანუ 9,3 %-ით შემცირდა, მ.შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში – 92,5 ათასი ჰექტრიდან 83,9 ათას ჰექტრამდე ანუ 9,3 %-ით, ხოლო დაშრობილზე, პირიქით, 39,2%-ით გაიზარდა (ცხრილი 2.2.4).

ცხრილი 2.2.4

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურა 1990-2004 წლებში

კულტურების დასახელება	1990 წელი						2004 წელი					
	კოლხეთის დაბლობის რაიონებში		აქედან				კოლხეთის დაბლობის რაიონებში		აქედან			
			კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში		მათ შორის დაშრობილი				კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში		მათ შორის დაშრობილი	
	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%	ათ. ჰა	%
მარცვლეული და პარკოსანი კულტურები	46.5	37.0	35.7	38.6	18.5	48.2	61.7	54.0	46.3	55.2	33.8	63.2
მ.შ. სიმინდი მარცვლ.	44.3	35.2	30.8	33.3	14.0	36.5	45.8	40.1	34.1	40.6	29.2	54.6
ტექნიკური კულტურები	15.2	12.0	6.8	7.4	3.1	8.2	5.8	5.1	3.3	3.9	1.0	1.9
ბოსტნეულ-ბაღჩეული	6.5	5.1	6.2	6.7	1.1	2.8	10.1	8.8	7.7	9.2	6.5	12.1
საკვები კულტურები	57.8	45.9	43.8	47.3	15.7	40.8	36.7	32.1	26.6	31.7	12.2	22.8
სულ ნათესი ფართობი	126.0	100	92.5	100	38.4	100	114.3	100	83.9	100	53.5	100

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს, რომლებიც საანალიზო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაღალია აგრეთვე საკვები კულტურების ხვედრითი წილი, რაც, ჩვენი აზრით, არ პასუხობს ამ ზონის წინაშე მდგარ ამოცანებს.

კოლხეთის დაბლობის ცალკეული რაიონების მიხედვით სახნავი მიწების გამოყენების დონის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები (ცხრილი 2.2.5).

ცხრილი 2.2.5

კოლხეთის დაბლობზე სახნავი მიწების გამოყენების დონე (%)

ათასი ჰა

№	რაიონის დასახელება	1991-1995 წ.წ.		2001-2004 წ.წ.	
		საშუალოდ			
		კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში	კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე	კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში	კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე
1	2	4	5	6	7
1	გაგრა	83.8	42.5	48.9	35.6
2	გალი	65.8	59.6	35.4	43.4
3	გუდაუთა	70.3	72.3	44.8	56.1
4	გულრიფში	69.4	90.2	44.2	74.0
5	სოხუმი	75.3	68.8	47.8	52.6
6	ოჩამჩირე	75.7	87.9	47.3	71.8
7	ხელვაჩაური	99.6	48.4	62.4	40.7
8	ქობულეთი	82.3	78.1	52.4	65.6
9	წყალტუბო	50.1	23.3	31.9	19.6
10	აბაშა	63.6	55.6	40.5	46.7
11	ბაღდათი	71.3	37.6	45.4	31.6
12	ვანი	79.4	91.7	59.6	77.0
13	ზუგდიდი	85.8	50.1	52.7	42.1
14	ლანჩხუთი	65.0	37.4	41.4	30.4
15	მარტვილი	75.1	59.4	47.6	49.9
16	ოზურგეთი	98.8	63.4	64.5	53.3
17	სამტრედია	90.8	60.0	57.8	50.4
18	სენაკი	90.0	79.0	58.3	66.4

19	ჩოხატაური	73.1	67.8	46.6	57.0
20	ჩხოროწყუ	98.7	97.1	60.9	81.6
21	ზესტაფონი	58.5	–	37.3	–
22	სობი	81.7	67.2	51.4	56.7
23	სონი	74.1	100.0	47.2	84.0
24	თერჯოლა	75.1	–	47.6	–
სულ		73.9	60.0	47.1	50.3

*) ცხრილი შედგენილია საკვლევი ზონის რაიონების შესაბამისი წლების მიწის ბალანსის მონაცემების მიხედვით.

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ როგორც კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში, ისე უშუალოდ კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სახნავის გამოყენების დონე დაბალია (შესაბამისად, 73,9; 60 და 47,1; 50,3 %), რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

1. 1986-1990 წლებში საქართველოში განხორციელებული დამშრობი ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად (ძირითადად, კოლხეთის დაბლობის პირობით საზღვრებში) საექსპლუატაციოდ გადაცემულ მელიორირებულ მიწებზე ნიადაგის გაკულტურების სამუშაოები გრძელდებოდა 3-5 წლის განმავლობაში. მოცემულ პერიოდში ეს მიწები აღირიცხებოდა როგორც “გაკულტურების სტადიაში მყოფი მიწები” და მათზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება არ იგეგმებოდა. ამდენად, აღნიშნული სავარგულები სახნავის კატეგორიაში არ შედიოდა და იგი ნათეს ფართობებში არ იანგარიშებოდა, რაც სახნავის გამოყენების დაბალ დონეს თავისთავად წარმოაჩენდა, მაგრამ სახნავის არასრულად გამოყენების მიზეზები მარტო ამ ფაქტორებით არ აიხსნება. რაიონებში, სადაც კულტურების სამუშაოები არ ჩატარებულა, სახნავი მიწების გამოყენების დაბალი დონე გამართლებული არაა და იგი უფრო გულგრილობისა და უყაირათობის შედეგია. მაგალითად, გალის რაიონში სახნავის გამოყენების დონე საანალიზო წლებში 65,8 %-დან 35,4 %-მდე, ხოლო

დაშრობილ მიწებზე – 59,6 %-დან 43,4 %-მდე, წყალტუბოში, შესაბამისად, – 50,1 %-დან 31,9 %-მდე და 23,3 %-დან 19,6 %-მდე, ლანჩხუთში – 65,0 %-დან 41,4 %-მდე და 37,4 %-დან 30,4 %-მდე, ზუგდიდში – 85,8 %-დან 52,7 %-მდე და 50,1 %-დან 42,1 %-მდე შემცირდა.

2. 90-იანი წლებიდან (თითქმის 10 წელი) ტყეების სტიქიურად (არარაციონალურად) გაკაფვის შედეგად სახნავ-სათესი მიწები შესამჩნევად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 2001–2004 წლებში ამ მიწების აუთვისებლობის ერთ-ერთი მიზეზი სამელიორაციო სისტემებზე მიმდინარე საქსპლუატაციო და სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების და მოსახლეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის დაბალ დონეში უნდა ვეძიოთ.

ანალოგიური მიზეზების არსებობას ადასტურებს აგრეთვე საკვლევი რაიონების 122 ფერმერის გამოკითხვის მონაცემები (ცხრილი 2.2.6 და 2.2.7). კვლევამ გვიჩვენა, რომ სახნავი მიწების მხოლოდ 22,3 პროცენტი იყო გამოყენებული სამარცვლე სიმინდის ქვეშ, ხოლო 37,9 პროცენტი, ბოლო წლების სარეაბილიტაციო და რიგი სხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების გაუტარებლობის გამო, დაუმუშავებელი რჩებოდა. ამასთან ირკვევა, რომ საკვლევი რაიონებში სიმინდი წარმოდგენილია მონოკულტურის სახით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ისედაც დაბალნაყოფიერი სახნავის გამოყენებაზე. ერთი რამ ცხადია. დაბალი მოსავლიანობის (27,6 ცენტ/ჰა) პირობებშიც კი, 122 გამოკითხული ფერმერის ნაკვეთებში წლიურად, საშუალოდ, იკარგება 1673 ტონა სამარცვლე სიმინდი, რაც საბითუმო ფასებით 569,0 ათასი ლარის ზარალის ტოლფასია.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამარცვლე სიმინდის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ცალკეული სახე თითქმის ყველა დაკვირვების ობიექტზე იდენტურია და 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. სამარცვლე სიმინდის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურის მონაცემების ანალიზი ნათელიყოფს, რომ მაღალია ვეგეტაციის

პერიოდში მოვლა-დამუშავებაზე, მოსავლის აღებასა და ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი (30,4 % და 22,2 %). ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესები, ძირითადად, ხელით სრულდება, ხოლო ნიადაგის მოხვნისა და კულტივაციის სამუშაოები, საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების მაღალი ფასებისა და, რაც მთავარია, უკვე ამორტიზებული ტექნიკის ექსპლუატაციის პირობებში, საკმაოდ ძვირი ჯდება.

ცხრილი 2.2.6

დაშრობილი სახნავის გამოყენების მაჩვენებლები კოლხეთის დაბლობის საკვლევ რაიონებში (2004 წ.) *

№		განზომილების ერთეული	ლანჩხუთის რაიონი	სიბის რაიონი	ზუგდიდის რაიონი	აბაშის რაიონი	სენაკის რაიონი	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	შესწავლილ ფერმერთა რაოდენობა	ერთ.	25	33	30	18	16	122
2	ნათესი ფართობი	ჰა	141,2	646,2	512,2	134,4	166,0	1600
	მ.შ. სამარცვლე სიმინდი	ჰა	58,4	62,8	49,2	80,3	106,6	357,3
3	ანეული (დაუმუშავებელი)	ჰა	42,9	265,0	202,3	44,7	51,4	606,3
4	ანეულის ხვედრითი წილი	%	30,4	41,1	39,5	33,3	31,0	37,9
5	მოსავლიანობა	ტ/ჰა	25,5	28,3	26,7	27,1	29,4	27,6
6	მთლიანი მოსავალი	ტ	148,9	177,7	131,3	217,6	313,4	988,9
7	ერთი ტონის საბითუმო ფასი (საშ.)	ლარი	330	320	360	350	340	≈340
8	პროდუქციის მთლიანი ღირებულება	ათასი ლარი	49,1	56,8	47,2	76,1	106,5	335,7

*) ცხრილი შედგენილია ადგილობრივი მონაცემების მიხედვით.

საკვლევ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დონე ორ ეტაპად უნდა განვიხილოთ. თუ პირველ ეტაპზე, 1981-1990 წლებში, მოსავლიანობის ერთგვარ სტაბილიზაციას და წარმოების ზრდას ჰქონდა ადგილი, 1991-2004 წლებში მათი შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა (ცხრილი 2.2.8). ეს მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ როგორც ქვეყანაში, ისე საკვლევი ზონის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების რეზერვები სწორედ დაშრობილი მიწების მაღალეფექტიანად გამოყენებაში უნდა ვეძიოთ.

ცხრილი 2.2.7

**კოლხეთის დაბლობის საკვლევი რაიონების სარეაბილიტაციო
უარყოფებზე სამარცვლელ სიმინდის წარმოებაზე გაწეული
დანახარჯების სტრუქტურა (2004 წ.) ***

№	ჩატარებული ღონისძიებების სახეობები	დანახარჯები		%
		ერთ ჰა-ზე (ლარი)	სულ (ათ. ლარი)	
1	2	3	4	5
1	სათესლე მასალა (სიმინდი, ლობიო, სოია)	38,0	21,06	3,5
2	ნიადაგის მომზადება-დამუშავება და შხამქიმიკატინი თესლის ნიადაგში შეტანა	191,0	105,87	17,8
3	ვეგეტაციის პერიოდში ნათესი კულტურების მოვლა (კულტივაცია, ორჯერადი თოხნა, მინ. სასუქების შეტანა)	326,0	180,70	30,5
4	მოსავლის აღება, მექანიზებული დამუშავება და დაბინავება (ტრანსპორტირება)	238,0	131,90	22,2
5	საქონლის საკვებად სოიასა და ლობიოს ნამჯების მექანიზებული დამუშავება	28,0	15,52	2,6
6	სხვა ხარჯები	250,0	138,57	23,4
	სულ	1071,0	593,62	100

*) ცხრილი შედგენილია ადგილობრივი მონაცემების მიხედვით.

მოსავლიანობის დონის შემდგომი ზრდისთვის ამ რეგიონში მრავალი რეზერვი არსებობს, რაზეც მეტყველებს საკვლევ ზონაში განლაგებული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი პუნქტების (უბნების) მონაცემები. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში აბაშის რაიონში ერთ ჰექტარზე, საშუალოდ, 35,6 ცენტნერი სამარცვლე სიმინდი მიიღეს, ანალოგიურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ექსპერიმენტულმა სასწავლო-საცდელმა პუნქტებმა – ერთ ჰექტარზე, საშუალოდ, 60,1 ცენტნერი მარცვალი. თუ ამ მონაცემებს წყალტუბოს, ბაღდათის, ზესტაფონის, ხონის, სენაკის, ოჩამჩირისა და ვანის რაიონების მოსავლიანობის მაჩვენებლებს შევადარებთ, თვალსაჩინო გახდება, რამდენად დაბალეფექტურად არის გამოყენებული ამ ზონის შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობები.

საკვლევი ზონის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ჯერ კიდევ არასასურველი დონე და მისი ამაღლების საკითხი აგრარული რეფორმების გარდამავალ ეტაპზე მთელი სერიოზულობით დგება, ამასთან, მისი გადაწყვეტა არ შეიძლება ერთი რომელიმე დონისძიების იზოლირებულად გატარებით. ამიტომ საჭიროა ისეთი კომპლექსური დონისძიებების განხორციელება, როგორცაა მელიორაციული და აგრომელიორაციული, ნიადაგის დამუშავება-განაყოფიერების, ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობის პროგრესული ხერხებისა და მეთოდების გამოყენება. მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების გაუმჯობესების დონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან ადგილზე მეცხოველეობის დარგების განვითარებაა, რომელზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და, პირიქით, მეცხოველეობის დარგების განვითარებას განაპირობებს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება.

თუ მეცხოველეობის დარგების განვითარების არსებულ დონეს შევაფასებთ კვების პროდუქტებზე მოსახლეობის და მრეწველობის ნედლეულზე ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოზიციებიდან, ნათელი გახდება, რომ ეს დარგი კვლავ ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად მაკროეკონომიკურ დარგებს, მათი ეკონომიკური და სამეურნეო განვითარების ტემპები და პროდუქციის წარმოების დღევანდელი დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალია.

ცხრილი 2.2.8

**ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დონე
1981-2004 წ.წ. (ც/ჰა) ***

ძირითადი კულტურების დასახელება	სიმინდი მარცვლად	სოია	თამბაქო	ბოსტნეული	ერთწლიანი ბაღახეები თითადა	ერთწლიანი ბაღახეები მწ. მასად	მრწ. ბაღახე თიფად	მრწ. ბაღახე მწკ. მასად	ხილი	ყურძენი	ჩაი	ციტრუსი	სიმინდი სივსად
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1.1981-1985წ.წ. საშუალოდ													
საკვლევი რაიონებში	27.8	4.8	14.1	114.2	23.8	48.6	22.1	70.8	66.0	66.9	98.2	204.4	85.4
მ. შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრებში	28.0	3.6	15.8	99.9	38.9	46.6	50.0	95.0	16.0	36.0	78.0	55.0	134.0
აქედან: დაშრობილ მიწებზე	28.2	4.5	16.8	106.9	48.0	72.6	56.0	145.0	19.3	37.2	89.7	80.0	170.7
2. 1985-1990წ.წ. საშუალოდ													
საკვლევი რაიონებში	31.3	4.0	11.9	134.0	25.3	69.6	25.7	94.6	63.7	59.3	90.0	156.4	66.8
მ. შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრებში	20.4	5.3	8.8	71.0	34.7	69.6	65.3	147.3	12.2	25.0	76.2	64.9	136.3
აქედან: დაშრობილ მიწებზე	20.1	–	9.2	68.4	20.1	78.2	16.4	102.0	8.5	27.2	42.2	94.5	102.4
3.1991-1995 წ.წ. საშუალოდ													
საკვლევი რაიონებში	16.03	2.1	4.7	134.7	21.1	48.3	17.6	68.2	43.2	47.2	42.7	867	41.5
მ. შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრებში	15.2	–	6.1	38.3	14.4	22.8	12.3	16.6	6.5	11.1	40.2	78.8	62.0
აქედან: დაშრობილ მიწებზე	13.7	–	3.7	24.5	11.3	18.6	8.1	12.0	4.4	7.6	29.8	38.4	55.4
4.2001-2004წ.წ. საშუალოდ													
საკვლევი რაიონებში	17.5	1.3	3.4	109.4	18.7	31.2	17.9	50.1	40.1	44.1	32.3	79.4	39.4
მ. შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი საზღვრებში	16.1	–	2.1	19.8	13.0	16.3	14.0	20.3	5.0	3.6	30.1	71.5	58.9

აქედან: დაშრობილ მიწებზე	14.7	-	1.0	14.0	10.1	18.4	10.1	16.3	2.1	1.0	17.0	31.2	51.7
პროცენტულ მაჩვენებელში													
1981-1985 წ.წ.-2001-2004 წ.წ.													
საკვლევე რაიონებში	62.9	27.1	24.1	95.8	78.6	64.4	81.8	70.4	60.1	65.7	33.1	38.8	64.1
მ. შ. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში	57.5	-	13.3	19.8	33.3	34.5	28.0	21.1	31.3	10.0	38.5	130.0	43.9
აქედან: დაშრობილ მიწებზე	52.1	-	5.9	13.1	20.8	25.1	17.9	11.0	10.5	2.7	18.7	39.0	30.2

*) ცხრილი შედგენილია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

მეცხოველეობის სულადობის (ცხრილი 2.2.9) ანალიზიდან ჩანს, რომ 1995 წლამდე, როგორც საკვლევი ზონის რაიონებში, ისე კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში, მათ შორის დაშრობილ მიწებზე, მეცხოველეობის ყველა სახეობის სულადობა ერთგვარი სტაბილურობით ხასიათდება, შემდგომ წლებში კი მკაფიოდ შეიმჩნევა შემცირების ტენდენცია. 2004 წელს, 1985 წელთან შედარებით, საკვლევი

ცხრილი 2.2.9

მეცხოველეობის სულადობის დინამიკა 1980-2004 წლებში *)

(ათასი სული)

	წლები	მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი				ღორი				ფრინველი ყველა სახის			
		სულ		მათ შორის ფურ-კამეჩი		სულ		მათ შორის ნეზვი		სულ		მათ შორის კვერცხმდებელი	
		სული	%	სული	%	სული	%	სული	%	ფრთა	%	ფრთა	%
საკვლევი ზონის რაიონებში	1980	564	100	621	100	943	100	182	100	18781.0	100	1280.80	100
	1985	1546	98.8	649	104.5	1174	124.5	170	93.4	24295.6	12.93	6365.0	49.7
	1990	1298	83.9	552	85.0	880	74.9	209	122.9	21759.7	89.6	5070.0	79.7
	1995	1127	86.8	547	99.1	411	46.7	112	53.6	16701.0	76.7	3400.5	67.1
	2000	1005	89.2	491	89.7	285	69.3	96	85.7	14705.0	88.0	2651.7	78.0
	2004	1242,0	79,4	728,0	117,2	473,0	50,1	174,0	95,6	9200,0	49,0	4823,0	37,6
მ.შ. კოლხეთის	1980	566.7	100	238.5	100	394	100	76	100	2485.5	100	729.7	100
	1985	592.8	104.6	244.3	102.5	516.2	142.4	89.8	118.2	4994.8	201.	1694.8	232.5
	1990	581.6	102.6	242.6	101.7	478.4	142.4	119.4	156.6	5260.8	211	1321.9	181.1

	1995	217.1	38.3	141.3	59.2	208	121.3	89.8	118.2	2817.5	113.4	1600.4	219.2
	2000	198.2	35.0	121.1	50.8	141	52.8	66.3	87.2	2179.0	87.6	1115.7	152.9
	2004	275,0	48,5	154,0	64,5	201,0	51,0	84,0	110,5	1970,0	79,2	918,0	125,8
აქედან: კოლხეთის დაშრობის მიწებზე	1980	82.3	100	34.9	100	155.7	35.8	24.6	100	745.5	100	396.8	100
	1985	84.8	103.4	35.1	100	151.8	100	29.4	119.5	1348.5	180.8	301.4	75.8
	1990	85.1	103.6	34.8	100	143.2	131	38.7	157.3	1315.2	176.3	280.7	70.8
	1995	61.4	74.4	29.8	85.7	78.4	67.2	30.3	123.2	712.3	95.4	197.6	49.9
	2000	30.1	36.6	24.4	29.3	47.5	41.1	24.6	100	491.6	65.9	150.3	37.8
	2004	37,0	44,9	28,0	80,2	54,0	34,7	28,0	113,8	529,0	70,9	248,0	62,5

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ზონის რაიონებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 304 ათასი სულით შემცირდა, ღორის – 701 ათასი სულით, ფრინველის – 1542 ათასი ფრთით. დაირღვა ჯოგის გენეტიკური სტრუქტურა, მეცხოველეობაში, პრაქტიკულად, განადგურდა ინდუსტრიულ სტრუქტურაზე გადაყვანილი წარმოება. ანალოგიური ტენდენციები დამახასიათებელია აგრეთვე საკვლევი ზონის რაიონებისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფითი შედეგების მიხედვით შეფასდეს მეცხოველეობის განვითარების ზრდის რეზერვები. პირიქით, საბჭოურ ეპოქაში დაგროვილი დადებითი გამოცდილების უნარიანად გამოყენების საფუძველზე უნდა დაისახოს ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგების 1990 წლამდე მიღწეული განვითარების ღონის უზრუნველსაყოფად, ხოლო შემდეგ ჩამოყალიბდეს მათი სტაბილური განვითარების რეალური გზები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დაჩქარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად, მათი პროდუქტიულობის განუხრელი, მკვეთრი აღმავლობა წარმოადგენს. საანალიზო წლებში როგორც საკვლევი ზონის რაიონებში, ისე კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში, მათ შორის დაშრობილ მიწებზე, ყველა სახის პირუტყვისა და

ფრინველის პროდუქტიულობის მაჩვენებლები მკვეთრად მცირდება (ცხრილი 2.2.10).

კოლხეთის დაბლობის ზონის ცალკეულ რაიონებში მეცხოველეობის პროდუქტიულობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი დარგში არსებულ დიდ რეზერვებზე მიუთითებს. მაგალითად, ერთი ფურის საშუალო წლიური წველადობა შეადგენდა: აბაშის რაიონში – 2960 კგ, ხელვაჩაურში – 2767 კგ, ჩხოროწყეში – 2788 კგ, ხობში – 2755 კგ-ს; საშუალო წლიური კვერცხმდებლობა მაღალი იყო: სენაკში – 220 ცალი, ხელვაჩაურში – 190 ცალი, სამტრედიაში – 185 ცალი, ზუგდიდში – 180 ცალი.

ცხრილი 2.2.10

**მეცხოველეობის პროდუქტიულობის ძირითადი
მაჩვენებლების დინამიკა 1980-2004 წლებში *)**

წლები	საშუალო წლიური წველადობა ერთ ფურზე (კგ)			საშუალო კვერცხმდებლობა ერთ მეკვერცხ. (ცალი წელიწადში)			მიღებულია ყოველ 100 ფურზე ნამატი (1 სული)			მიღებულია ყოველ 100 ნეზეზე (სული)		
	საქართველოში	კოლხეთის ზონაში	მ.შ. დაშრობილ მიწებზე	საქართველოში	კოლხეთის ზონაში	მ.შ. დაშრობილ მიწებზე	საქართველოში	კოლხეთის ზონაში	მ.შ. დაშრობილ მიწებზე	საქართველოში	კოლხეთის ზონაში	მ.შ. დაშრობილ მიწებზე
საშუალოდ												
1981-1985	1718	1669	2030	170	146	160	69	65	82	986	885	830
1986-1990	1695	1925	2685	167	113	110	58	50	59	746	580	480
1991-1995	818	980	1122	102	78	64	42	38	35	766	605	577
1996-2000	671	717	984	94	68	51	34	29	31	712	574	521
2001-2004	701	667	807	118	81	60	41	33	43	619	501	417
პროცენტ.:												
1981-1985	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
1986-1990	98.7	115.3	132.3	98.2	77.4	68.9	72.5	76.9	71.9	75.6	65.5	57.8
1991-1995	47.6	58.7	55.3	60.0	53.4	40.1	60.9	58.5	42.7	77.7	68.4	69.5
1996-2000	39.1	42.9	48.5	57.1	47.3	31.9	49.3	44.6	37.8	72.2	64.9	62.8

2001-2004	40.8	39.9	39.8	69.4	55.5	37.5	59.4	50.7	52.4	62.8	56.6	50.2
-----------	------	------	------	------	------	------	------	------	------	------	------	------

*) ცხრილი შედგენილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

გარდაქმნებისა და რეფორმების პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების არასწორად წარმართვამ ქვეყნის ეკონომიკა უკიდურეს კრიზისამდე მიიყვანა. ვინაიდან მსოფლიო ისტორიაში საქართველო ტრადიციულ აგრარულ ქვეყნად განიხილება, მსხვილმასშტაბიანი გარდაქმნა სოფლის მეურნეობაში უნდა დაწყებულიყო და სასურსათო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირება საფუძველად უნდა დადებოდა მომავალ რადიკალურ ცვლილებებს.

საქართველოში აგრარული რეფორმა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგებით, უპირველესად კი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზებით დაიწყო, რომელსაც საფუძველად დაედო “საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ” საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება. თუმცა მიწის რეფორმის კანონიერ საფუძველზე განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1996 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა კანონები “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” და “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ”. ამით სახელმწიფომ საკანონმდებლო საფუძველზე გამოხატა უმაღლესი პოლიტიკური ნება – მიწაზე კერძო საკუთრების აღიარებისა და დამკვიდრების თაობაზე. შეიქმნა მიწის ბაზრის ფორმირებისა და შემდგომი ფუნქციონირების წინაპირობები.

საქართველოში, 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემულია 944,1 ათასი ჰექტარი მიწა ანუ მთლიანი რაოდენობის 12.4 %, ხოლო იჯარით – 1108,2 ათასი

ჰექტარი ანუ 14,1 %. მიწის ნაკვეთები საკუთრებაში მიიღო 1110,8 ათასმა ოჯახმა, მათ შორის სოფლის 772,5 ათასმა კომლმა და ქალაქად მცხოვრებმა 338,8 ათასმა ოჯახმა. შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცათ 817,2 და 126,9 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების – 690,1 და 72,9 ჰექტარი. სოფლად მცხოვრებმა კომლმა, საშუალოდ, კერძო საკუთრებაში მიიღო 0,89 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო ქალაქად მცხოვრებმა ოჯახმა – 0,22 ათასი ჰექტარი. მიწის მესაკუთრეთა ოჯახებიდან (კომლებიდან) 713,1 ათასი ყოფილი კოლმეურნეა, ხოლო დანარჩენი 397,7 ათასი – სხვა სოციალური სფეროს წარმომადგენელი.

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკუთრებაში გადაცემულია 763,0 ათასი ჰექტარი, მათი საერთო რაოდენობის 25,4 % (ცხრილი 2.2.1), აქედან სახნავი ფართობის საერთო რაოდენობის (436,3 ათ. ჰა) 54,6 %, მრავალწლიანი ნარგავების (181,4 ათ. ჰა) 68,5 %, სათიბის, შესაბამისად, – 41,8 და 29,2, საძოვრის – 83,6 და 4,6.

ამავე პერიოდში იჯარით გაიცა 905,1 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული ანუ მთელი სავარგულის 30,1 %, აქედან სახნავის (222,7 ათ. ჰა) – 27,9 %, მრავალწლიანი ნარგავების (30,3 ათ. ჰა) – 11,4 %, სათიბის (46,1 ათ. ჰა) – 32,2 %, საძოვრის (606,0 ათ. ჰა) – 33,7 %.

კოლხეთის დაბლობის რაიონებში, ამავე პერიოდისათვის, კერძო საკუთრებაში გადაეცა საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის (763,0 ათ. ჰა) 29,9 % (227,2 ათ. ჰა), მათ შორის სახნავის (436,3 ათ. ჰა) – 56,0 % (144,0 ათ. ჰა), მრავალწლიანი ნარგავების (181,4 ათ. ჰა) – 41,5 % (75,4 ათ. ჰა), სათიბის (41,8 ათ. ჰა) – 3,8 % (1,6 ათ. ჰა), საძოვრის (83,6 ათ. ჰა) – 7,4 % (6,2 ათ. ჰა); იჯარით გაცემული მიწების ხვედრითი წილი საკვლევი რაიონების სავარგულებში (9,0 %) და ასევე საქართველოში იჯარით გაცემულ მიწებში (7,3 %) ძალზე დაბალია. აგრეთვე, დაბალია საკუთრებაში

(10,5 %) და იჯარით (0,8 %) გაცემული დაშრობილი მიწების ხვედრითი წილი. საკუთრებაშია დაშრობილი მიწების 73,2 % (80,5 ათ. ჰა), რომელთაგან 56,0 ათასი ჰექტარი სახნავზე, 19,7 ათასი ჰექტარი მრავალწლიან ნარგავებზე, 0.5 ათასი ჰექტარი სათიბზე, ხოლო 4,3 ათასი ჰექტარი საძოვარზე მოდის, რაც, შესაბამისად, საქართველოში საკუთრებაში გაცემული სახნავის 12,8 %-ს, მრავალწლიანი ნარგავების 10,8 %-ს, სათიბის 1,2 %-ს, საძოვრის 5,1 %-ს შეადგენს. იჯარით გაცემული 7,7 ათასი ჰექტარი დაშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან, რომელიც დაშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (109,9 ათ. ჰა) 7,0 %-ია, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საძოვრებზე (11,9 %) მოდის, მაშინ, როდესაც სავარგულების ეს კატეგორია ქვეყანაში იჯარით გაცემული საძოვრების (606,0 ათ. ჰა) 0,4 %-ს არ აღემატება.

**საკუთრებაში და იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო
სავარგულები (2004 წლის მდგომარეობით) *)**

სავარგულების დასახელება	ზომის ერთეული	საქართველოში	კოლხეთის დაბლობის რაიონებში	მ.შ. დაშრობილი მიწები	ხვედრითი წილი საქართველოს მიმართ		
					საქართველოში	კოლხეთის დაბლობის რაიონებში	მ.შ. დაშრობილი მიწები
<u>სასოფლო-სამეურნეო</u>							
<u>სავარგული</u>	ათ. ჰა	3003,3	733,8	109,9	100	24,4	3,6
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში	ათ. ჰა	763,0	227,2	80,5	100	29,8	10,5
ხვედრითი წილი	%	25,4	30,9	73,2	–	–	–
გაცემულია იჯარით	ათ. ჰა	905,1	66,0	7,7	100	7,3	0,8
ხვედრითი წილი	%	30,1	9,0	7,0	–	–	–
<u>სახნავი</u>	ათ. ჰა	798,7	281,7	64,9	100	35,2	8,1
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში	ათ. ჰა	436,3	144,0	56,0	100	33,0	12,8
ხვედრითი წილი	%	54,6	51,1	86,3	–	–	–
გაცემულია იჯარით	ათ. ჰა	222,7	15,9	3,5	100	7,1	1,8
ხვედრითი წილი	%	27,9	5,6	5,4	–	–	–
<u>მრავალწლიანი ნარგავი</u>	ათ. ჰა	264,9	156,0	24,2	100	58,9	9,1
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში	ათ. ჰა	181,4	75,4	19,7	100	41,5	10,8
ხვედრითი წილი	%	68,5	48,3	81,4	–	–	–
გაცემულია იჯარით	ათ. ჰა	30,3	19,8	1,4	100	65,3	4,6
ხვედრითი წილი	%	11,4	12,7	5,8	–	–	–
<u>სათიბი</u>	ათ. ჰა	143,2	17,9	1,5	100	12,5	1,0
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში	ათ. ჰა	41,8	1,6	0,5	100	3,8	1,2
ხვედრითი წილი	%	29,2	8,9	33,3	–	–	–
გაცემულია იჯარით	ათ. ჰა	46,1	0,1	–	100	0,2	–
ხვედრითი წილი	%	32,2	0,5	–	–	–	–
<u>საძოვარი</u>	ათ. ჰა	1796,9	278,2	19,3	100	15,5	1,1
მ.შ. გაცემულია საკუთრებაში	ათ. ჰა	83,6	6,2	4,3	100	7,4	5,1
ხვედრითი წილი	%	4,6	2,2	22,3	–	–	–
გაცემულია იჯარით	ათ. ჰა	606,0	30,2	2,3	100	5,0	0,4
ხვედრითი წილი	%	33,7	10,8	11,9	–	–	–

*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

საქართველოში მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე სამართლიანად გაკეთდა აქცენტი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების შევსებასა და კერძო საკუთრებაში მათ მთლიანად გადაცემაზე. მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების მექანიზმის შემუშავება.

მიწის რეფორმამდე, პირად დამხმარე მეურნეობაზე მოდიოდა დამუშავებული მიწების 17,6 % და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 47 %. რეფორმის შემდეგ მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 944,1 ათასი ჰექტარი კერძო საკუთრების მიწა, უმეტეს შემთხვევაში, გახდა გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნის საფუძველი. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში გლეხს შეუძლია თავისი მეურნეობა გააფართოვოს იჯარით (ან იჯარა-გამოსყიდვით აღებული მიწის ხარჯზე).

ეკონომიკის აგრარულ სექტორში მეურნეობრიობის მთელი მექანიზმის გარდაქმნის ძირითად პრინციპებს უნდა მოემსახუროს იჯარის, კოოპერაციისა და საარენდო ურთიერთობების სხვადასხვა ტიპი.

პრაქტიკაში ხშირად გაიგივებულია საიჯარო და საარენდო ურთიერთობები, რაც არამართებულია. საარენდო ურთიერთობებისას, საწარმოო პროგრამას არენდატორები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ. მათ აქვთ უფლება დამოუკიდებლად გამოიყენონ წარმოებული პროდუქცია, წარმართონ საწარმოო პროცესები, დააწესონ სამუშაო დღის ხელსაყრელი რეჟიმი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, განსაზღვრონ პირუტყვის კვების რაციონი, მინდვრის სამუშაოების ჩატარების ვადები და ა.შ. ანუ სოფლის მეურნეობაში საარენდო ურთიერთობა მოიცავს იმ პირობების და ფაქტორების მთელ კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს არენდატორთა დამოუკიდებელ მუშაობას, ხოლო საიჯარო ურთიერთობის დროს მოიჯარეს, მიუხედავად დამოუკიდებლობისა, მაინც არ ეძლევა რეალური შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს საწარმოო პროგრამა და გამოიყენოს

მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

საარენდო ურთიერთობა ფართოდ არის გავრცელებული საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ბევრმა ქვეყანამ ამ სფეროში გარკვეული გამოცდილება დააგროვა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის აგრარული სექტორის სწრაფად განვითარებას. საარენდო ურთიერთობების უპირატესობა აშკარაა, მაგრამ მეურნეობის ეს პროგრესული ფორმა, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძნელად ინერგება პრაქტიკაში.

აქედან გამომდინარე, აგრარული რეფორმის ყველა ეტაპზე საჭირო და აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ დახმარებას უწევს სახელმწიფო ფერმერთა საქმიანობას. ამჟამად ფერმერთა რიცხოვნობა აშშ-ში მცირდება. თუ 1935 წელს 7,0 მილიონი ფერმერი იყო, 1985 წელს მათი რაოდენობა 2,3 მილიონამდე, ხოლო 1991 წლისათვის 2,1 მილიონამდე შემცირდა. მნიშვნელოვანია, რომ შემცირდა მიწის ფართობებიც. ამ უარყოფითი ტენდენციების დაძლევის მიზნით, ამერიკის მთავრობა ფერმერების დასახმარებლად სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამები, რომლებშიც ფერმერები ნებაყოფლობით ერთიანდებიან. ამასთან, ისინი ასრულებენ მთავრობის ყველა დავალებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

სახელმწიფო პროგრამაში გაერთიანებულ ფერმერთა ურთიერთობაში მთავარ და გადამწყვეტ როლს მაინც ბიზნესის მარეგულირებელი ეკონომიკური მექანიზმი ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არ ადგენს ფასებს, თითოეული პროდუქციისთვის დაწესებული აქვს ფასის გარკვეული ნორმატივი. თუ რომელიმე წელს ბირჟის ფასი მთავრობის მიერ დადგენილ ფასზე დაბალი იქნება და ფერმერი ვერ

გაყიდის თავის პროდუქციას ნორმირებულ ფასზე ძვირად, მაშინ პროგრამის წევრ ფერმერებს სახელმწიფო უხდის განსხვავებას მათ მიერ გაყიდული პროდუქციის ფასსა და მთავრობის მიერ დადგენილ ფასს შორის.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, მეურნეობების ნებისმიერი ფორმის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების შრომითი კოლექტივებისა და მათ სანედლეულო ზონაში გაადგილებული ნედლეულის მწარმოებელი ფიზიკური და იურიდიული პირების ეკონომიკური ინტერესების გაერთიანების გარეშე. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და შესაბამისი ნედლეულის საწარმოების ინტეგრაცია და შემდგომში მათი ერთ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება მეურნეობის ერთ-ერთ პერსპექტიულ ფორმად მიგვაჩნია.

ინტეგრაციის პროგრესული ფორმების ძიების დროს განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს მცირე ბიზნესის განვითარების საკითხი. მაღალგანვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ მისი განვითარება არ საჭიროებს დიდ კაპიტალურ დაბანდებასა და ხანგრძლივ დროს. სწორედ ამის შედეგია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მუშახელის დასაქმების, წარმოების მოცულობისა და ექსპორტის მიხედვით შეადგენს 0,50–0,67-მდე. მათი ხვედრითი წილი ასევე სწრაფად იზრდება ეკონომიკურად დაბალგანვითარებად ქვეყნებში.

მცირე ბიზნესის განვითარებას ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს ჩვენი ქვეყნის პირობებში, ვინაიდან გადამამუშავებელი საწარმოებისა და ნედლეულის მწარმოებელთა ინტეგრაციას ლოკალურ მასშტაბში, მსხვილმასშტაბიან ინტეგრაციასთან შედარებით, მრავალი რთული პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია. სოფლის პირობებში მოქმედი ნებისმიერი საკუთრების ფორმის მეურნეობისათვის, რომელსაც აქვს ჩაის,

ვენახის, ხეხილისა და სხვა პლანტაციები, ცხადია, უმჯობესი იქნება წარმოებული პროდუქცია იქვე, ადგილზე გადაამუშაოს.

იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც განაპირობებენ მიწების რაციონალურად გამოყენებას, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მიწათსარგებლობის მოწესრიგება ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მიწის კადასტრი, რომელიც გულისხმობს მიწის სახელმწიფო რეგისტრაციას მოსარგებლეთა მიხედვით, მათ რაოდენობრივ აღრიცხვასა და ხარისხობრივ დახასიათებას, ნიადაგის ბონიტირებასა და მიწის ეკონომიკურ შეფასებას.

მიწის კადასტრს და მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილის – მიწის – ეკონომიკურ შეფასებას საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. მიწის ეკონომიკური შეფასების მეთოდის მეცნიერულ დონეზე შესწავლისა და ამ დარგში გამოცდილების ფართოდ განზოგადების მიზნით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ფართო გაქანება მიიღო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საკვლევი ზონის რაიონებში დაშრობილი მიწების ეკონომიკის შეფასებისათვის გამოვიყენოთ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული მეთოდი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთი ბალის ფულად შეფასებას ითვალისწინებს. ეს მეთოდი იმ მხრივ არის მიზანშეწონილი, რომ ინფლაციური პროცესების პირობებში სხვა მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასი მომავალში უნდა გახდეს მიწაზე გადასახადისა და საიჯარო ქირის საფუძველი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ეკონომიკური შეფასების ერთი ბალის ფასი განისაზღვრება:

$$b_{\text{ფ}} = \frac{m_{\text{მ}} \times V + 0.5 \times \Gamma_{\text{მ}} \times V_2}{s_{\text{ს}} \times s_{\text{ა}}}$$

სადაც: $b_{\text{ფ}}$ – მიწის შეფასების ერთი ბალის ფასია;

$m_{\text{მ}}$ – სოფლის მეურნეობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი;

V – მიწის გამოყენების ვადა (წელი);

$\Gamma_{\text{მ}}$ – წელიწადში წმინდა შემოსავლის ზრდის ტემპი;

$s_{\text{ს}}$ – სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი თანაზომად სახნავში;

$s_{\text{ა}}$ – სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ბალი.

აღნიშნული ფორმულის გამოყენებით დადგინდა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი ბალის შეფასება შეადგენს 20,3 აშშ დოლარს, რომლის ცალკეული საკვლევი რაიონის დაშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ეკონომიკური შეფასების ბაზზე გამრავლებით მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფასს (ცხრილი 2.2.12).

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ სახნავი მიწის ფასი ყველაზე მაღალია ქობულეთის, ლანჩხუთისა და ხობის რაიონებში, ამასთან, დაშრობილი სახნავის ფასი მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწის ფასზე მაღალია მარტვილის, ხობის, სენაკის, აბაშის, ხონის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის, ლანჩხუთის და ქობულეთის რაიონებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ რაიონებში მრავალწლიანი ნარგავები გაშენებული იყო შედარებით დაბალი კატეგორიის, მოუმზადებელ ნიადაგებზე, ამასთან, მათი დამუშავება-მოვლის სამუშაოები არ ტარდებოდა აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადებში და მეთოდებით.

როდესაც მელიორირებული მიწებისა და მათზე არსებული შენობა-ნაგებობების მოვლა-კატრონობაზე, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე ვმსჯელობთ, საბჭოური შეხედულებების გავლენის სფეროში ვექცევით და მივიჩნევთ, რომ კვლავ სახელმწიფომ უნდა

საკვლევ რაიონებში დაშრობილი მიწების ფასი

(ჰა/აშშ დოლარი)

№	რაიონის დასახელება	სახნავი	მრწ. ნარგავები	სათიბი	საძოვარი
1	გაგრა	1522	1502	650	223
2	გუდაუთა	1218	1502	690	264
3	სოხუმი	1421	1663	629	223
4	გულრიფში	1218	1502	670	264
5	ონამჩირე	1238	1462	670	223
6	გალი	1218	1421	710	244
7	ზუგდიდი	1624	1502	893	304
8	ჩხოროწყე	1644	1502	1259	244
9	მარტვილი	1624	1502	974	264
10	ხობი	1583	1502	1218	183
11	სენაკი	1624	1502	751	345
12	აბაშა	1563	1319	–	467
13	ხონი	1624	1502	–	203
14	წყალტუბო	1563	1319	568	183
15	ვანი	1340	1644	1319	304
16	ბაღდათი	1340	1644	710	223
17	სამტრედია	1563	1319	–	244
18	ზესტაფონი	–	–	–	–
19	თერჯოლა	–	–	–	–
20	ღანჩოთი	1644	1299	873	325
21	ჩოხატაური	1624	502	751	203
22	ოზურგეთი	1665	1522	1015	183
23	ქობულეთი	1604	1380	609	122
24	ხელვაჩაური	1401	1563	771	162
საშუალოდ		1537	1455	893	280

უზრუნველყოს მეღიორირებულ მიწებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების დაფინანსება. რა თქმა უნდა, ცხადია, რომ აგრარული რეფორმის სტრატეგია და ტაქტიკა აღნიშნული პირობების ადეკვატური უნდა იყოს. თუ მეღიორირებულ მიწების მოვლა-პატრონობა სახელ-

მწიფოს ზრუნვის საგანი არ გახდება, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ეფექტიანობა და მისი ეკონომიკური მექანიზმის ქმედითობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული საბაზრო ურთიერთობებზე მორგებული, მეცნიერულად დასაბუთებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, დაუსაბუთებლად იხარჯებოდა ბიუჯეტის სახსრები, ნათელი გახდება, რომ მიწის გადასახადიდან ბიუჯეტში ცალკე სტრიქონის სახით აკუმულირებული თანხების ზემოაღნიშნული დანიშნულებით, მიზნობრივად გამოყენება შეუძლებელი იქნება. რაც მთავარია, სახსრების უმეტესი ნაწილი მიმართული იქნება არა მიწის გამოყენების გაუმჯობესების ცალკეული ღონისძიებების, არამედ დასახლებული პუნქტების სოციალური განვითარების ღონისძიებების განსახორციელებლად.

ამის აუცილებლობას განაპირობებს მეღიორირებული მიწების, განსაკუთრებით კი დაშრობილი მიწების, გამოყენების თავისებურებანი, ვინაიდან, ნიადაგურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწები თანამიმდევრულ, ყოველწლიურ მეღიორაციულ და აგრომეღიორაციულ ღონისძიებათა განხორციელებას საჭიროებენ. ამ ღონისძიებების გარეშე, ამ მიწებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის მინიმალური ოდენობის მიღებაც კი შეუძლებელი იქნება.

გაანგარიშების შედეგად დადგენილ იქნა მიწის გადასახადის საერთო რაოდენობიდან დაშრობილი მიწების გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის გამოსაყოფი თანხის მოცულობა რაიონების მიხედვით, რაც ჩვენი საკვლევი რეგიონისათვის 2,83 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ანუ 24 რაიონის ერთ ერთეულზე საჭიროა, საშუალოდ, 118.0 ათასი აშშ დოლარი.

ჩვენი აზრით, აგრარული რეფორმის გარდამავალ ეტაპზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივად ხარჯვის მექანიზმის

ამოქმედება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების ეფექტიანობის ამაღლებას.

2.3. დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის, მეწარმეთა მენტალიტეტის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არჩეული პოლიტიკის გათვალისწინებით, აგროსასურსათო სექტორის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სხვადასხვა ტიპის კოოპერატივებისა და ასოციაციების (პირთა წევრობაზე ან სახელმწიფო ქონებაზე დაფუძნებული) ჩამოყალიბება, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება და სათანადო სამუშაოების ჩატარება, ნორმატიული აქტების მომზადება.

მელიორაციის დარგში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ცენტრალურ საბიუჯეტო სახსრებთან ერთად, საჭიროა ადგილობრივი ბიუჯეტების მობილიზება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ასეთ პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვადასხვა აქტუალურ და ძირითად საკითხებთან ერთად, დასაქმებულია მელიორაციის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებით, საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების მომზადებით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებით, ფერმერთა ხელშეწყობით, დარგის განვითარების პრობლემების დამუშავებითა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით.

მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო მელიორაციის დარგის დეგრადაცია. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, დარგის რეაბილიტაციისათვის საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა, სათანადო დაფინანსება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია “მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში განსახორციელებელი რეფორმების პირველი ეტაპის შესახებ”, “სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწების მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის 20 და 22 სექტემბრის 527 ბრძანებულებები, “მიწების მელიორაციის შესახებ” და “წყლის შესახებ” საქართველოს კანონები. გაწეული დანახარჯების ამოსაღებად დადგინდა დროებითი შეღავათიანი ტარიფი წყლის მიწოდებაზე. დამტკიცდა სარწყავი, დამშრობი და გაწყლოვანების სისტემის მოვლა-შენახვაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოსაყოფი სახსრების ხარჯვის ნორმები, საირიგაციო წყალსაცავებზე თევზის წარმოების განვითარების პროგრამა, მცირე ჰესების მოწყობის სქემა, ირიგაციული წყალსაცავების ექსპლუატაციის წესები, სოფლის წყალსადენებისა და წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების ექსპლუატაციის წესები, მაღალი აწევის სატუმბი სადგურების თვითდინებაზე გადაყვანის პროგრამა და სხვ.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციაში ცალკეა გამოკვეთილი სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მელიორაციის დარგში რეფორმების განხორციელებასა და სამელიორაციო ფონდის რესტრუქტურირებას.

ირიგაციისა და დრენაჟის სექტორში რეფორმების განხორციელებისა და მისი რეაბილიტაციის გარეშე შეუძლებელი იქნება საქართველოში აგრარულ-სასურსათო წარმოების პოტენციალის ამოქმედება.

მელიორაციის დარგში მიმდინარე რეფორმებმა, საკანონმდებლო და ნორმატიულმა ბაზამ საიმედო პირობები შექმნა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. შეიქმნა სპეციალური საინვესტიციო პროექტების ბიურო. აქტიური მუშაობა ჩატარდა მსოფლიო ბანკის მისიასთან და უცხოელ კონსულტანტებთან, რომელთა მონაწილეობით 1996 წელს მომზადდა საქართველოს საირიგაციო და დრენაჟის სისტემების შეფასების პროგრამა და უკვე 1997 წლიდან დაიწყო მისი განხორციელება. მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირა ხელისუფლებას და შესაბამის სტრუქტურებს სარწყავი და დამშრობი სისტემების მომხმარებლებისაგან დანახარჯის ამოღების საკითხში, რათა მომხდა-რიყო მათი ექსპლუატაციის, მოვლა-პატრონობისა და კაპიტალური ხარჯების ნაწილის დაფარვა.

მსოფლიო ბანკის სესხები ყოველთვის შეიცავს შესატყვისი წყლის გადასახადის დაწესების პირობას, მაგრამ ეს პირობები, განსაკუთრებით კი სავეგეტაციო პერიოდთან დაკავშირებული, ხშირად ვერ (არ) სრულდება.

გრძელვადიანი სესხების მიზანია იმ რესურსების მობილიზაციის სისტემის შექმნა, რომლითაც მოხდება კაპიტალური ხარჯების დაფარვა, გადასახადების ამოღება იმ პირთაგან, რომლებიც პირდაპირ სარგებელს იღებენ ირიგაციისა და დრენაჟის მოხმარებისაგან. რესურსების მობილიზაცია უნდა მოხდეს მომხმარებლებისაგან, ამასთან, გაანალიზებულ უნდა იქნეს ფერმერთა საქმიანობის ფინანსური სისტემა.

გამოცდილება ამტკიცებს, რომ ფერმერებს სურთ და მზად არიან გადაიხადონ გარკვეული საფასური სამელიორაციო მომსახურებისათვის.

სახელმწიფოს მიერ მელიორაციული ღონისძიებების დაფინანსების დანახარჯებში სოფლის მეწარმეთა წილის თანდათანობითი მატება წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბებით უნდა მოხდეს, რაც ხელს შეუწყობს სარწყავი და დრენირებული წყლის საფასურის ეტაპობრივად ოპტიმიზებას და მისი მიღების მექანიზმის გაუმჯობესებას. სახელმწიფო ფინანსები თანდათანობით გადავა მაგისტრალური არხების მომსახურებაზე, ხოლო დანარჩენი კატეგორიის არხები გადაეცემა ადგილობრივ კერძო სტრუქტურებს.

ეს ახალი ინსტიტუციური მოწყობა ხელს შეუწყობს მელიორირებულ მიწებზე კერძო სტრუქტურის განვითარებას და სამელიორაციო სისტემების ეფექტიანობის ამაღლებას. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება გამოიწვევს სოფლად საწარმოო და სოციალური მომსახურების, მატერიალური წარმოების სფეროების განვითარების, სოფლის მეურნეობაში მუშახელის დასაქმებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს სოფლად სამეურნეო ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნას. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან ერთად შესაძლებელი გახდება სოციალური საკითხის მოგვარება. ეკონომიკური სტაბილურობა უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის სათანადო განვითარებას, რომელიც ბიძგს მისცემს სოფლად ეკოლოგიური და ლანდშაფტების დაცვითი ღონისძიებების გატარებას.

დაწყებულ იქნა მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის

მომზადება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო მაგისტრალური არხების, დამშრობი და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციას, წყალმომხმარებელთა და დრენაჟის მომხმარებელთა კოოპერატივების (ასოციაციების) ჩამოყალიბებას, ფასიან წყალმომსახურებაზე გადასვლას.

1997 წელს ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობაში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ასევე ითვალისწინებს წყლის მართვის (spfs) პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტის “ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციას”. ამ დოკუმენტის მიხედვით, პროექტის ღირებულება შეადგენს 108.0 მლნ აშშ დოლარს (მ.შ. მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) დაფინანსება – 90 მლნ დოლარი, ხოლო 18 მლნ აშშ დოლარი 10 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან და ფერმერთა შენატანებიდან უნდა დაიფაროს), რომელიც სამ ტრანშად დაფინანსდება: პირველი ტრანში ითვალისწინებს 38,0 მლნ დოლარს, მეორე ტრანში – 40,0 მლნ დოლარს, მესამე ტრანში – 30,0 მლნ დოლარს, საქართველოს მთავრობისა და მოსარგებლეთა წილის ჩათვლით.

პროგრამის შესაბამისად, დაფუძნდა 170-ზე მეტი სამელიორაციო კოოპერატივი, რომელიც 300 ათას ჰექტარ სარწყავ და დაშრობილ მიწებს მოიცავდა, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს არ წარმოადგენს მართვის სრულყოფილ ფორმას და საჭირო გახდა მისი უფრო მოქნილი ფორმით ჩამოყალიბება. ამიტომ 1999 წლის 29 სექტემბერს გამოცა საქართველოს პრეზიდენტის 563 ბრძანებულება „წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“.

პირველ ეტაპზე, რომელიც 5 წელიწადს (2002-2006 წ.წ.) მოიცავს, გათვალისწინებულია კადრების მომზადება და ფერმერთა სწავლება, ადჰურვილობის შექმნა, წყალმოსარგებლე ფერმერთა ასოციაციების

ფინანსური დახმარება, ირიგაცია-დრენაჟის სისტემის ნაწილის რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს 104 ათას ოჯახურ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდასა და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორადი დაჭაობების პროცესებისა და მალარიის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას, დასახლებული პუნქტების წყალდიდობისაგან დაცვას. ამავე პერიოდში, კოლხეთის ჭარბტენიან მიწებზე მოხდება ოთხი სადრენაჟო და ოთხი საირიგაციო სისტემის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია, შესაბამისად, 14,8–30,0 ათას ჰექტარზე და 10,65–31,38 ათას ჰექტარზე. ამასთან, საირიგაციო და დრენაჟის ობიექტებზე გათვალისწინებულია სარემონტო სამუშაოების შესრულება, შესაბამისად, 47,0 და 10,0 ათას ჰექტარზე.

2.3.1. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბების თავისებურებანი

წყალმომხმარებელთა (დრენაჟის მომხმარებელთა) ასოციაციების საკითხებისადმი მსოფლიოში არაერთგვაროვანი მიდგომაა.

წყლის მართვა არის ღონისძიებების კომპლექსი, რომელშიც შედის წყლის რესურსების კვლევა და შეფასება, დაგეგმვა-რეგულირება, წყლის რესურსების განთავსება, განაწილება, მოხმარება, დაცვა, აღდგენა, წყლის კონსერვაცია და ხელახალი გამოყენება.

ახლო წარსულში წყლის მართვა, ძირითადად, საინჟინრო ღონისძიებებს აერთიანებდა, კონცენტრირებული იყო მხოლოდ ზედაპირულ წყლებზე და ადგილობრივ ხასიათს ატარებდა. ამჟამად

წყლის მართვაში იგულისხმება ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი საკითხები.

წყლის მართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ინსტიტუციურ სტრუქტურაზე. წარსულში იგი ფუნქციური და ფრაგმენტული ხასიათის იყო. ამჟამად წყლის მართვის სადავეები თანდათანობით გადადის დამოუკიდებელი ერთეულების ხელში და აქციების მფლობელებს წყლის პოლიტიკის, დაპროგრამების, დაპროექტებისა და საქმიანობის შეფასებაში მიეცემათ მონაწილეობის უფლება.

წყლის მართვის ინსტიტუციური სისტემა თავისთავად გულისხმობს დეცენტრალიზაციის ღონისძიებების გატარებას, რომელთა მეშვეობით ზოგიერთი სახელმწიფოს საქმიანობა ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლებისაგან განსხვავებული ერთეულების ან ორგანიზაციების მიერ. დეცენტრალიზაციას შეიძლება ჰქონდეს ფუნქციონალური, ინსტიტუციური, გეოგრაფიული და სხვა მნიშვნელობა. იქმნება ე.წ. წყლის მომხმარებელთა (სასმელი და/ან ტექნიკური) ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები უშუალოდ ერთვებიან წყლის მართვაში, და რომლის ანალოგიები (ასოციაციები, კოოპერატივები) ევროპაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა, ხოლო აზიაში იგი კოოპერატივების სახით საუკუნოვანი ისტორიული ტრადიციების მატარებელია. ფაქტობრივად, “მომხმარებლებზე” უფრო შესატყვისი ტერმინი “მონაწილეები” იქნება, რადგან ყველა მონაწილე არ არის მომხმარებელი. მათ შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ან სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ზემოქმედება მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე.

წყლის მმართველი ასოციაციები მარტო ირიგაციით და/ან დრენაჟით არ შემოიფარგლებიან. მაგალითად, ბელგიაში “Wateringuess”-ი წარმოადგენს მიწის მფლობელთა ასოციაციას, რომელიც მართავს

წყალთან დაკავშირებულ სამუშაოებსაც, წყალდიდობის მართვის მიზნით აქვე ჩამოყალიბდა ასოციაცია “Polder”-ი, რომელთა სუბსიდირებას სახელმწიფო ახდენს.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და წყლის მომხმარებელთა ასოციაციების წარმომადგენლები შეიძლება გაერთიანდნენ მრჩეველთა საბჭოებად, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სამუშაო გეგმების, ბიუჯეტების, ტარიფების, სარჩელებისა და სხვა საკითხების ადგილებზე რეგულირება სამელიორაციო ასოციაციების წევრთა სასარგებლოდ. მაგალითად, ჩინეთში “ირიგაციის მართვის გაუმჯობესება” პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ირიგაციის მართვაში წყლის მომხმარებელთა ასოციაციების პოზიტიურ მონაწილეობას, რაც სახელმწიფოსთან ერთად ექსპლუატაციისა და სისტემის მოვლა-პატრონობის მართვას გულისხმობს.

წყლის მომხმარებელთა ასოციაცია თავისი იურიდიული ფორმით შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო. აღიარებულია, რომ მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი უპირატესობას სახელმწიფო ორგანიზაციებს ანიჭებს. კერძო ასოციაციები და კოოპერატივები ევროპაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ წყლის ადგილობრივ მართვაში, უფრო მეტიც, საჭიროებენ სახელმწიფო ორგანიზაციული მეთოდების გამოყენებას. ასოციაციების წევრობასთან დაკავშირებით ხშირად წამოიჭრება კითხვა: წევრობა სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი? შეიძლება კერძო მომხმარებლები თუ სახელმწიფო სტრუქტურები იყვნენ წევრები? ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში პასუხი არაერთგვაროვანია. არგენტინაში, ეკვადორში, ესპანეთში, აშშ-ში იგი სავალდებულოა, ავსტრიაში კი არსებობს სამი ტიპი: ნებაყოფლობითი ჩამოყალიბება და წევრობა, ასევე სავალდებულო

წევრობა და სავალდებულო კოოპერატივები, რომლებიც ასევე ზედამხედველობას უწევენ წყალდიდობებსა და ბუნების დაცვით მოვლენებს.

ასოციაციები, მომხმარებლებისთვის წყლის მიწოდებასთან ერთად, სისტემატურად ზრუნავენ ახალი ქსელების მშენებლობაზე, ექსპლუატაციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, წევრებს შორის წყლის განაწილებასა და წყალთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წყლის მართვაში მონაწილეობის რამდენიმე ორგანიზაციულ ალტერნატივას განიხილავენ:

- ორგანიზაციები, რომელთა მიზანი საერთო არხების მართვა, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და წყლის განაწილებაა;

- ამ შემთხვევაში წევრების სასარგებლოდ იქმნება კორპორაცია, რომელიც მოგებაზე არ არის ორიენტირებული. მისი მიზანია წევრებს შორის წყლის განაწილებაზე ზედამხედველობა. მას უფლება აქვს აიღოს სესხი, რომლის გარანტად ჩადებს თავის აქტივებს;

- წყლის მომხმარებელთა ასოციაციები, თავის მხრივ, კონტრაქტს აფორმებენ ფედერალურ ხელისუფლებასთან, ამასთან, მათ აქვთ წევრობის გადასახადის შეგროვების უფლება;

- არხების კომპანიები შეიქმნა მომხმარებლებისათვის გარკვეული ანაზღაურების ფასად წყლის მიწოდების მიზნით, რომლითაც წყლის განსაზღვრული რაოდენობის მართვის უფლება აქვთ.

ბრაზილიაში წყლის მომხმარებლები გადასახადებს იხდიან მომხმარებელი წყლის რაოდენობის საექსპლუატაციო ხარჯებისა და მორწყული (დამრობილი, გაწყლოვანებული) ფართობის და მეურნეობის გარე ინფრასტრუქტურაში სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯე-

ბის დაფარვის წილის შესაბამისად. გარდა ამისა, სახელმწიფოს უფლება აქვს სამელიორაციო სისტემებზე სახელმწიფო ინვესტიციების სახით ჩადებული კაპიტალური დანახარჯები ამოიღოს 25 წლის განმავლობაში, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფერმერული მეურნეობის მიხედვით. ამასთან, ახლად შექმნილი სამელიორაციო ასოციაციები კრეფენ მომსახურების გადასახადებს, რომელიც გამოიყენება დარგის შემდგომი განვითარებისათვის და სახელმწიფო სესხების დასაფარავად.

ჩილეს რესპუბლიკაში სამელიორაციო დარგის განვითარება-რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტი კაპიტალური დანახარჯების დაფარვას ინვესტირების გარეშე ითვალისწინებს და პროექტის დასრულების შემდეგ განისაზღვრება. საინვესტიციო ხარჯები მომხმარებლებზე ნაწილდება, რომელთაც გადასახადის გადახდის ოთხწლიანი შეღავათი ეძლევათ. გადახდის ვადა 25 წელს არ აღემატება შესაბამისი წლიური საპროცენტო დანარიცხით. ამასთან, ინვესტორი ითვალისწინებს მომხმარებლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და დავალიანების გადახდის სათანადო შეღავათებს უწესებს.

კორეაში ირიგაცია-დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მიწების მელიორაციული გაუმჯობესებისა და წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება-განვითარებას. მომხმარებლები ვალდებულნი არიან უკლებლივ გადაუხადონ ასოციაციებს გაწეული მომსახურების საფასური, ასოციაციებს, თავის მხრივ, მოეთხოვებათ 35 წლის განმავლობაში თანდათანობით დაფარონ აღებული სესხები 5,5 %-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, ხოლო ის თანხა, რომლის დაფარვასაც ვერ შეძლებენ ფერმერები, სახელმწიფოს მიერ მათ გრანტის სახით გამოეყოფათ.

პერუში დაწესებულია ორი ტიპის გადასახადი წყალზე: სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წყლის გადასახადი. თუმცა, რეალურად, ტარიფებში ასახული არ არის წყლის სრული ღირებულება. სოფლის მეურნეობაში წყლის რაოდენობაზე დადგენილი გადასახადი სამი ნაწილისაგან შედგება: სარწყავი/დამშრობი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, რეაბილიტაციის (გაუმჯობესების) და ადმინისტრაციის გადასახადი; წყლის გადასახადი, რომელიც გადაირიცხება სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში ან მელიორაციის სპეციალურ ანგარიშზე, პირველი ნაწილის 10 %-ს შეადგენს. ასევე, პირველი ნაწილის 10 %-ს შეადგენს მესამე ნაწილიც, რომელიც ითვალისწინებს მელიორაციის ინფრასტრუქტურის საამორტიზაციო დანახარჯების დაფარვას.

საერთოდ, პერუში, უმეტეს შემთხვევაში, სარწყავი წყლის ტარიფები დაბალია, რაც გაწეული დანახარჯების დაფარვის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და აღნიშნულ საკითხებზე სრული პასუხისმგებლობა მომხმარებლებს დაეკისრა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სამელიორაციო ასოციაციებს უვადო უზუფრუქტის ხელშეკრულებით უსასყიდლოდ გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობისათვის სახელმწიფო სახსრები არ გამოეყოფათ. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან საკუთარი დანაზოგით მოუარონ და უპატრონონ მათ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში მყოფი ასოციაციების მიერ თავიანთი მომხმარებლებიდან ამოღებული მინიმალური თანხებიდან გარკვეული ნაწილი

უნდა გადაუხადონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის – წყლის მიწოდება-გაყვანისათვის.

სამელიორაციო ქსელებისა და სისტემების სრულ წესრიგში მოყვანამდე და მომსახურების რეალური ღირებულების დადგენამდე, ასოციაციების მიერ საკუთარი სახსრებით მათ მოვლა-პატრონობაზე საუბარიც კი შეუძლებელია. უკანასკნელი წლების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამელიორაციო სისტემების ტექნიკური სრულყოფა, რასაც მიწათმოსარგებლე და ჩამოყალიბება-დაფუძნების ეტაპზე მყოფი სამელიორაციო ასოციაციებიც ვერ უზრუნველყოფენ. ამიტომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა ასოციაციებს მხოლოდ ტექნიკურად გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა უნდა გადასცენ. თუნდაც წესრიგში მოყვანილი ქსელების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ხარჯები იმდენად ძვირადღირებულია, რომ შეღავათიანი ტარიფით ამონაგები თანხებიც ვერ უზრუნველყოფს მათ დაფარვას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად გვესახება სამელიორაციო ასოციაციები რეგისტრაციის დღიდან 10-15 წლის ვადით განთავისუფლდნენ ყოველგვარი მოსაკრებლისა და გადასახადისაგან. ამ პერიოდში განხორციელებული სამელიორაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად დარჩეს მათ საბანკო ანგარიშზე და მისი საშუალებით თანდათანობით უზრუნველყონ ქსელებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც, საბოლოო ჯამში, მომსახურების ღირებულების რეგულირებისა და სატარიფო განაკვეთების გაზრდის შესაძლებლობას მოგვცემს.

საერთო სარგებლობის სამელიორაციო სისტემებისა და რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მართვას განახორციელებს სამელიორა-

ციო სისტემის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ამჟამად (და მომავალშიც) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო მე-2 და მე-3 რიგის შიდასამეურნეო ქსელების მართვას – ასოციაციები, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გადაეცემათ დაფინანსების საბიუჯეტო წყარო.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (განვითარებული თუ განვითარებადი) გამოცდილებიდან ჩანს, რომ თითქმის არც ერთ ქვეყანაში სამელიორაციო ასოციაციები სახელმწიფო დახმარების გარეშე არ არსებობენ. ინდოეთში, პაკისტანში, ნიგერიაში, ეგვიპტეში, ინდონეზიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში სამელიორაციო სისტემების მოვლა-პატრონობაში სახელმწიფოს ლომის წილი მიუძღვის. თურქეთში, ვიეტნამში, ფილიპინებში, მაროკოში, კოლუმბიაში, მექსიკასა და ჩილეში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაცია-შენახვის ხარჯების 30-50 %-ს სახელმწიფო იხდის, მათ შორის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, გადაიარაღება-გაფართოება მთლიანად სახელმწიფო სუფსიდიებით ხორციელდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ქვეყანაში ასოციაციებს ტექნიკურად გაუმართავი ქსელები და სხვა ინფრასტრუქტურა არ გადაეცემათ, ისინი, უბრალოდ, არ მიიღებენ.

საქართველოში სამელიორაციო ასოციაციებს, ძირითადად, სწორედ გაუმართავი, გამარცვული და თითქმის ნგრევის ზღვარზე მისული ქსელები და ინფრასტრუქტურა გადაეცემათ. მდგომარეობის გამოსწორების, სამელიორაციო ასოციაციების მომსახურების დონის ამაღლებისა და ამ სფეროში სახელმწიფოს როლის გაზრდის მიზნით:

1. სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს 2002-2005 წლებში ასოციაციებისთვის გადაცემული

ტექნიკურად გაუმართავი ქსელებისა და სხვა ინფრასტრუქტურის წესრიგში მოყვანა;

2. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა გახდეს არამართო მაკონტროლებელი, არამედ ასოციაციების ინტერესების დამცველი ორგანოც;

3. სამელიორაციო ასოციაციები 2015 წლამდე გათავისუფლდნენ ყოველგვარი მოსაკრებლისა და გადასახადისაგან, მათ შორის სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის;

4. ასოციაციებს უნდა დარჩეთ მომსახურების ტარიფებით ამონაგები თანხები და წარმართონ ტექნიკურად გაუმართავი ქსელებისა და სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისაკენ.

საქართველოში ირიგაცია-დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებული ასოციაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობას პროექტის საკოორდინაციო ცენტრი (პსც) ან პროექტის ტექნიკური ერთეული (პტე) ახორციელებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ამგვარად, რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ასოციაციებს არ ესაჭიროებათ განცხადების წარდგენა. ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება შეზღუდულია, ამიტომ დაინტერესებულმა ასოციაციებმა პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ან პროექტის ტექნიკურ ერთეულში, არსებული წესის შესაბამისად, უნდა წარადგინონ განცხადებები ეროვნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც რიგის მიხედვით განიხილება და შეფასდება შერჩევის კრიტერიუმებით.

2.3.2. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ეკონომიკური დასაბუთება

საქართველოს უდიდესი სიმდიდრე გააჩნია მელიორირებული მიწებისა და სამელიორაციო ფონდის სახით, რომლის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა, გაფართოება და ეფექტურად გამოყენება სახელმწიფოს მუდმივ მხარდაჭერასა და ზრუნვას მოითხოვს.

ჯერ კიდევ 1987 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ სამელიორაციო სისტემები გადაუდებელი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებდა, მაგრამ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ქვეყნის მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ, სათბობ-ენერგორესურსებზე ტარიფების მკვეთრმა ზრდამ და რიგმა სხვა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა უდიდესი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ისედაც ცვეთის ზღვარზე მყოფ მთლიან სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე. სარწყავი ფართობების ორი მესამედი თითქმის გაუდაბნოების ზღვარს ქვემოთაა, ხოლო დაშრობილი ფართობის ძირითადი ნაწილი მეორად დაჭაობებას განიცდის (65,5 ათ. ჰა). გაურკვეველი ვითარებაა შექმნილი შიდასამეურნეო ქსელების მოვლა-პატრონობაზე, ვინაიდან, ჯერ კიდევ წარსულში, მიწათმოსარგებლების მიერ (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები) არ ხდებოდა ამ ქსელების ნორმატივებით გათვალისწინებული წმენდითი და სხვა საექსპლუატაციო სამუშაოები.

კოლხეთის დაბლობის რაიონებში დაშრობილ 109,9 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე შიდასამეურნეო ქსელების სიგრძე 50.6 ათას კმ-ს შეადგენს, დახურული დრენაჟის – 6,6 ათას კმ-ს, ხო-

ლო წყალშემკრები ქსელებისა – 22,0 ათას კმ-ს, რომელთა მელიორაციული ფონის გაჯანსაღებისათვის საჭიროა შესრულდეს:

1. შიდასამეურნეო წყალმიმღები და წყალშემკრები ქსელების წმენდის 26,2 მლნ კმ-ის მოცულობის 11 მლნ ლარის სამუშაოები;
2. დახურული დრენაჟის გამორეცხვის 1,1 მლნ ლარის სამუშაოები;
3. არხების საერთო წმენდის 4,5 მლნ ლარის სამუშაოები;
4. ორნატების წმენდის (21,6 მლნ გრძივი მეტრი) 3,1 მლნ ლარის სამუშაოები;
5. 18,2 ათასი გრძივი მეტრის მილხიდების მოწყობის 10,9 მლნ ლარის სამუშაოები;

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად სულ საჭიროა 40,3 მლნ ლარი.

სამწუხაროა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს სამუშაოები „არადამაკმაყოფილებელი“ მაჩვენებლით ფასდებოდა. 2003 წლის მონაცემებით, დაშრობილი მიწების მხოლოდ 35,2 % პასუხობს „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების ნორმებს.

2005 წლის მდგომარეობით, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ირიგაცია-დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტით 262,1 ათას ჰექტარზე ჩამოყალიბებულია 263 ერთეული სამელიორაციო ასოციაცია, მათ შორის 15,8 ათას ჰექტარზე – 26 ერთეული დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაცია.

საქართველოში სამელიორაციო კოოპერატივების (ასოციაციების) ჩამოყალიბება და შემდგომში მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – წყალმომხმარებელთა და/ან დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციების სახით დამკვიდრება თვითმიზანი არ არის, მათი ფუნქციონ-

ნირება აუცილებლობას წარმოადგენს და “მიწების მელიორაციის შესახებ” საქართველოს კანონით რეგულირდება, რომლის მიხედვით, მათ უზუფრუქტის წესით, უსასყიდლოდ გადაეცემათ თავიანთი მოქმე-დების სფეროში არსებული ყველა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა.

სამელიორაციო ასოციაციები იქმნება ნებაყოფლობით, წევრების სასარგებლოდ გარკვეული ეკონომიკური ღონისძიებების ხელშესაწყობად. ისინი შეიძლება შემდგომში ერთიან მობილურ ფედერაციებად გარდაიქმნენ (გაერთიანდნენ).

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტით, სამელიორაციო ასოციაციების მიერ ირიგაციადრენაჟის სისტემების წარმატებული მართვისა და დაფინანსების შედეგად შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს:

- სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების განსაზღვრა;
- მომხმარებელთა მონაწილეობა მომსახურების ღონის განსაზღვრაში;
- მომხმარებელთა შორის გადახდის სურვილისა და უნარის შეფასება;
- გადასახადების შესატყვისი მექანიზმის განსაზღვრა;
- მომხმარებელთა გადასახადებსა და მომსახურებებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება.

იურიდიული ფორმით, შეიძლება შეიქმნას როგორც კერძო წევრობაზე დაფუძნებული, ისე სახელმწიფო, სახელმწიფო ქონებაზე დაფუძნებული წყლის და/ან დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციები.

ქვეყნების უმრავლესობა უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, რადგანაც წყლის მართვის მოთხოვნები სახელმწიფო ორგანიზაციული მეთოდების გამოყენებას საჭიროებს (იხ. დანართი, სქემა 1 და 2).

პროგრამის ძირითადი მიზანია სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება-დაფუძნება, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ინსტიტუციური საფუძვლების მომზადება დარგის მდგრადი განვითარებისათვის. პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე ტიპის სამელიორაციო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას 255 ათას ჰექტარზე, მ.შ. სისტემის სრულ რეაბილიტაციას 125 ათას ჰექტარზე.

პროგრამაში ნებისმიერი ფართობის შეყვანის აუცილებელი წინაპირობაა წყალმომხმარებელთა და დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციის დაარსება ფერმერთა 51 %-ის მონაწილეობით. ასოციაციაში გაუწევრიანებელ ფერმერს (მომხმარებელს) არაპრიორიტეტული უფლება ექნება სამელიორაციო მომსახურებაზე. ირიგაცია-დრენაჟის პროგრამის პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე შეირჩა და შესწავლილ იქნა თითქმის ყველა ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, ტექნიკურად და სოციალურად მდგრადი, მნიშვნელოვანი სამელიორაციო სისტემა.

სარწყავი და დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვალისწინებულია მაგისტრალურ და დიდი ზომის გამანაწილებელ არხებსა და მათზე არსებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, დაპროექტებისა და სამუშაოთა ზედამხედველობის მომსახურებაზე, თვით სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებასა და სწავლებაზე. ყველა ამ ღონისძიებაზე, გრანტის სახით, ერთ ჰექტარ ფართობზე საწყისი კაპიტალის სახით 100 დოლარი იქნა გამოყოფილი.

სამელიორაციო სისტემების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა საფრთხეში აგდებს ასოციაციის ტერიტორიამდე საჭირო

რაოდენობის წყლის მიწოდების ან, პირიქით, ტერიტორიებიდან ჭარბი წყლის გაყვანის საკითხს. არადა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ასოციაციების მდგრად ორგანიზაციებად ჩამოყალიბებისა და სრული სამელიორაციო მომსახურებისათვის.

წყლის მიწოდებისა და დრენაჟის უზრუნველსაყოფად, ეროვნული პროგრამიდან დამატებით, ცალკე გამოიყოფა შეზღუდული რაოდენობის თანხა ასოციაციებს გარეთ არსებულ შიდასამეურნეო ქსელებზე, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებას, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს წყლის მიწოდება ან დრენაჟი ასოციაციების სამოქმედო ტერიტორიებზე.

სამელიორაციო ასოციაციები თავიანთი განვითარების გეგმის შესაბამისი პროექტების შესადგენად და სამუშაოთა ზედამხედველობისათვის დაიქირავებენ საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალს, რომელიც დაფინანსდება ასოციაციებისათვის გამოყოფილი (100 დოლარი/3ა) თანხიდან. მას შემდეგ, რაც პროექტის განმახორციელებელი ერთეული დაამტკიცებს განვითარების გეგმას, ეტაპობრივად მოხდება სახსრების გაცემა. თავის მხრივ, ასოციაციების წევრებიც თანამონაწილეობენ (ფიზიკური სამუშაოს შესრულება ან ფულადი შენატანი) ერთ ჰექტარზე არანაკლებ 25 დოლარის ოდენობით.

საწყისი კაპიტალის, მინიმუმ, 80 % გათვალისწინებულია უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ხოლო დანარჩენის გამოყენება შეიძლება ასოციაციების საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. ასოციაციების ჩამოყალიბებისა და რეაბილიტაციის შემდეგ, სისტემის ექსპლუატაციის, საინჟინრო, მიწათმოწყობისა და სათანადო მართვის საკითხებში კონსულტაციების მიზნით, დაქირავებული იქნებიან კვალიფიციური სპეციალისტები.

პროექტის მომზადების დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ექსპლუატაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკონსულტაციო ფორმების მიერ შესწავლილი ნიადაგებისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადოდ მიეთითოს შესაბამისი გარემოს დაცვითი ღონისძიებების შესახებ. ასოციაციების მდგრადობისათვის აუცილებელია პროექტში გათვალისწინებულ იქნეს მათი ფინანსური მართვის, საბუღალტრო აღრიცხვის, ექსპლუატაციისა და სხვა საკითხები.

პროექტის მართვის სამართლებრივი სტატუსი დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის 149 ბრძანებულებით. საკოორდინაციო ცენტრს აქვს თითოეული კონკრეტული პროექტის განმახორციელებელი ერთეული, რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს საინჟინრო და ინსტიტუციური მართვის ჯგუფებს. ჯგუფების ვალდებულებაა, შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება, ტენდერის მომზადება, ტექნიკური ზედამხედველობა, სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება და მათი რეგისტრაცია, საწყის კაპიტალთან და ასოციაციების წინასწარ შენატანებთან დაკავშირებული ფინანსური მართვა, ასევე ასოციაციების სწავლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამელიორაციო სისტემების მართვის სამსახურის სპეციალისტები ვალდებულნი არიან დაეხმარონ პროექტს საინჟინრო და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

ასოციაცია ადგილობრივ სამსახურებთან ათანხმებს მისი მომსახურების ზონის სიტუაციურ რუკას. ადგენს ტერიტორიაზე მიწის მფლობელთა და ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა საერთო სიებს. ასოციაცია, ხელშეკრულების საფუძველზე, მოემსახურება როგორც წევრებს, ასევე არაწევრებს. ასოციაციას უზუფრუქტის წესით,

უსასყიდლოდ შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მის სამოქმედო ზონაში არსებული დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ერთეული. იგი მიღებულ ქონებას ათანხმებს (ადასტურებს) ნოტარიუსთან და იხდის შეფასებულ ქონების ღირებულების შესაბამის პროცენტულ საბაჟო გადასახადს, რაც დამტკიცებულია “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისა-თვის საზღაურის შესახებ” საქართველოს კანონით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან საწყის ეტაპზე სამელიორაციო ასოციაციები არარენტაბელურია და კანონით დადგენილი სანოტარო მომსახურების გადასახადის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ამზადებს საკითხს სანოტარო ბაჟის გადასახადის შემცირების შესახებ.

წყალსამეურნეო ასოციაციების ჩამოყალიბების ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, აუცილებელია რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, მდიდარი, მაღალრენტაბელური და სასაქონლო მეურნეობების უსწრაფესად ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელი პირობაა:

- ერთი და იმავე რაიონში მოქმედი რამდენიმე ირიგაციული და დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციების ერთ მობილურ ფედერაციად გაერთიანება-გარდაქმნა;

- ირიგაციის და დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციებმა, ირიგაცია-დრენაჟის მომსახურების გარდა, ფერმერები უზრუნველყონ სრული მელიორაციული და აგროსაინჟინრო მომსახურებით;

- კულტურულ-ტექნიკური, აგროტექნიკური, რეკულტივაციური, ეროზიის, ღვარცოფის, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები, მიწების გაუმჯობესება, ნიადაგის პირველადი დამუშავება, მოშანდაკე-

ბა, ქიმიური მელიორაცია, ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგების სრული გაუმჯობესება და სხვ. ამასთან, ფერმერები გარანტირებული იქნებიან აგროვადებში აგროტექნიკური მომსახურებით, არსებული წესით შერჩეული და დამუშავებული სათესლე მასალითა და სათანადო კონსულტანტებით.

კვლევის პროცესში, ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა გურჯაა-ნისა და ლანჩხუთის რაიონებში ჩამოყალიბებულ ასოციაციებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიკური შედეგები.

გურჯაანის რაიონში, ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე 2002-2004 წლებში ჩამოყალიბებულ იქნა 10 ერთეული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამელიორაციო ასოციაცია, 8656,7 ჰექტარ სარწყავ ფართობზე. ამ ასოციაციებში გაერთიანებულია 9546 ოჯახი. მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით 842,7 ჰექტარზე ჩამოყალიბებული სამელიორაციო ასოციაცია “ალაზანი-2002”-ის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 152,0 ათასი ლარი.

ლანჩხუთის რაიონში 2002-2004 წლებში ჭარბტენიან 3379,5 ჰექტარზე დაფუძნებული დრენაჟის მომხმარებელთა 6 (3746 წევრი) ასოციაციიდან 2003 წელს 680 ჰექტარზე ჩამოყალიბდა ასოციაცია „ლიბო“. თავისი შემადგენლობით (926 წევრი) იგი ერთ-ერთი დიდი ასოციაციაა რაიონში. მის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 89,6 ათასი ლარი.

ჩვენს მიერ შერჩეული ასოციაციების საქმიანობის (რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ) შესწავლამ (ცხრილები 2.3.2.1, 2.3.2.2) ცხადყო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები.

**ირიგაცია-დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგები
„ალაზანი-2002“-ის და „ლიბოს“ სამელიორაციო ასოციაციების მაგალითზე**

რეაბილიტაციამდე
რეაბილიტაციის შემდეგ

№	კულტურების დასახელება	მოსავლიანობა (ცენტ/ჰა)	
		„ალაზანი-2002“	„ლიბოს“
1	სიმინდი მარცვლად	–	16/42
2	მრავალწლიანი ბალახები	–	13,6/25,8
3	სოია მარცვლად	–	12/34
4	სოია მარცვლად სიმინდთან შეთესვით	–	1,0/3,0
5	ლობიო მარცვლად სიმინდთან შეთესვით	–	0,5/1,5
6	თავთავიანი კულტურები	13/28	–
7	მზესუმზირა	7,0/15,0	–
8	კარტოფილი	100/190	–
9	ბოსტნეული და ბაღჩეული	6/15	27/100
10	ხახვი	40/150	–
11	ყურძენი	100/160	–
12	საზამთრო	100/400	–
13	ხეხილი	80/160	–

**ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო საჰექტარო
მოსავლიანობა რიონი-ჩოლოქის, რიონი-ხობის სადრენაჟო სისტემებზე**

№	კულტურები	რეაბილიტა- ციამდე, ტ/ჰა	რეაბილიტა- ციის შემდეგ, ტ/ჰა	პროცენტუ- ლი	მაჩვენებელი შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	სიმინდი მარცვლად	1,60	4,2	262,5	
2	ბოსტნეული (სხვადასხვა)	2,7	10,00	370,3	
3	კარტოფილი	–	12,00	–	
4	სოია	1,2	3,4	–	
5	ლობიო (შეთესვით)	0,05	0,15	300,0	

მოცემული ცხრილებიდან ჩანს, რომ როგორც ირიგაციის, ისე დრენაჟის ასოციაციებში, საანალიზო წლებში ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სამელიორაციო მო-

მსახურების ასოციაციების მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო წარ-
მოების ეფექტიანობის ზრდაში.

თავი III. დაშრობილი მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები

3.1. დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნიდან გამომდინარე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კანონზომიერება დღეს სრულიად ახლებურად აყენებს როგორც ქვეყნის, ისე მისი ცალკეული დარგების განვითარების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ აგრარული რეფორმის ღონისძიებები საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს, სოფლის მეურნეობაში სასიკეთო ცვლილებების ტემპი ჯერ კიდევ არასაკმარისია. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია, პრინციპულად იქნეს შეფასებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები მიწების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. იგი, ძირითადად, მიმართულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, ნიადაგდაცვითი და ნიადაგაღდგენითი ღონისძიებების გატარებისაკენ. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესატყვისი მელიორაციული, აგრომელიორაციული და აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით, მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილება ძნელად ასათვისებელ ნაკვეთებზე. ამას ადასტურებს საქართველოს აგრარული რეფორმის პოლიტიკის კონცეფციაც, სადაც აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. ამასთან, წარმოების თავისებურების გამო, ყველა ეტაპზე პრიორიტეტი იქნება მიწის გაუმჯობესების

ღონისძიებები, რომლის აუცილებლობას ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 სექტემბრის 527 ბრძანებულებით დამტკიცებული წყლის მართვის (მიწის მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პრო-გრამა.

კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში 798,7 ათასი ჰექტარი საერთო ფართობიდან მხოლოდ 311 ათასი ჰექტარი ანუ 39 %-ზე მეტი საჭიროებს დაშრობით მელიორაციას. დაშრობითი მელიორაციის პერსპექტიული ფონდის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების შედარებით ოპტიმალური ვარიანტი, რომელსაც, აგრარული პოლიტიკის კონცეფციიდან გამომდინარე, საფუძვლად დაედო ადგილობრივი წარმოების ნედლეულითა და სურსათით ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანები და კოლხეთის ზონაში სხვადასხვა დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამები.

კოლხეთის დაბლობის პირობებში მრავალწლიანი კულტურების გაადგილების საკითხზე ხშირად მეცნიერ-სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. კერძოდ, სამელიორაციო ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციები ხშირ შემთხვევაში არ მოიცავდა აგრო-ბიოლოგიურ, აგრომელიორაციულ და სხვა სამელიორაციო ღონისძიებათა კომპლექსს, გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, იგი მშენებლობის პროცესში მაინც არ ხორციელდებოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ექსპლუატაციაში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო ფართობი, ნიადაგური პირობებიდან და პროექტით დამტკიცებული კულტურათა გაადგილების სქემიდან გამომდინარე, რამდენიმე (1-3) წლის განმავლობაში საჭიროებდა ნიადაგის გაკულტურების სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ ეს და სხვა ღონისძიებები თითქმის არასდროს არ ტარ-

დებოდა. ყოველივე ეს კი იწვევდა გაშენებული მრავალწლიანი ნარგავების დაკნინებას.

დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, მრავალწლიანი კულტურებისათვის ფართობების სწორად შერჩევას საფუძვლად დაედო ნიადაგის მსხვილმასშტაბიანი კვლევის შედეგები, ამორტიზებული ფართობების რეესტრი. კრიტიკულად შეფასდა კოლხეთის დაბლობზე არასწორად შერჩეულ და მოუმზადებელ მიწებზე გაშენებული ნარგავების მდგომარეობა, დადგინდა მათი რაოდენობა, ჩამოწერის მიზანშეწონილობა და განისაზღვრა ამ ფართობების სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობები.

არსებული მასალების ანალიზისა და კრიტიკულად განსჯის საფუძველზე, ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დაზუსტდა საკვლევ რაი-ონებში დაშრობილი მიწის სავარგულების ტრანსფორმაციის პერსპექტიული პარამეტრები (ცხრილი 3.1.1). რადიკალური ცვლილებები მოხდება მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურაში. ამორტიზებული და დაკნინებული ნარგავების ამოძირკვის შედეგად, საპროგნოზო პერიოდში, არსებულთან შედარებით, ჩაის პლანტაციის ფართობი 9,8 ათასი ჰექტრიდან 5,0 ათას ჰექტრამდე შემცირდება, ხოლო ციტრუსებისა, შე-საბამისად, – 3,6-დან 2,0 ათას ჰექტრამდე. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ამ რეგიონში შესაძლებელია ძვირფასი კონტინენტური და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების განვითარება.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი სა-

ფუძველია. ამ ამოცანის შესრულების ღონისძიებათა სისტემაში კოლხეთის დაბლობის საკვლევ რაიონებში დაშრობილ მიწებზე სახნავის რაციონალურ და მაღალინტენსიურ გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით, კოლხეთის დაბლობის პირობებისათვის გათვალისწინებულია თესლბრუნვის სქემის ორი ვარიანტი.

პირველი ვარიანტი რეკომენდებულია სამტრედიის, ვანის, ხობის, წყალტუბოს, ბაღდათის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებისათვის;

მეორე ვარიანტი – აბაშის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონებისათვის. ამასთან, აბაშის, სენაკის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთის, გაგრის და ქობულეთის რაიონებში სახნავის 10-12 % დატოვებულია თესლბრუნვის გარეშე და გამოიყენება ეთერზეთოვანი და თამბაქოს კულტურებისათვის, ხოლო ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონებში 3-4 % – სტივიის კულტურისათვის.

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის
პერსპექტიული პარამეტრები კოლხეთის დაშრობილ მიწებზე**

სავარგულების კატეგორია	2004 წელი		2015 წელი		% -ით 2004 წელთან შედარებით, 2015 წელს
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%	
სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული	109.9	100	195.1	100	177.3
მათ შორის: სახნავე	64.9	59.1	147.9	75.8	229.7
მრწ. ნარგავები	24.2	22.0	18.2	9.3	75.0
აქედან: 1. ბაღი	3.3	3.0	2.0	1.0	60.6
2. ჩაი	9.8	8.9	5.0	2.6	50.1
3. ციტრუსი	3.6	3.1	2.0	1.0	66.1
4. სხვა მრწ. ნარგ.	7.5	6.8	9.2	4.6	122.7
სათიბი	3.1	2.8	9.0	6.5	290.3
სადოვარი	17.1	15.6	20.0	103	177.6

აღნიშნული თესლბრუნვის სქემის საფუძველზე, საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე ნათესების სტრუქტურა და კულტურების მონაცვლეობა 2015 წლისათვის შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი (ცხრილი 3.1.2).

პროგნოზული პარამეტრების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია სიმინდის ნათესებს (56,5 ათასი ჰექტარი), რაც, ჩვენი აზრით, პასუხობს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს.

**კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების
ნათესი ფართობის სტრუქტურის პერსპექტიული პარამეტრები**

კულტურების დასახელება	2004 წელი		2015 წელი	
	ათასი ჰა	%	ათასი ჰა	%
სულ ნათესი ფართობები	53,5	100	147,9	100
მარცვლეული და პარკო- სანი კულტურები	33,8	63,2	93,5	63,2
აქედან: სიმინდის ნათესები	30,1	56,2	75,0	50,7
მ.შ. სამარცვლედ	29,2	54,5	56,5	38,5
პარკოსანი კულტურები	3,7	6,9	18,5	12,5
ოსტნეული	6,5	12,2	7,1	4,8
თამბაქო	0,4	0,7	3,0	2,0
ეთერზეთები	0,6	1,1	4,9	3,3
შტივია	–	–	2,1	1,4
საკვები კულტურები	12,2	22,8	37,3	25,3

კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ რაიონში გათვალისწინებულია შაქრის შემცველი სტივიის კულტურისათვის ფართობის გამოყოფა, რაც საპროგნოზო პერიოდისათვის 2,1 ათას ჰექტარს მიაღწევს. ვინაიდან ჩვენში ამ მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია დამუშავების სტადიაშია, არ შევუდგებით მის დახასიათებას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ კულტურის ნაყოფის წარმოების გაფართოება ნაწილობრივ უზრუნველყოფს შაქრით მოსახლეობისა და კვების მრეწველობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების საპროექტო გაანგარიშებებით, საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე ბოსტნეული კულტურების ნათესები 7,1 ათას ჰექტარს მიაღწევს. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციით, ამ ფართობზე კულტურათა სწორი მონაცვლეობისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსის განხორციელების შედეგად შესაძლებე-

ლი იქნება საკვლევ რაიონებში განლაგებული კურორტების მოთხოვნილების ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით დაკმაყოფილება.

ნათესი ფართობის სტრუქტურაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საკვები კულტურების ნათესები (37,4 %). მიწათმოქმედების ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებულ თესლბრუნვის ვარიანტებში ერთწლიანი საკვები კულტურების ნათესებს (ვინაიდან მათი მოყვანა შეიძლება შუალედური კულტურების სახით) ფართობი დათმობილი არ აქვს. შუალედურ კულტურებს თესლბრუნვის სქემის მიხედვით მთელი ნათესების 26-27 % უკავია (ცხრილი 3.1.3).

საკვლევ რაიონების დაშრობილ მიწებზე, საკვებ კულტურებთან ერთად, შუალედური კულტურების ნათესების პროგნოზული პარამეტრების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ გარეშე ნიადაგის გაკულტურების და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება. ამასთან, კოლხეთის დაბლობის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სათიბ-საძოვრებს, რომლებიც მეცხოველეობისათვის მტკიცე და მყარი საკვები ბაზის შექმნის გარანტიას იძლევა (ცხრილი 3.1.3).

ამრიგად, საკვლევ რაიონებში დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილების პროგნოზული პარამეტრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი უშუალოდ პასუხობს საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრულ ამოცანების.

**საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე შუალედური
კულტურების ნათესი ფართობის პროგნოზული პარამეტრები
2015 წლამდე პერიოდისთვის**

კულტურა	ათასი ჰა	%
სიმინდი სილოსად	1,7	4,4
სოია მწვანე საკვებად	1,8	4,7
შვრიანარევი პარკოსნები მწვანე მასად	8,5	22,2
სუდანურას ნარევი მწვანე საკვებად	9,0	23,4
თურნებსი	8,4	21,9
ლაფსი	9,0	23,4
სულ ნათესი ფართობი	38,4	100

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაანგარიშებით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ქვეყანაში უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს ყველა სახის მარცვლეული – 1400 ათასი ტონა, მზესუმზირა – 50, შაქრის ჭარხალი – 450, ბოსტნეული – 600, კარტოფილი – 450, ხილი და კენკრა – 500, ყურძენი – 550, ჩაის ფოთოლი – 200, ციტრუსი – 150 ათასი ტონა, პირუტყვისა და ფრინველის ხორცი (ც/წ) – 300, რძე და რძის პროდუქტები – 700, თევზი – 20 ათასი ტონა, კვერცხი – 200 მლნ ცალი. შესაბამისად, ერთ სულზე წარმოებული იქნება მარცვალი – 84 კგ, რაც შეადგენს ფიზიოლოგიური ნორმის 64,6 %-ს, შაქარი – 1,3 კგ (3,8 %), მცენარეული ზეთი – 1,1 ლ (11,6 %), კარტოფილი – 64 კგ (105 %), ბოსტნეული და ბალახეული – 110 კგ (101 %), ხილი და კენკრა – 118 კგ (138 %), ხორცი და ხორცის პროდუქტები – 35 კგ (45,8 %), რძე და რძის პროდუქტები – 109 კგ (31,1 %), თევზი – 3,6 კგ (28 %), კვერცხი – 127 ცალი (53 %).

აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის განვითარების პირველ ეტაპზე პრიორიტეტულია მარცვლეულის, კარტოფილის, მცენარეული ზეთის, შაქრის, მეცხოველეობის პროდუქტების – ხორცი-

ის, რძის, კვერცხის წარმოება, რითაც მიღწეული იქნება მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვნად დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების სურსათით. იმავედროულად, გრძელვადიან პროგრამასთან კავშირში მოხდება ტრადიციული საექსპორტო პოტენციალის ამოქმედება, რათა საექსპორტო შემოსავლებმა უზრუნველყონ არა მარტო სურსათზე მოთხოვნილების დაბალანსება, არამედ ქვეყნის საჭიროებისათვის სავალუტო რესურსების ფორმირება. აქედან გამომდინარე, პერსპექტივაში კურსი მიმართული იქნება მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებისკენ.

დაშრობილი მიწების, განსაკუთრებით სახნავი მიწების, პოტენციური სიმძლავრეების ამოქმედების შესაძლებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი, ძირითადად, ნიადაგის ნაყოფიერების ამადლების ხერხებთან ანუ მაღალ კულტურასთან არის დაკავშირებული და ემყარება მხოლოდ აგროტექნიკურ მოთხოვნებს.

დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების პროგნოზული პარამეტრები ასახავს საკვლევი პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს და იძლევა პასუხს კითხვაზე – თუ სად, რატომ და რა მიზნით განლაგდა აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა განისაზღვროს მეორე მხარეც და პასუხი გაეცეს – რა გზით, რეზერვებით და კრიტერიუმებითაა შესაძლებელი გაადგილებული სავარგულების ეფექტიანობის ამადლება.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრას საფუძვლად დაედო განვითარების თავისებურებების და ტენდენციების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციები, მოწინავე რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შედეგები, ჯიშთა გამოცდის მონაცემები.

დაშრობილ მიწებზე სავარგულების მეცნიერულად დასაბუთებული გაადგილების პროგნოზული პარამეტრების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმს ამ მიწებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო კუ-

ლტურების პროდუქტიულობის მაჩვენებლები წარმოადგენს (ცხრილი 3.1.4).

მეჩაიეობის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, სხვა საკითხებთან ერთად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩაის კულტურის ბიოლოგიური მდგომარეობისა და მზა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გათვალისწინება. 1990 წლამდე საქართველოში 56 ათასი ჰექტარი სრულმოსავლიანი სამრეწველო პლანტაციიდან ჰექტარზე, საშუალოდ, 8 ტონა ხარისხოვანი ნედლეული იკრიფებოდა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციებით, ამჟამად არსებული ჩაის პლანტაციების ბიოლოგიური მდგომარეობა, ჯიშობრივი შემადგენლობა და ხანდაზმულობა განაპირობებს ჰექტარზე 40-45 ცენტნერი ნედლეულის მიღებას, რაც არსებული ჩაის ბუჩქების პოტენციური პროდუქტიულობიდან გამომდინარეობს. ამდენად, დაშრობილ მიწებზე ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის საპროექტო მოცულობის (225 ათასი ცენტნერი) მიღება რეალურად გვესახება.

საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, პერსპექტივაში გათვალისწინებულია ციტრუსების (280 ათასი ცენტნერი), ხილის (120 ათასი ცენტნერი), კივის (21,0 ათასი ცენტნერი) და სხვა პროდუქციის მიღება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარცვლეულის წარმოების განვითარების ამოცანები, რაც ნათლადაა ჩამოყალიბებული საქართველოში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამაში. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მარცვლეულის სახელმწიფო რესურსების 25 %-ს კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწებიდან მიღებული სამარცვლე სიმინდის პროდუქცია დაიკავებს. საპროგნოზო პერიოდში წარმოებული 2825 ათასი ცენტნერი პროდუქციიდან 1427 ათასი ცენტნერი მოხმარდება მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი გამოყენებული იქნება სათესლედ და საფურაჟედ.

**კოლხეთის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო
კულტურების პროდუქტიულობის მაჩვენებლების
პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის**

კულტურა	ფართობი (ათ. ჰა)	მოსავლიანობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ჰა/ც)
სიმინდის მარცვალი	56,5	50,0	2825
სოია მარცვლად	15,5	16,0	248,0
სტივია	2,1	150,0	315
ბოსტნეული	7,1	200,0	1420
თამბაქო	3,0	18,0	54,0
ეთერზეთები	4,9	120,0	588
ჩაი	5,0	45,0	225
ციტრუსი	2,0	140,0	280
ხილი	1,0	120,0	120
კივი	0,3	70,0	21,0
სოია მწვანე საკვებად	18,5	250,0	4625
სიმინდი სილოსად	18,5	310,0	5735
მრწ. ბალახი თივად	2,8	70,0	196
მრწ. ბალახი მწვ. საკვ.	15,5	270,0	4185

2015 წლისათვის საკვები კულტურების ნათესი ფართობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლის მაღალი ზღვარია დადგენილი, რაც საკვლევი პრობლემების გადაწყვეტისადმი ახლებურ მიდგომას მიუთითებს. წარსულში საკვლევი რაიონებში პრიორიტეტული იყო სუბტროპიკული მეურნეობის დარგების განვითარება, ხოლო გამოუსადეგარი ფართობი ეთმობოდა სახნავს და საკვებ სავარგულებს, რაც კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენდა ისედაც დაბალეფექტიანი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე.

მელიორაციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ცალკეული საკვლევი რაიონების ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით, დაშრობილ მიწებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის

სულადობა შესაძლებელია გაიზარდოს 141 ათას სულამდე, მათ შორის ფურ-კამეჩის – 63 ათას სულამდე, ღორის – 150 ათას სულამდე, ყველა სახის და ასაკის ფრინველის – 3300 ათას ფრთამდე და ა.შ. (ცხრილი 3.1.5)

ფურების და ფურ-კამეჩების ხვედრითი წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიან სულადობაში განვითარების ყველა ეტაპზე სტაბილური იქნება და 50 %-ს არ გადააჭარბებს, ხოლო ღორის საერთო სულადობაში ნეზვის ხვედრითი წილი, არსებულთან შედარებით, 3,3-დან 16 %-მდე გაიზრდება.

პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი გაუმჯობესების, მათი სტრუქტურის თვისებრივი სრულყოფისა და, საერთოდ, მეცხოველეობის ყველა დარგის მართვის უფრო ინტენსიური მეთოდების გამოყენების საფუძველზე, გათვალისწინებულია პროდუქტიულობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა. რძის საშუალო წლიური წველადობა გაიზრდება 3000 კგ-მდე, საშუალო კვერცხმდებლობა 200 ცალამდე, თაფლის წლიური წარმოება ფუტკრის ერთ ოჯახზე 15 კგ-მდე, რაც საგრძნობლად ჭარბობს წარსულში მიღწეულ შესაბამის მაჩვენებლებს.

უკანასკნელ პერიოდში მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრინველისა და პირუტყვის აბსოლუტური უმეტესობა კონცენტრირებულია კერძო სექტორში, აღნიშნულ დარგში რიგი ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2015 წლამდე პერიოდისათვის დაშრობილ მიწებზე შესაძლებელია წარმოებულ იქნეს რძე და ყველა სახის ხორცი (ც/წ), შესაბამისად, – 1890 და 675 ათასი ცენტნერი, კვერცხი – 140 მლნ ცალი, თაფლი და აბრეშუმის პარკი, შესაბამისად, – 1050 და 731 ცენტნერი. აღნიშნული პროგნოზული პარამეტრები აღემატება არსებ-

ულ დონეს და, ცხადია, გარდატეხას მოახდენს ამ პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

ცხრილი 3.1.5

**საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე მეცხოველეობის
სულადობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების
პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისთვის**

I. სულადობა			II. პროდუქტიულობა			III. წარმოება		
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ათასი სული	141	რძის საშუალო წლიური წველადობა ერთ ფურზე	კგ	3000	ყველა სახის ხორცი	ათასი ცენტ.	675
მათ შორის: ფური	“	63				მათ შორის: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	“	157
ღორი	“	150	საშუალო კვერცხმდებლობა ერთ დედალზე	ცალი	200	ღორის ხორცი	“	401
მათ შორის: ნეზვი	“	25	გოჭი, საშუალოდ, ერთ ნეზვზე	სული	18	ფრინველის ხორცი	“	117
ყველა სახის და ასაკის ფრინველი	ათასი ფრთა	3300				რძე	“	1890
მათ შორის: კვერცხის მდებელი	“	700	თაფლის წლიური წარმოება ფუტკრის ერთ ოჯახზე	კგ	15	კვერცხი	მლნ ცალი	140
ფუტკარი	ოჯახი	7000				თაფლი	ცენტ.	1050
						აბრეშუმის პარკი	ცენტ.	731

მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების ბაზაზე საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, მაღალპროდუქტიული სავარგულების გაფართოებასა და მინდვრის საკ-

ვებწარმოებას, საკვების უკუთიანობის ხარისხის ამაღლებას, მისი შენახვისა და მომზადების პროცესში დანაკარგების შემცირებას, მეტი სენაჟისა და ბალახის ფქვილის დამზადებას, უხეში საკვების დაბრიკეტებას, გრანულირებას და ქიმიურ დაკონსერვებას.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში, საკვებზე მოთხოვნილების ზრდის პარალელურად, იღებდნენ ორგანიზაციულ ზომებს საკვების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის, მისი ხარისხი, სამწუხაროდ, მაინც ნელა უმჯობესდებოდა. ამასთან, როგორც წარმოების დონე, ისე დამზადებული საკვების სტრუქტურული შემადგენლობა ვერ პასუხობდა დასახულ ამოცანას. ამის გამო, მოხმარებულ საკვებში, სხვა საკვები საშუალებების ხარჯზე, გაუმართლებლად იზრდებოდა ძვირადღირებული კონცენტრირებული საკვების ხვედრითი წილი.

წარსულში დაშვებული შეცდომებისა და თანამედროვე მოთხოვნილების გათვალისწინებით დამუშავებული მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საკვები რესურსების წარმოების საერთო მოცულობა (წვნიანი და მწვანე საკვები წლის ყველა პერიოდში) 2015 წლამდე 6031,2 ათას ცენტნერ საკვებ ერთეულს მიაღწევს (ცხრილი 3.1.6). გაანგარიშება ცხადყოფს, რომ ყველა სახის საკვებით უზრუნველყოფის დონე 2015 წლამდე 56,8 %-ს მიაღწევს, რაც, ძირითადად, კონცენტრული საკვების დეფიციტით უნდა აიხსნას. როგორც მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამაში აღნიშნული, საქართველოში, ობიექტური მიზეზების გამო (მცირემიწიანობა, მაღალმთიანობა), თითქმის შეუძლებელია, არათუ ოპტიმალური, არამედ მინიმალური მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არის მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისა და სასურსათოდ საკმარისი რაოდენობის მიღების რეალური შესაძლებლობები.

**საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე მეცხოველეობის
საკვებზე მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის
გაანგარიშებანი *)**

(საკვ.ერთ., ათ. ც)

საკვების სახე	მოთხოვნი- ლება	წარმოება	მეტობა(+) ნაკლებობა (-)	საკვები უზრუნველ- ყოფა %
კონცენტრული საკვები	6280,7	1524,0	-4756,7	24,3
უხეში საკვები	1022,7	1389,0	+366,3	135,8
მ.შ. თივა	445,6	192,0	-253,6	43,1
წვნიანი საკვები	1822,6	1252,0	-570,6	68,7
მწვანე საკვები	1333,6	1668,0	+334,4	125,1
ცხოველური საკვები	158,8	198,9	+40,1	125,2
მ.შ. მოუხდელი რძე	59,9	59,9	-	-
სულ ყველა სახის საკვები	10618,4	6031,2	-4587,2	58,8

*) მოთხოვნილება გაანგარიშებულია სადაზღვევო ფონდის ჩათვლით.

ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი წარმოების მარცვლეულით დაკმაყოფილების ამოცანებიდან გამომდინარე, კომბინირებული საკვებისათვის საჭირო საფურაჟე მარცვლეულის დეფიციტი ნაწილობრივ უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლეულით უნდა შეივსოს, რაც მსგავს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მყოფი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარების ამოცანები არამარტო მოსახლეობის პროდუქტებსა და კვების მრეწველობის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებით განისაზღვრება, არამედ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი მძლავრი და საიმედო საშუალებაა. საქმე იმაშია, რომ მეცხოველეობა იძლევა ნიადაგის ნაყოფიერებისათვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორცაა ორგანული სასუქი.

მიახლოებითი გაანგარიშებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოველწლიური მოთხოვნილება მინერალურ სასუქზე 1,6-1,8 მლნ ტონას შეადგენს. ამასთან, ქვეყანას ყოველწლიურად ესაჭიროება 17-18 მლნ ტონა ორგანული სასუქი ან სხვა სახის მისი ეკვივალენტური რაოდენობა (ტორფი). როგორც დიდიც არ უნდა იყოს ქვეყანაში მინერალური სასუქის წარმოება, ორგანული სასუქები, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი სოფლის მეურნეობაში, არასოდეს კარგავს თავის მნიშვნელობას.

მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების გაკულტურების მთელი ციკლისათვის ჰექტარზე, საშუალოდ, სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საჭიროა 100 ტონა, ხოლო მთლიანად კოლხეთის დაბლობის ზონისათვის – 1,8-2,0 მლნ ტონა ორგანული სასუქი. თუ ცალკეული კულტურებისათვის აგროტექნიკით საჭირო რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება მელიორირებული მიწების ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლების ამ უნიკალური საშუალების გამოყენების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ორგანული სასუქის სრულყოფილი ტექნოლოგიით წარმოების, შენახვისა და ფართობში შეტანის სწორი ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე, მეცხოველეობის დაპროექტებული სულადობის პირობებში, შესაძლებელია წლიურად მიღებულ იქნეს, საშუალოდ, 1,3-1,5 მლნ ტონა ნაკელი, რაც მოთხოვნილების 75 %-ია. ორგანული რესურსების გადიდებისათვის საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ხელოვნური ნაკელი. ამიტომ მეურნეობრიობის ნებისმიერი ფორმის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენები, რომელიც არ გამოიყენება ცხოველების საკვებად, უნდა დაკომპოსტდეს და გამოყენებულ იქნეს ნიადაგის გასამდიდრებლად.

როდესაც კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების გამოყენების სისტემას ვეხებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ორგანული სასუქის დეფიციტის შევსების ისეთ ბუნებრივ რესურსებს, როგორცაა ტორფი და საპროპელი ანუ დამპალი ლამი. საკვლევ რაიონებში ტორფის საერთო მარაგი 60 მლნ ტონას აჭარბებს. ტორფის ყველაზე დიდი საბადოებია იმნათის (30 მლნ ტონა), ნაბადის (12 მლნ ტონა), მალთაყვის (4 მლნ ტონა), ჭურიის (7 მლნ ტონა), ანაკლიის (3,5 მლნ ტონა) და ქობულეთის (3,6 მლნ ტონა) მიდამოებში.

შესწავლილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებული სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ყოველწლიურად მოპოვებული და წარმოებული 400-500 ათასი ტონა ტორფი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამიტომ ტორფის მოპოვებისა და წარმოების გაზრდისთვის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს მისი საჭირო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

საპროპელი, ანუ დამპალი ლამი, მაღალხარისხოვანი ორგანული სასუქია და ეფექტურობით მნიშვნელოვნად აჭარბებს ნაკელსაც კი. ექსპერიმენტული მონაცემებით, საპროპელს დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მეცხოველეობაში, როგორც საკვების დანამატს, და მედიცინაში – სამკურნალო საშუალებას. მიუხედავად ამისა, საპროპელი, როგორც ვიტამინებით მდიდარი და მაღალხარისხოვანი სასუქი, პრაქტიკაში დღემდე ფართოდ არ არის გამოყენებული. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მისი ამოღების და მინდორში შეტანის მექანიზაციის დაბალი დონე.

70-80-იან წლებში პალიასტომის ტბაზე გ. თაყაძის (2.11.4) წინადადებით და ხელმძღვანელობით ჩატარებული ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით დადასტურებულია საპროპელის დიდი მარაგი, რომელიც 1500-1600 მლნ კმბ-ს შეადგენს. პალიასტომის საპროპელის მოპოვება და გამოყენება დიდ პერსპექტივებს სახავს კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვ-

ის, მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისთვის საჭიროა ცალკე იქნეს შესწავლილი მისი მოპოვების ეკონომიკური ეფექტიანობა, აგრეთვე ის, თუ რა გავლენას მოახდენს მისი ამოღება ბიოფაუნაზე.

3.2. დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა

საქართველოს თავისი ინტელექტუალური და გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალურად ამოქმედებითა და ეფექტიანობის ამაღლებით შეუძლია სათანადო ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში. თუმცა არსებული პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ კომპლექსურ გამოყენებაზე. ამ მხრივ კოლხეთის ზონის ჭარბტენიანი მიწების დაშრობასა და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების თანმიმდევრულ განხორციელებას მეტად დიდი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნისთვის.

კოლხეთის ზონის დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრიორიტეტული მიმართულებების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების რეზერვების განსაზღვრისა და გამოვლინების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების პროგნოზული პარამეტრების ეფექტიანობის დონის დადგენის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მათ შეფასებას და ამასთან, წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ნორმატიული ბაზის სწორად განსაზღვრას.

ფასების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავება არამარტო წარმოებული პროდუქციის ღირებულების, არამედ წარმოე-

ბის კომერციული შედეგების და დამზადებული პროდუქციის კონკურ-ენტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მოცულობის ზრდა და ხარისხის ამაღლება, მწარმოებ-ლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, წარმოებისა და მიმოქცევის სფე-როების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა.

ქვეყანაში ამჟამად მოქმედი ფასების სისტემა, ბუნებრივია, ვერ პასუხობს საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მოთხოვნებს, ვინა-იდან სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ოპერატიულად ვერ რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ცივილიზე-ბული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო პროდ-უქტების ფასების სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმის შემუშავებისა და დანერგვის დაჩქარების აუცილებლობაზე.

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა არსებითად შეიცვლება, რამეთუ კვლევით დადასტურდა, რომ მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ბუნ-ებრივ-სამეურნეო ფაქტორი, რომელთაგან მთავარია ბუნებრივი პირობ-ები (ნიადაგისა და კლიმატის მრავალფეროვნება), ფასები და საბაზ-რო მოთხოვნილება. ამიტომ ჩვენი კვლევის პროცესში, განსაკუთრებუ-ლი ყურადღება მათზე იქნა გადატანილი, ვინაიდან ისინი კოლხეთის ზონისათვის სერიოზულ წინააღმდეგობებს ქმნიან სასოფლო-სამეურ-ნეო კულტურების წარმოების რაციონალური გადაადგილებისა და ამა-თუ იმ დარგის განვითარებისათვის. მაგალითად, კოლხეთის დაბლობ-ის დაშრობილ მიწებზე ჩაის კულტურის ნარგავების ფართობის ოპტი-მალური მოცულობით გაადგილებისა და მოსავლიანობის გაზრდის

შედეგად, საპროგნოზო პერიოდში მისი პროდუქციის წარმოება, არსებულთან შედარებით, 3,2-ჯერ, ხოლო დარგობრივ სტრუქტურაში მისი ხვედრითი წილი 0,5 %-მდე მცირდება (ცხრილი 3.2.1). ამასთან, სხვა დანარჩენი მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციის წარმოების ზრდის მიუხედავად, მათი ხვედრითი წილის პროგნოზული პარამეტრები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან დარგობრივ სტრუქტურაში საკვები კულტურების, მეცხოველეობისა და მარცვლეულის პროდუქციის ხვედრითი წილის უპირატესობა აშკარაა. აქედან გამომდინარე, დარგობრივ სტრუქტურაში, არსებულთან შედარებით, პროგნოზირებული პერიოდისათვის იცვლება ამ დარგებს შორის თანაფარდობა. ანალიზი ცხადყოფს, რომ პრიორიტეტული დარგ-

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზული პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის

№	დარგებისა და კულტურების დასახელება	პროდუქციის წარმოება (მლნ ლარი)	ხვედრითი წილი %
1	2	3	4
ა	მემცენარეობა	438.7	66.5
	ჩაი	3.7	0.5
	ჩიტრუსი	10.2	1.5
	ჩილი	2.5	0.4
	ივი	3.6	0.5
	მარცვლეული	110.0	16.7
	ოსტნეული	48.0	7.3
	ტექნიკური კულტურები	20.5	3.1
	შტივია	20.5	3.1
	საკვები კულტურები	215.6	32.7
	მემცენარეობის სხვა დარგები	4.1	0.7
ბ	მეცხოველეობა	220.7	33.7
	მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა	99.2	15.0
	მეღორეობა	65.6	9.9
	მეფრინველეობა	36.7	5.6
	მეფუტკრეობა	8.4	1.3
	მეაბრეშუმეობა	1.1	0.2
	მეცხოველეობის სხვა დარგები	9.7	1.5
	სულ სოფლის მეურნეობა	659.4	100.0

ების პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა უნდა მოხდეს როგორც ინტენსიური, ისე ნაწილობრივ ექსტენსიური განვითარების გზით. დაშრობილ მიწებზე ამ დარგების განვითარების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულ პროდუქციაზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

როგორც აკადემიკოს ნ. ჭითანავას საორიენტაციო მონაცემებით ირკვევა, სამომავლოდ მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქციისა

და მცენარეული ზეთის დიდი დეფიციტი გვექნება. ამიტომ ამ დეფიციტის შევსების ერთ-ერთი გზა მათი იმპორტია, რასაც გარკვეული სავალუტო რესურსები სჭირდება (2.60.56). სწორედ სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების განვითარების აუცილებლობა არის იმპორტისათვის საჭირო სახსრების ფორმირების ის რეზერვი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სავალუტო რესურსების ამოქმედება. ყოველივე ამის განხორციელებისათვის კი საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება, მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი ბაზრის მოძიება და კონკურენციის შედეგად საკუთარი ადგილის დამკვიდრება. ამ ურთულესი ამოცანის შესრულება დიდ დროს, კაპიტალურ დაბანდებას, ახალ ტექნოლოგიებს, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს მოითხოვს. ეს პოტენციური შესაძლებლობა დარგობრივი სტრუქტურის გავლენით, შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობითი ფაქტორების ეფექტური გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ინტეგრაციის გაღრმავებაზე, ეკონომიკის რეგულირების მობილური სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებაზე.

ჩვენი გაანგარიშებით, მარცვლეული კულტურების მთლიანი პროდუქციიდან, მისი მრავალმხრივი გამოყენების გათვალისწინებით, დარჩენილი მარცვლეულის, დაახლოებით, 50 % ანუ საპროგნოზო პერიოდში 58,8 ათასი ტონა სასურსათოდ განისაზღვრა. გაანგარიშებით დადგენილია, რომ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგების პროდუქციის, დაახლოებით, 40 % გამოყენებული იქნება თვით მწარმოებელთა პირადი მოხმარებისთვის, დანარჩენი (60 %) კი შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს.

აღნიშნული საორიენტაციო გაანგარიშებების საფუძველზე, კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ჩამოყალიბებული სტრუქტურა პირდაპირ პასუ-

ხობს საერთაშორისო საბაზრო სტრუქტურებში ეროვნული ეკონომიკის ჩართვისა და ქვეყანაში სავალუტო რესურსების ფორმირების ამოცანებს.

ამჟამად, აგრარული რეფორმების პირობებში, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კერძო სექტორი. აქედან გამომდინარე, პრინციპული მნიშვნელობის უაღრესად აქტუალურ პრობლემად გვევლინება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის რაციონალური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის სასურსათო რესურსების ფორმირებას და რეზერვების შექმნას.

ამ თვალსაზრისით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აგროსამრეწველო დარგებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა აგრარული საბითუმო ბაზარი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს პროდუქციის წარმოების, შესყიდვისა და გადამუშავების რთულ პროცესს. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია დააჩქაროს და ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ბაზის განმტკიცებას, ბაზრის გაჯერებასა და სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების ინტენსიური გზით განვითარებისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა უნდა მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, მიწათმოქმედების მეთოდების გაუმჯობესების, არსებული და დამატებით დაბანდებული რესურსების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე. ინტენსიური ფაქტორების მოქმედება, საბოლოო ჯამში, თავს იჩენს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში. ამდენად, მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს, თუ რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საპროექტო მოცულობა.

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების საორიენტაციო მოცულობის მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი დანახარჯების პერსპექტიული პარამეტრების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, მიწათმოქმედების და აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ ცალკეული დარგების და კულტურების მიხედვით დამუშავებული მეთოდური მითითებები, ტექნოლოგიური რუკები და სხვა ნორმატიული მასალები, სადაც აკუმულირებულია პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი (ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური). გაანგარიშებით დადგენილია ტექნოლოგიური რუკებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად გათვალისწინებული ტექნიკის რაოდენობა, რომლის შესაძენად საჭირო იქნება 232,5 მლნ ლარი.

აღნიშნული მოცულობები საფუძვლად დაედო კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ფულად-მატერიალური საშუალებების პროგნოზული პარამეტრების ღირებულებით შეფასებას და განსაზღვრას (ცხრილი 3.2.2).

მატერიალური დანახარჯების სტრუქტურაში მაღალია სასუქების, საკვების და სათესი მასალების ხვედრითი წილი. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ნიადაგები გაკულტურების ციკლის ხანგრძლივობით და, რაც მთავარია, აგრომელიორაციულ და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსური განხორციელების ინტენსივობით ხასიათდება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში შრომითი დანახარჯები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც შრომითი რესურსების ეფექტიანობის განსაზღვრისა და გამოუყენებუ-

ლი რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ცხრილი 3.2.2

**კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწებზე მატერიალური
დანახარჯების პროგნოზული პარამეტრების სტრუქტურა
2015 წლამდე პერიოდისთვის**

№	მატერიალური დანახარჯების სახეები	2015 წელი	
		მლნ ლარი	%
1	თესლი და სარგავი მასალები	52,0	24,6
2	საკვები და საფენი	71,7	34,0
3	საწვავ-საპოხი მასალები	21,9	10,3
4	მინერალური და ორგანული სასუქები	40,2	19,1
5	ჰერბიციდები და პესტიციდები	15,5	7,4
6	ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი	9,7	4,6
	შულ	211,0	100

როგორც აღვნიშნეთ, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პერსპექტიულ-ტექნოლოგიურ რუკებში გათვალისწინებულია მაღალი მწარმოებლური საშუალებები, რომელთა საფუძველზე, კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე წარმოებული პროდუქციის დანახარჯებში განივთებული შრომის ხვედრითი წილი იზრდება, ხოლო ცოცხალი შრომის წილი შედარებით მცირდება, აგრეთვე მცირდება შრომის საერთო ჯამი, რომელიც ასახულია პროდუქციის ერთეულში. მატერიალური დანახარჯების საორიენტაციო მოცულობის დადგენამ მთლიანი შემოსავლის, შრომის ანაზღაურებისა და საწარმოო დანახარჯების პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრის საშუალება მოგვცა (ცხრილი 3.2.3).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მატერიალური დანახარჯები სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 32 %-ს შეა-

დგენს, რაც შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. ამ მეთოდოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების პროგნოზული პარამეტრები, რომლის ხვედრითი წილი მთლიან შემოსავალში 54 % ანუ 241,0 მლნ ლარს მიაღწევს.

ცხრილი 3.2.3

კოლხეთის დაშრობილ მიწებზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისა და წმინდა შემოსავლის პროგნოზული პარამეტრები (მლნ ლარი)

№	დანახარჯების სახეები	2015 წელი		
		სულ	მათ შორის	
			მემცენარეობაში	მეცხოველეობაში
1	პროდუქციის ღირებულება	659,4	438,7	220,7
2	მატერიალური დანახარჯები	211,0	133,5	77,5
3	მთლიანი შემოსავალი	448,4	305,2	143,2
4	შრომის ანაზღაურება	241,0	160,5	80,5
5	სხვა დანახარჯები	14,0	7,0	7,0
6	სულ დანახარჯი	466,0	301,0	165,0
7	წმინდა შემოსავალი	193,4	137,7	55,7
8	რენტაბელობის დონე (%)	41,5	45,7	33,7

ფულად-მატერიალური საშუალებების ცალკეული ელემენტების საორიენტაციო გაანგარიშების საფუძველზე განსაზღვრული დანახარჯების საერთო მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს მემცენარეობისა და მეცხოველეობის საპროგნოზო პარამეტრების მიღწევას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის მაღალი დონის პირობებში.

მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ არსებულთან შედარებით, პერსპექტივაში, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა და დანახარჯების ზრდის პირობებში, უპირატესად იზრდება წმინდა შემოსავალი და, აქედან გამომდინარე, რენტაბელობის დონე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს დაშრობილ მიწებზე კომპლექსურ ღონისძიებათა მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ყველა ძირითად ფაქტორთა გათვალისწინებით განისაზღვრა შრომისუნარიან მუშაკთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში ჩართვა და მატერიალური დაინტერესების ისეთი ვარიანტი, რომელიც დადებით როლს შეასრულებს მატერიალური დოვლათისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდაში.

გაანგარიშებით დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე შრომის ნაყოფიერების დონის მაჩვენებლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. 2015 წლამდე წლიურად, საშუალოდ, ერთ მუშაკზე და ერთ კაც/საათზე, შესაბამისად, 4068 და 2,2 ლარის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია იქნება მიღებული.

აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია პროდუქციის ზრდით და შრომითი დანახარჯების აბსოლუტური რაოდენობის შემცირებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას, მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას და ა.შ.

შრომის ტექნიკური შეიარაღების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის, პირუტყვის პროდუქტიულობის მაღალი დონისა და ფართობის ერთეულზე, აგრეთვე, ერთ სულ პირუტყვზე შრომის დანახარჯების ზრდის მიუხედავად, კოლხეთის დაბლობის სპეციფიკური ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გამო, რიგი პროდუქციის წარმოება კვლავ ძვირი იქნება. პროდუქციის თვითღირებულების კალკუ-

ლაციის სტრუქტურის საპროგნოზო პარამეტრებში შრომის ანაზღაურების წილი განსაკუთრებით მაღალი იქნება ჩაის (60 %), თამბაქოს (59 %), სიმინდის (46 %), ბოსტნეულ-ბაღჩეულის (42 %), სოიას (39 %) წარმოებაში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რამდენად მაღალია არაპირდაპირი დანახაჯების ხვედრითი წილიც, ნათელი გახდება, რომ ერთეული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ.

კოლხეთის დაბლობის დაშრობა და სასოფლო-სამეურნეო ათვისება დაკავშირებულია მეტად რთულ და შრომატევად ხერხებთან და მეთოდებთან, რომელთა განხორციელება ემყარება მრავალი წლის პრაქტიკულ გამოცდილებას.

წლების განმავლობაში დავას იწვევდა ჰიდრომელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებები. ამ მიმართულებით მკვლევართა დასკვნები და რეკომენდაციები განსხვავებული იყო და მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა.

კოლხეთის დაბლობის პირობებში, ნიადაგის დაშრობის ძირითად მეთოდად შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ მიზნულია ზედაპირული და გრუნტის წყლების ერთობლივი რეგულირება ნიადაგის პროფილის გაკულტურების ერთიან ღონისძიებათა კომპლექსში. ამდენად, დაშრობის ძირითად ჰიდრომელიორაციულ ფონს წარმოადგენს დახურულ-მარეგულირებელი ქსელი – ჰორიზონტალური დრენაჟი.

სამელიორაციო პრაქტიკაში დახურული დრენაჟის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი ტენის ორმხრივი რეგულირების საშუალებას იძლევა და ამიტომ კოლხეთის პირობებისათვის აუცილებელია. ეს მეთოდი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აღიარებული. მაგალითად, საფრანგეთში, 1966 წელს, დახურული დრენაჟით დაშრობილი იყო 2,0 ათასი ჰექტარი, 1976 წელს – 47 ათასი ჰექტარი, ხოლო ქვეყნის მელიორაციის პერსპექტიული გეგმით, 2015

წლისათვის იგი 3,5 მლნ ჰექტარს გადააჭარბებს.

გაანგარიშებით დადგენილია, რომ პერსპექტივაში კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების 70 % დაეთმოება დახურული დრენაჟით დაშრობილ ფართობებს. ამასთან, მაღალრენტაბელური სუბტროპიკული კულტურებისათვის რეკომენდებულია დახურული დრენაჟისა და „კვალის“ მოწყობის ღონისძიებათა კომპლექსი.

კოლხეთის დაბლობზე უნალექო პერიოდის ხანგრძლივობა 23-36 დღეს აღწევს, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მეორდება, ანუ გვალვას სისტემატური და მკვეთრად გამოხატული ხასიათი არა აქვს; მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით ჩაის, ციტრუსების, ბოსტნეულის და სხვა ერთწლიანი კულტურების მორწყვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საჭირო ღონისძიებაა.

კოლხეთის დაბლობზე ჭაობები განლაგებულია დაბლობის ზღვისპირა ზოლში და უკავია 15,0 ათასი ჰექტარი, რომელზეც მელიორაციული სამუშაოები არ არის გათვალისწინებული, ხოლო პალიასტომის ტბის მიმდებარე ტერიტორია (15 ათასი ჰექტარი) გამოყოფილია, როგორც ნაკრძალი.

ამრიგად, კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოების განხორციელების შედეგად არსებითი გავლენა ჭაობების ეკოსისტემაზე მოსალოდნელი არ არის.

კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში პერსპექტივაში გამოყოფილი სახელმწიფო ტყის ფონდის მასივები, ნაკრძალები, წყალსატევები და სხვა ბუნებრივი ლანდშაფტი საკმარისია, რათა შენარჩუნებულ იქნეს ზოგიერთი ცხოველისა და ფრინველის პოპულაცია, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ ადაპტაციის უნარი ანთროპოგენული ლანდშაფტის მიმართ.

კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების ღონისძიებათა სისტემა აგრეთვე ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-

შენარჩუნებას, მდინარეთა ეროზიული სანაპირო ზოლის დაცვა-გამაგრებას, ტყის დამცველი ზოლების მოწყობითი სამუშაოების შესრულებას, ამასთან, დასახვეწია კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ტექნოლოგია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის ტექნიკური ეროზია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობა, ათვისება, რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა და მაღალეფექტიანად გამოყენება გარკვეული რაოდენობის კაპიტალდაბანდებასთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ აგრარული სექტორის განვითარების მასშტაბები და ტემპები მკაცრად განსაზღვრავენ კაპიტალდაბანდებათა მოცულობასა და ზრდის ტემპებს.

კაპიტალდაბანდებათა დაზუსტებული ნორმატივების საფუძველზე დამუშავდა კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო სისტემების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მელიორირებული მიწების ათვისების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის პროგნოზული პარამეტრები (ცხრილი 3.2.4).

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მიწების დაშრობაზე გათვალისწინებულია გაანგარიშებულ კაპიტალდაბანდებათა 36,5 %. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების ეფექტიანად გამოყენება სწორედ დიდ კაპიტალდაბანდებაებთანაა დაკავშირებული. ამასთან, ამ მიმართულებით განსაზღვრულ დაბანდებაებში პრიორიტეტულია არსებული დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრ სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, მთელ რიგ რეგიონებში დაიწყო დამშრობილი მიწების მეორადი დაჭაობების პროცესი, რომელმაც 65 ათას ჰექტარს გადააჭარბა. ამდენად, რეკონსტრუქციის სამუშაოთა საპროგნოზო

მოცულობაში (71,0 ათასი ჰექტარი) ხსენებული ფართობებიცაა გათვალისწინებული.

ცხრილი 3.2.4

**კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო სისტემების
მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მელიორირებული
მიწების ათვისების კაპიტალდაბანდებათა პროგნოზული
პარამეტრები 2015 წლამდე პერიოდისათვის**

№	ღონისძიების დასახელება	ფართობი (ათ. ჰა)	კაპიტალდაბანდება (მლნ ლარი)	%
1	2	3	4	5
1	მიწების დაშრობა – სულ	113.0	510.1	34.2
	მათ შორის: რეკონსტრუქცია	71.0	320.5	21.5
	ახალი მიწების დაშრობა	42.0	189.6	12.7
2	აკულტურება	201.0	221.1	14.8
3	მდინარეთა ნაპირგამაგრება	75.0	36.0	2.5
4	სატუმბო სადგურების რეკონსტრუქცია	24.5	1.0	0.1
5	საპროექტო-სადიებო სამუშაოები	113.0	8.1	0.5
6	ბუნების დაცვის ღონისძიებები	113.0	3.7	0.2
7	წყალდიდობისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები	148.2	4.3	0.3
8	საექსპლუატაციო ხარჯები	X	337.2	22.6
	შულ	X	1121.5	75.2
9	მრავალწლიანი ნარგავების გაშენება	4.8	15.5	1.0
10	მრავალწლიანი ნარგავების მოვლა	4.8	89.0	6.0
11	ტექნიკის შეძენა	X	232.5	15.6
12	ძირითადი ჯგუფის ფორმირება	X	18.0	1.2
13	სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობა	1.0	14.7	X
	ჯამი	X	369.7	24.8
	შულ	X	1491.2	100.0

კოლხეთის პირობებში სიფრთხილეს მოითხოვს მდინარეების რეგულირება, რადგან მათი ბუნებრივი რეჟიმის მკვეთრი ცვლილებები

დაუშვებლად არის მიჩნეული. გარდა ამისა, მოსალოდნელია ანთროპოგენული გარემოს გარკვეული ცვლილებები. ამიტომ აუცილებელია ძირითადი ბუნებრივი კომპლექსების სისტემატური კონტროლი, რაც ეკოლოგიური პროცესების მართვის საშუალებას მოგვცემს.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების დროს პრიორიტეტული მიმართულებაა გარემოს პირობების გაჯანსაღება, ადამიანისათვის საყოფაცხოვრებო კომფორტის შექმნის მიზნით. დაბლობის ცენტრალურ ნაწილში რეკრეაციული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ათზე მეტ კურორტს, სანატორიუმსა და ტურისტულ ობიექტს ითვლის. იქ ყოველწლიურად შესაძლებელია 80 ათასამდე დამსვენებლის მიღება და მომსახურება, ხოლო, თუ ქვეყნის რეკრეაციული მეურნეობის განვითარების ამოცანები საერთაშორისო მოთხოვნებს დაექვემდებარება, მაშინ ამ რეგიონში წელიწადში, საშუალოდ, 300-350 ათასი დამსვენებლის მიღება იქნება შესაძლებელი.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანგარიშებული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის პროგნოზული პარამეტრები ქვეყნის მელიორაციის კომპლექსური განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან სრულ შესაბამისობაშია, მათი ეფექტიანად ათვისება დიდად იქნება დამოკიდებული დაფინანსების წყაროების ძიებისა და გამოყენების სწორ პოლიტიკაზე.

სამელიორაციო სისტემების ეფექტიანად ფუნქციონირებისა და საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე დაყრდნობით სამელიორაციო ფონდის რესტრუქტურისა და უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილად არის მიჩნეული სარაიონთაშორისო და სამეურნეობათაშორისო დანიშნულების დამშრობი სისტემები, სატუმბი სადგურები და სხვა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობები დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, სათანადო დაფინანსებით.

შედარებით რთული გადასაწყვეტია შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელების მოვლა-შენახვის საკითხები. წლების განმავლობაში

პრაქტიკულად იქნა დადასტურებული, რომ ამ ქსელების მეურნეობების ბალანსზე, შემდგომში კი მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგეობებისათვის გადაცემამ დადებითი შედეგი ვერ მოიტანა.

როგორც წინა პარაგრაფში ვთქვით, სამელიორაციო, დამშრობი სისტემებისა და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური მომსახურებისა და მიწათმოსარგებლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ჩვენს მიერ მიზანშეწონილადაა მიჩნეული წვერობაზე დაფუძნებული სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბება, რომელთა საქმიანობის ძირითადი ფუნქცია დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლების მოცილება, მომსახურების საფასურის ამოღება, წყალსამეურნეო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორება, დამშრობი სისტემების ტექნიკურად გამართვა და დაცვა იქნება.

იმ მრავალრიცხოვან მიწათმოსარგებლეთა შორის, რომლებმაც სამელიორაციო ასოციაციების მომსახურებით უნდა ისარგებლონ, ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ ფორმას გლეხური (ფერმერული) მეურნეობა წარმოადგენს. ამ ფორმის პრაქტიკულად გამოყენების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომლის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისთვის რეკომენდებულია: მარცვლეულის საწარმოო მიმართულების პირობებში 200-250 ჰექტრის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიმართულების პირობებში – 50 ფურის (შლეიფით), მეღორეობის მიმართულების პირობებში – 10 დედა ღორის (შლეიფით) საორიენტაციო სიდიდის გლეხური (ფერმერული) მეურნეობები.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობების განვითარების თანამედროვე დონის, განსაკუთრებით მისი პერსპექტივების გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ კოოპერირებას არა მხოლოდ ცალკეული შრომითი პროცესების შესრულების, არამედ პროდუქციის

გადამუშავების, რეალიზაციისა და კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. კოლხეთის დაბლობის სამედიორაციო ფონდის რესტრუქტურისაციისა და დარგში, სადაც ძირითადი ქონების მესაკუთრე სახელმწიფოა, ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრივატიზაციას. სამედიორაციო სისტემებისა და მათზე არსებული სამედიორაციო ინფრასტრუქტურის (დანიშნულების შენარჩუნებით) პრივატიზების პროცესი აგრარული რეფორმების მეორე ეტაპიდან უნდა განხორციელდეს. ამ ეტაპზე შესაძლებლად მიგვაჩნია სახელმწიფო სახსრებით აშენებული და სამედიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული იმ სამედიორაციო სისტემების პრივატიზება-რეორგანიზაცია, რომლებიც:

- ა) მთლიანად ერთი მოსარგებლის კონტურშია მოქცეული;
- ბ) ერთი და იმავე ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში ემსახურება რამდენიმე მიწათმოსარგებლეს;
- გ) შექმნილი სისტემების მიხედვით, ცალკეულ ფედერაციებად რეორგანიზაციას.

აგრარული რეფორმების მესამე ეტაპზე შესაძლებელია მოხდეს ადგილობრივი მმართველობის გამგებლობაში არსებული ყველა დანარჩენი სამედიორაციო სისტემის პრივატიზება, ფუნქციების შენარჩუნებით. პრივატიზების პროცესში საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ:

- ა) მიზანშეწონილია ჩამოყალიბებული სამედიორაციო მომსახურების ასოციაციები, რომელთა უფლება-მოვალეობას სახელმწიფო კანონი იცავს და რომლებიც ერთი და იმავე ადმინისტრაციულ რაიონში ან ერთი სისტემის პირობებში ფუნქციონირებენ, სამედიორაციო ასოციაციების ფედერაციად გარდაიქმნან;
- ბ) ადგილობრივი მმართველობის გამგებლობაში გადაცემული სამედიორაციო სისტემების ექსპლუატაციის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მედიორაციის დეპარტამენტის იმ რაიონული სამსახურე-

ბის რესტრუქტურია, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო სამელიორაციო მომსახურების ასოციაციებთან და სხვა მიწათმოსარგებლებთან და წყალმომხმარებლებთან ხელშეკრულების საფუძველზე სამელიორაციო სამუშაოების შესრულებით შემოიფარგლება.

ცხადია, მელიორაციის დარგში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა რადიკალური გარდატეხა უნდა შეიტანონ ნედლეულის წარმოების პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის (ფიზიკური, იურიდიული პირის) მატერიალური დაინტერესების პრინციპების ფორმირებაში. მელიორირებულ მიწებზე პროდუქციის წარმოების გაზრდით დაინტერესებული უნდა იყოს არა მხოლოდ მიწათმოსარგებლე, არამედ ნედლეულის წარმოების პროცესთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურული ერთეული. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მონაწილის მატერიალურ დაინტერესებას, რაც, თავის მხრივ, დააყენებს საკითხს კოლხეთის დაბლობის მიწების მელიორაციის კომპლექსური მართვის მეცნიერულად დასაბუთებული, ახალი მიმართულების შემუშავების თაობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი კოორდინაცია და შეთანხმებული საქმიანობა.

ქვეყნის სამელიორაციო სამსახურის სფეროში ერთიანი მაკოორდინირებელი როლის შესრულება უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულს – სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს, სადაც განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ცალკეული დამოუკიდებელი სამსახურების კოორდინაცია, მეცნიერული მიღწევების, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების განზოგადება, სამელიორაციო მშენებლობისა და სარეკონსტრუქციო ობიექტების შერჩევა და დაპროექტება, სამეურნეობათაშორისო, სარაიონთაშორისო და შინადასამეურნეო ქსელების ექსპლუატაციის სამსახურის თანაფარდობის დაცვა, სამელიორაციო სისტემების საექსპლუატაციო მომსახურების

ერთიანი სატარიფო საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, ვიწრო უწყებრივი მიდგომის აღმოფხვრა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების პროგრამის შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობა ჰიდროტექნიკური, სამელიორაციო და წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და მელიორირებული მიწების გამოყენების სრულყოფა, ტექნიკური გადაიარაღების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ეფექტიანობის ამაღლება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევა და დანერგვაა. აღნიშნული ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა:

- სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის კომპლექსური, დაბალანსებული განვითარებისადმი პრიორიტეტული მიდგომის უზრუნველყოფა, მისი თვისებრივი დონისა და ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება;

- კომპლექსური, დარგთაშორისი კვლევის, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაღრმავება, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის შერწყმა, ახალი ტექნოლოგიების სფეროში მელიორაციის დარგის სპეციფიკური ინტერესების შესაბამისი კვლევის გაფართოება და ტექნიკის დანერგვა;

- მეცნიერული მიღწევებისა და სხვა კვლევითი სამუშაოების საკონკურსო გზით შერჩევა და ფინანსური უზრუნველყოფა;

- სამეცნიერო, საპროექტო და სასწავლო ინსტიტუტების და ექსპერიმენტული საწარმოო ბაზების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მათი მიღწევების წარმოებაში დანერგვა;

- საზღვარგარეთის ქვეყნებთან მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისა და მის სანედლეულო ზონაში გადაადგილებულ საქონელმწარ-

მოებელთა ინტეგრირება წარმოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე, დასაშვებ ფორმად მიჩნეულია:

1. საკუთრების ერთი ფორმის პირობებში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებული წესით გაერთიანება და მათი ერთობლივი აქციონირება (შესაძლებლად გვესახება ერთ რაიონში და ერთ სამედიორაციო სისტემაზე არსებული სამედიორაციო მომსახურების ასოციაციების ფედერაციებად გაერთიანება და, შესაბამისად, მათი ფუნქციების გადრმაგება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოებისა და მარკეტინგით უზრუნველყოფის საქმეში);

2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გააქციონირება და მისი შეერთება გააქციონირებულ სამრეწველო საწარმოსთან;

3. ინტეგრირებული საწარმოს აქციების ნატურით გამოსყიდვა (სამი წლის განმავლობაში). სახელმწიფო სტრუქტურებმა ამის ნება უნდა დართონ შრომით კოლექტივებს.

4. გადამამუშავებელი საწარმოების განსახელმწიფოებრივების ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულ იქნეს სამრეწველო საწარმოს შრომითი კოლექტივისა და სანედლეულო ზონაში გადაადგილებული საქონელმწარმოებლების მიერ კოოპერატიული საზოგადოების ჩამოყალიბება და სახელმწიფოსაგან საწარმოს ღირებულების ნედლეულით (ნატურით), თანდათანობით (5 წელი) გამოსყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წილი დაბალია (21 %), იგი სამედიორაციო სისტემების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პერსპექტიულ პროგრამასთან სრულ შესაბამისობაშია. ამასთან, აღნიშნულ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა დამოკიდებულია მეცნიერების განვითარებაზე

და მათი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პრობლემის მეცნიერული უზრუნველყოფის-ათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებების (14,7 მლნ ლარი, ცხრილი 3.2.4) ეფექტიან გამოყენებას.

კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების სამუშაოების სრული ციკლის განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების უზრუნველსაყოფად, ქვეყნის საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და სასესხო რესურსების დეფიციტის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროების ძიებას.

ქვეყნის საჭიროებისათვის სავალუტო რესურსების საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებით განისაზღვრა საექსპორტო პროდუქციის ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე უცხოელ ინვესტორთა შესაძლო მონაწილეობა სამელიორაციო ღონისძიებების შესრულებაში. ამ თვალსაზრისით, უდიდესი როლი ეკისრება თვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც თავის საქმიანობაში პრიორიტეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებასა და სამუშაოების შესასრულებლად ტენდერის გამოცხადებას უნდა დაუთმოს.

გაანგარიშებით დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების პროგრამით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა 18 % ევროგაერთიანებისა და მსოფლიოს დონორი ქვეყნების დახმარების, 48 % ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების, ხოლო 34 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების საფუძველზე განხორციელდება.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში, საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებას, კონტროლსა და მიზნობრივ გამოყენებას დიდი

მნიშვნელობა ენიჭება. მელიორაციიდან შემოსავლების განსაზღვრა წარსულში არ ხდებოდა, საბაზრო ურთიერთობების პრინციპი კი ამჟამად თვისებრივად ახალ მოთხოვნებს უყენებს დარგის განვითარების ამოცანებს, რომლის განხორციელების ერთ-ერთ რგოლს საგადასახადო სისტემის საფუძველზე შემოსავლების მექანიზმის რეგულირება და მიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს და ეტაპების მიხედვით ისინი უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, შესაბამისად, 19 და 34 %-ით დაფინანსებას.

კოლხეთის დაბლობზე აგრომელიორაციული თუ სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება მეტი სპეციფიკურობით ხასიათდება, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. ყოველივე ზემოხსენებულმა განაპირობა, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობა-რეკონსტრუქციისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საპროგნოზო პერიოდში საჭიროა 1491.2 მლნ ლარი.

საორიენტაციო გაანგარიშებით დადგინდა, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების ინტენსიურად გამოყენების საფუძველზე, აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები გამოსყიდული იქნება 6,5 წელიწადში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი 0,16 მიაღწევს (ცხრილი 3.2.5). მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა და წმინდა შემოსავლის გამოსავალი დაშრობილი ფართობის ერთეულზე და საშუალო წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით. ამასთან, მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთობლივი დანახარჯების დიდი მოცულობის მიუხედავად, რენტაბელობისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპის პროგრესული პარამეტრები ყველა დასახული

ღონისძიების შესრულების ლოგიკური დასაბუთების საშუალებას იძლევა.

ცხრილი 3.2.5

კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები

№	საანგარიშო მოცულობების სახეები	განზომილება (ერთეული)	უახლოეს პერსპექტივაში	შენიშვნა
1	2	3	4	7
1	კაპიტალური დაბანდებები	მლნ ლარი	1491,2	
	მათ შორის: მიწების კომპლექსური დაშრობა-რეაბილიტაცია	მლნ ლარი	1121,5	
	სოფლის მეურნეობის განვითარება	----“----	369,7	
2	წმინდა შემოსავალი დღგ-ს ჩათვლით	----“----	236,7	
3	კაპიტალური დაბანდების გამოსყიდვის ვადა	წელი	6,3	
4	კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური ეფექტი		0,16	
5	ერთ ჰა-ზე მოსავლის სავარაუდო ღირებულება:			
	ა. მთლიანი აგრარული პროდუქცია	ლარი	3381,0	
	ბ. წმინდა შემოსავალი	----“----	991,8	
6	სოფლის მეურნეობის ერთ მუშაკზე წელიწადში:	----“----		
	ა. მთლიანი პროდუქცია	----“----	4068,0	
	ბ. წმინდა შემოსავალი	----“----	1193,0	
7	რენტაბელობის დონე	%	41,5	

ამრიგად, კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების მნიშვნელობა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდით და

ეფექტიანობის ამაღლებით არ შემოიფარგლება, მას დიდი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების მეცნიერულ საფუძველზე განვითარებისა და საერთო ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

დასკვნები და წინადადებები

1. ქვეყნის აგრარულ სექტორში მიმდინარე გარდაქმნების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებითი პრობლემები კონცენტრირებულია არა უშუალოდ წარმოების სფეროში, არამედ საწარმოო ინფრასტრუქტურაში. ამიტომ მიზანშეწონილია სექტორში შეიქმნას საწარმოო საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ერთიანი საბაზრო სისტემა, რომლის მთავარი ამოცანა იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების საწარმოო ინფრასტრუქტურის მომსახურების ფუნქციის შესრულებისგან განთავისუფლება.

2. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში მიწების დაშრობისა და ათვისების უპირატესობა პირობით საზღვრებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ერთი – ერთიანი სამედიორაციო ფონის შექმნის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება მედიორაციულ, აგრომედიორაციულ და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა, მეორე – ბუნებრივ საზღვრებში ფართობების ათვისება მოხდება არა ტყე-ბუჩქნარის ამოძირკვისა და ტორფიანი ჭაობების დაშრობის, არამედ არსებული დაბალინტენსიური და დაბალპროდუქტიული სავარგულების გაუმჯობესების და მათი ინტენსიურ სავარგულებში გადაყვანის ხარჯზე.

ამრიგად, კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში მიწების დაშრობა და ათვისება, როგორც საინჟინრო, ისე ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, გამართლებულია.

3. საკვლევი რაიონების დაშრობილ მიწებზე ვიზუალური გამოკვლევების საფუძველზე დადგენილ იქნა სახნავი მიწების დაბალეფექტიანად გამოყენების ძირითადი მიზეზები. სახნავი მიწების 37,9 %, ბოლო წლებში დაშრობითი ღონისძიებების გაუტარებლობისა და რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო, დაუმუშავებელი რჩებოდა, რის შედეგად, დაბალი მოსავლიანობის პირობებშიც კი, საკვლ-

ევ რაიონებში წლიურად, საშუალოდ, იკარგება 1673 ტონა სამარცვლელე სიმინდი. საბითუმო ფასებით ეს 569,0 ათასი ლარის ზარალის ტოლფასია.

4. ქვეყანაში განხორციელებულმა მიწის პრივატიზაციამ მნიშვნელოვნად გაართულა წარმოებული პროდუქციის აღრიცხვა-ანგარიშგება და, რაც მთავარია, ისედაც მცირეკონტურიანი ნაკვეთების კიდევ უფრო დაქუცმაცებამ – ფართობების მექანიზაციის საშუალებებით დამუშავების შესაძლებლობები. დადგინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ცალკეული სახეობის წილი (შესაბამისად, 30,4 % და 22,2 %), რაც, ძირითადად, ხელით შესრულებული სამუშაოების, საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების მაღალი ფასების და ამორტიზებული ტექნიკის ექსპლუატაციის შედეგია.

5. კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ საზღვრებში სამელიორაციო მიწის ფონდების დაზუსტების შედეგად, 798,1 ათასი ჰექტარი საერთო ფართობიდან 487,1 ათასი ჰექტარი ანუ 61 % დაშრობითი მელიორაციის ჩატარებას არ ექვემდებარება, რადგან ჯერ ერთი – 184 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მდებარეობს რა შემადგენულ, გორაკ-ბორცვიან ფართობზე, მელიორაციის გარეშეც სავსებით აკმაყოფილებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნებს, მეორე – ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის ხელუხლებელი რჩება 190,4 ათასი ჰექტარი ტყე და ნაკრძალი, და მესამე – სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი სხვა მიწები (გზების, წყლის, შენობების ქვეშ) არ საჭიროებენ დაშრობით მელიორაციას. აქედან გამომდინარე, სამელიორაციო მიწის ფონდი განისაზღვრა 311 ათასი ჰექტრით.

6. დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებისა და სასოფლო-სამეურნეო ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, 2015 წლისათვის საკვლევ რაიონებში დაშრობილი სახნავი, არსებულთან შედარებით, 83,0 ათასი ჰექტრით გაიზრდება და 147,9 ათას ჰექტარს მიაღწევს. შემცირდება ჩაისა და ციტრუსების ფართობი (შესაბამისად, 4,8 ათასი ჰექტარი და 1,6 ათასი ჰექტარი). ნათესი ფართობის სტრუქტურაში მარცვლოვან-პარკოსან კულტურებს 93,5 ათასი ჰექტარი დაეთმობა (63,2 %). საპროგნოზო გაანგარიშებებში საკმაოდ მაღალია (25,3 %) საკვები კულტურების ხვედრითი წილი, რაც მეცხოველეობის დარგების განვითარების მყარი საფუძველია.

7. მელიორაციის დარგში უკანასკნელ წლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის კრიტიკული შეფასების საფუძველზე, დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობაში (71,0 ათასი ჰექტარი) გათვალისწინებულია ნიადაგის მეორადი დაჭაობების 42,2 ათასი ჰექტარი. როგორც სარეაბილიტაციო, ისე ახალდაშრობილი ფართობები უზრუნველყოფილი იქნება აგროტექნიკური ღონისძიებებით გათვალისწინებული გაკულტურების 3-5-წლიანი ციკლით.

8. მარცვლეულის საპროექტო მოცულობა (2825 ათასი ცენტნერი) საქართველოში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სახელმწიფო რესურსებში 25 %-ს დაიკავებს. წარმოებული მარცვლეულიდან 1427 ათასი ცენტნერი მოხმარდება მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი (1398 ათასი ცენტნერი) – მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

9. სარეაბილიტაციო და ათვისების სამუშაოების სრული ციკლის დამთავრების შემდეგ, მეცხოველეობის სულადობის და პროდუქტიულობის ზრდისა და რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად საპროგნოზო პერიოდში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს რძე და ყველა სახის ხორცი (ც/წ), შესაბამისად,

1890 და 675 ათასი ცენტნერი, კვერციხი – 140 მლნ ცალი, თაფლი და აბრეშუმის პარკი, შესაბამისად, 1050 და 731 ცენტნერი.

10. სამელიორაციო სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სარაიონთაშორისო და სამეურნეობათაშორისო დანიშნულების დამშრობი სისტემების მაგისტრალური არხები, სატუმბი სადგურები და სხვა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობები, შიდასამეურნეო ქსელების ჩათვლით, დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში და გამგებლობაში გადაეცეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, მათი ტექნიკურად გამართვა და მოვლა დაფინანსდეს, ძირითადად, ცენტრალური ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან.

11. კვლევამ გვიჩვენა, რომ აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე შექმნილი სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფორმა და შინაარსი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მიწების ეფექტიანობის ამაღლებას და ფერმერთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მიგვაჩნია, რომ სამელიორაციო ასოციაციების მომსახურების სფერო უნდა გაფართოვდეს და მათ დაეკისროს, აგრეთვე, მიწის ნაყოფიერების ამაღლებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების და მომსახურების შესრულებაც. მიზანშეწონილია, ერთსა და იმავე რაიონში ან ერთ სამელიორაციო სისტემაზე არსებული სამელიორაციო მომსახურების ასოციაციები ერთ მობილურ ფედერაციად გარდაიქმნან.

12. სამელიორაციო სისტემების პრივატიზების პროცესი ეტაპების მიხედვით უნდა განხორციელდეს:

- პირველ ეტაპზე შესაძლებლად მიგვაჩნია იმ სამელიორაციო სისტემების პრივატიზება, რომლებიც:

- ა) მთლიანად ერთი მოსარგებლის კონტურშია მოქცეული;

- ბ) ორ ან რამდენიმე მიწათმოსარგებლეს ემსახურება ერთი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში.

- მეორე ეტაპზე შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი

მმართველობის გამგებლობაში დარჩენილი ყველა სამელიორაციო ობიექტის პრივატიზება.

13. ქვეყნის სასურსათო რესურსების ფორმირებისა და რეზერვების შექმნის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ფორმად მიგვაჩნია აგრარული საბითუმო ბაზარი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს პროდუქციის წარმოების, შესყიდვის და გადამუშავების რთულ პროცესს, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ბაზის განმტკიცებას, ბაზრის გაჯერებას და სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

14. გაანგარიშებით დადგინდა, რომ კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების კომპლექსურ ღონისძიებათა განსახორციელებლად კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 2015 წლამდე პერიოდისათვის შეადგენს 1491,2 მლნ ლარს. ამ თანხის 34,2 % ანუ 510 მლნ ლარი მოხმარდება უშუალოდ მიწების დაშრობას, პრიორიტეტულია (21,5 %) დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

15. სამელიორაციო სამუშაოების დაფინანსების წყაროების უზრუნველსაყოფად, დადგინდა, რომ საპროგნოზო პერიოდში გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა 18 % ევროგაერთიანებისა და მსოფლიოს დონორი ქვეყნების დახმარების, 48 % ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების, ხოლო 34 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების საფუძველზე განხორციელდება.

16. კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და ათვისების კომპლექსურ ღონისძიებათა განსახორციელებლად საპროგნოზო პერიოდში საჭირო კაპიტალური დაბანდებები გამოსყიდული იქნება 6,3 წელიწადში. კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი მიაღწევს 0,16, ხოლო რენტაბელობის დონე – 41,5 %-ს.

გამოყენებული ლიტერატურა

I. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებები

I-1. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია;

I-2. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის 20 ბრძანებულება „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში განსახორციელებელი რეფორმის პირველი ეტაპის შესახებ“;

I-3. საქართველოს კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“;

I-4. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 სექტემბრის 527 ბრძანებულება „სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწების მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამის შესახებ“;

I-5. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 მაისის 341 ბრძანებულება „საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის 1999-2005 წ.წ. სახელმწიფო პროგრამის შესახებ“;

I-6. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 10 იანვრის 17 განკარგულება „მაღარიასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“;

I-7. საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;

I-8. 1992 წლის 22 სექტემბრის 949 განკარგულება “საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობის, კეთილმოწყობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ”, თბილისი;

I-9. 1992 წლის 18 იანვრის 48 დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ”, თბილისი;

I-10. 1992 წლის 06 თებერვლის 128 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ” საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე”, თბილისი;

I-11. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „დასაქმების შესახებ”;

I-12. 1993 წლის 16 იანვრის 39 დადგენილება “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ”;

I-13. 1993 წლის მარტის 199 დადგენილება “1993-1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის შესახებ”;

I-14. 1993 წლის 15 ივლისის 52 დადგენილება “საქართველოში კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამა”;

I-15. 1993 წლის 19 აგვისტოს 601 განკარგულება “საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ”;

I-16. 1994 წლის 02 მარტის 126 განკარგულება “საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმის (1994-1995 წ.წ.) შესახებ”;

I-17. 1995 წლის 16 მაისის 263 განკარგულება “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ინდექსირების შესახებ”;

I-18. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 1994 წელი;

I-19. გადასახადების კანონთა კრებული, I, II, III ნაწილები, თბილისი, 1994 წელი;

I-20. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „იჯარის შესახებ“, თბილისი, 1994 წელი;

I-21. დებულება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის თაობაზე“, თბილისი, 1994 წელი.

II. წიგნები, სტატიები, შრომები

II-1. ადგიშვილი გ., დასაქმების პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურნ. “ეკონომიკა”, 6, 1991 წ., გვ. 13-19;

II-2. ანდლულაძე რ., კიკნაველიძე ა., მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამუშავების შესახებ, ჟურნ. “მოამბე”, 3, 1996 წ., გვ. 147-151;

II-3. ბურკაძე ვ., მიწის ფასი – აგრარული რეფორმის ქვაკუთხედი, ასკემსი-ის შრომათა კრებული, თბ., 1991 წ., გვ. 3;

II-4. ბურკაძე ვ., მეურნეობის საკუთრების მრავალფეროვნების ეკონომიკური შინაარსი, ჟურნ. “ეკონომიკა”, 2, 1991 წ., გვ. 20;

II-5. გოგობია რ., ბაკურაძე ვ., ქვაჩახია ი., რადიკალური აგრარული რეფორმა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საფუძველზე, ჟურნ. “ეკონომიკა”, 6, 1991 წ., გვ. 5-10;

II-6. გოგობია რ., განსახელმწიფოებისა და პრივატიზაციის არს-ის გაგებისათვის, ჟურნ. “ეკონომიკა”, 5-6, 1992 წ., გვ. 12-18;

II-7. დიდებულები ალ., სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, გ.ე.გ.პ, საქართველო, თბ., 1997 წ.;

II-8. ზედგენიძე ა., ასკ-ში სატყეო მეურნეობის წარმოების გამძლეობის საფუძვლები, თბილისი, “საბჭოთა საქართველო”, 1988 წ.;

II-9. ზედგენიძე ა., სატყეო მეურნეობისა და ასკ-ის კავშირურობის ეკონომიკური საფუძვლები, თბილისი, 1988 წ.;

II-10. თეთრაული ა., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში, თბილისი, 1993 წ., გვ. 44;

II-11. თაყაძე გ., ლამბაშიძე ზ., საპროპელის მოპოვების ჰიდრომექანიზაცია, “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1971 წ., გვ. 4;

II-12. იაშვილი ნ., მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, “მეცნიერება”, თბილისი, 1970 წ., ნაწილი I, გვ. 56;

II-13. კაიშაური ნ., ქვეყნის ნიადაგური საფარი გადაუდებელ შველას ითხოვს, ჟურნ. “კვალი”, 1-2, თბილისი, 1999 წ., გვ. 21;

II-14. კაიშაური ნ., კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან მიწებზე ს/ს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები. სამეცნიერო შრომა-თა კრებული “აგრარული მეცნიერების პრობლემები”, ტ. XXXV, თბილისი, 2006 წ., გვ. 281;

II-15. კაიშაური ნ., სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური პრინციპები, ასკემსკი-ის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXXVI, თბ., 2006 წ., გვ. 262;

II-16. კაიშაური ნ., საქართველოში სამელიორაციო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების პრინციპები, ჟურნ. “ეკონომიკა”, , თბილისი, 2006 წ., გვ. 88;

II-17. კაიშაური ნ., ქარსაფარი ტყის ზოლის მნიშვნელობა კოლხეთის დაბლობზე, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, 4, თბ., 2006 წ., გვ. 147;

II-18. კაიშაური ნ., მელიორაცია – სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა”, 2, თბ., 2006 წ., გვ. 149;

II-19. კანდელაკი თ., გარდამავალ პერიოდში სატყეო დარგის რეფორმების პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია, საერთაშორისო სამელიორაციო სიმპოზიუმის მასალები, “დიოგენი”, თბ., 1999 წ., გვ. 112-119;

II-20. კობეშავიძე ვ., კეკელიძე რ., კოლხეთის ათვისების ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. “საქართველოს სოფლის მეურნეობა”, 2, 1976 წ., გვ. 39-40;

II-21. კუნჭულია თ., საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, “მეცნიერება”, თბ., 1997 წ.;

II-22. ლიპარტელიანი რ., უგრეხელიძე შ., ჩარქსელიანი ზ., სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მელიორაცია”, “მერკური”, 1993 წ.;

II-23. მახარაძე ჯ., კაიშაური ნ., საქართველოში ირიგაცია-დრენაჟის მომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბების წინამძღვრები და განვითარების ძირითადი პრინციპები”, საქ. სმმ აკადემიის ჟურნ. “მომამბე”, თბ., 2005 წ.;

II-24. მახარაძე თ., კაიშაური ნ., სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები აგრარულ სფეროში, ასკემსკი-ის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. V (XXVIII), თბ., 2005 წ.;

II-25. მახარაძე ჯ., კაიშაური ნ., ხუციშვილი მ., საქართველოში ირიგაცია-დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორ-

ციელეზა – ს/ს წარმოების განვითარების დიდი რეზერვი, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. VI (XXIX), თბ., 2005 წ., გვ. 80;

II–26. მახარაძე ჯ., კოლხეთის დაბლობის მიწის რესურსების ღირებულებითი შეფასების მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ასკემსკი-ის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I (XXIV), 1998 წ., გვ. 92;

II–27. მახარაძე ჯ., დაშრობითი მელიორაციის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1982 წ.;

II–28. მახარაძე ჯ., კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ეკონომიკური პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997 წ.;

II–29. მესხია ი., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერება, ჟურნ. “ეკონომიკა”, 2, 1991 წ., გვ. 12-19;

II–30. მესხიშვილი დ., აშშ-ში ფერმულ მეურნეობათა გამოცდილება, ჟურნ. “ეკონომიკა”, 2, 1992 წ., გვ. 50-51;

II–31. მურანოვი ა., მსოფლიოს უდიდესი მდინარეები, “განათლება”, თბ., 1975 წ.;

II–32. ნაყოფია ბ., მელიორაციის როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, “ლაშარა”, სოხუმი, 1985 წ., გვ. 77;

II–33. ონიანი ო., ლომიძე ზ., პალიასტომის ტბის საპროპელი, როგორც სასუქი, ჟურნ. “საქართველოს სოფლის მეურნეობა”, 1980 წ.;

II–34. პაპუნძე ვ., საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1970 წ., გვ. 189;

II–35. ჟღენტაი პ., მახარაძე ჯ., კოლხეთის დაბლობი – სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის დიდი რეზერვი, თბ., 1984 წ.;

II-36. რამიშვილი გ., ქელეხსაშვილი ლ., სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაციონალური განლაგება კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით, სსი სამეცნიერო შრომები, თბ., 1990 წ., გვ. 164;

II-37. რუხაძე ს., აგრარული რეფორმა ჩინეთში, თბ., 1994 წ., გვ. 28;

II-38. საბაშვილი მ., ნიადაგმცოდნეობა, თბ., 1970 წ., გვ. 308;

II-39. სარჯველაძე ბ., სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება კოლხეთის დაბლობზე, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1969 წ., გვ. 119;

II-40. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიქსი, სახელმძღვანელო (რედ. ი. კრაველოვი), თბ., 1992 წ., გვ. 15;

II-41. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი „სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკური მელიორაცია“, სარწყავი სისტემების დაპროექტება, ნაწილი III – „შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის დაპროექტება“, თბ., 1991 წ.;

II-42. ურუშაძე თ., ლორია ვ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1999 წ.;

II-43. ქარქაშაძე ნ., მახარაძე ჯ., ციტრუსების ეკონომიკის ძირითადი საკითხები საქართველოში //სუბტროპიკული კულტურები, ანასეული, 1980წ., გვ. 28-30;

II-44. ქარქაშაძე ნ., დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა, “განათლება”, თბ., 1998 წ., გვ. 88-105;

II-45. ქემელაშვილი ო., სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, “საქართველო”, თბ., 1991 წ., გვ. 150;

II-46. ქემელაშვილი ო., ბიზნესის ორგანიზაცია, ჟურნ. “მნათე”, თბ., 1995 წ., გვ. 191;

II-47. ღვინჯილია მ., კოლხეთის დაბლობის ათვისების ეკონომიკური ეფექტიანობისა და აგროტექნიკის საკითხები, თბ., 1970 წ.;

II-48. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ., გვ. 132;

II-49. შონია ნ., საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1979 წ., გვ. 210;

II-50. ჩარკვიანი კ., კოლხეთის დაბლობის ათვისების საკითხისათვის, ჟურნ. “ეკონომისტი”, 12, თბ., 1985 წ., გვ. 43;

II-51. ჩხიკაშვილი ზ., დავიცვათ სოფლის მიმდებარე ტყეები, ჟურნ. “კვალი”, 1-2, 1999 წ., გვ. 20-21;

II-52. ჩხენკელი ივ., სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, “განათლება”, 1970 წ.;

II-53. ჩიკვაიძე თ., მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონომიკური პრობლემები, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1988 წ., გვ. 152;

II-54. ჩიქოვანი ო., კოლხეთის დაბლობის ამოშრობის ისტორია, თბ., 1982 წ., გვ. 16-21;

II-55. ჩერქეზიშვილი ტ., ტყის გაშენების წესები საქართველოში, თბ., 1996 წ., გვ. 160;

II-56. წერეთელი გ., გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები” “მეცნიერება”, თბ., 1987 წ.;

II-57. წიკლაური დ., სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება, “განათლება”, თბ., 1977 წ.;

II-58. ჭკუასელი გ., მცენარეთა დაცვის ეკონომიკა და ორგანიზაცია, “განათლება”, თბ., 1987 წ., გვ. 16;

II-59. ჩიტია ნ., კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები, ავტორეფერატი, თბ., 2000 წ.;

II-60. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი III, თბ., 2001 წ.;

II-61. ჯავახიშვილი შ., საქართველოს სსრ კლიმატოგრაფია, თბ., თსუ, 1977 წ., გვ. 237;

II-62. ჯიბუტი ა., აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის განვითარება, “მეცნიერება”, თბ., 1980 წ., გვ. 92;

II-63. ჰეჯესი ტ., ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია, თბ., 1997 წ.;

II-64. საქართველოს სოფლის მეურნეობა, “2003 წ. სტატისტიკური კრებული, თბ., 2004 წ.;

II-65. სალექციო მასალები:

ა) “წყლის მართვის ცენტრალიზაცია, წყლის მომხმარებელთა ასოციაცია” – მიგელ სოლანესი (რეგიონული მრჩეველი წყლის რესურსების კანონმდებლობის საკითხებში, ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის გამოყენება, ს.);

ბ) “კაპიტალური დანახარჯების დაფარვა, მსოფლიო ბანკის გამოცდილება ირიგაციის პროექტებში” – ანე მარი დე კასტელო;

გ) “წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციები და ირიგაციის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ფინანსური ასპექტები”, ჯეფრი სპენსერი და აშოკ სუბრამანიანი;

II-66. დამხმარე სახელმძღვანელო აგროკონსულტაციებისათვის, ნაწილი III, თბ., 2003 წ.;

II-67. მიწის კანონმდებლობა „საკუთრება, სარგებლობა, უფლების დადგენა, გასხვისება, გადასახადი“, თბ., 2002 წ.;

II-68. „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური განვითარების მოდელის ფორმირების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, თბ., 1992 წ., გვ. 124;

II-69. საქართველოს კოლხეთის დაბლობის მელიორაციული მიწების გაკულტურების სახელმძღვანელო, თბ., 1986 წ., გვ. 5;

II-70. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული დაგეგმის მეთოდოლოგია, თბ., 2001 წ.;

II-71. რეკომენდაციები კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების ათვისების შესახებ, თბ., 1978 წ.;

II-72. სამელიორაციო ასოციაციის სახელმძღვანელო ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტში მონაწილე ასოციაციებისათვის, ნაწილი II, თბ., 2002 წ.;

II-73. Аграрная программа, состояние и тенденции развития агропромышленного производства, М., 1992, с. 30;

II-74. Акрамов З., Проблемы эффективности капитальных вложений, Ташкент, 1973, с.176;

II-75. Андрейчук В., Эффективность использования производственного потенциала в сельском хозяйстве, М., 1983, с. 13;

II-76. Бакрадзе Д., Об определении экономической эффективности капитальных вложений в мелиорации.//Вопросы экономики, N10, 1963, с.145;

II-77. Биркая А., Методы мелиорации болот и заболоченных земель влажных субтропиков Колхиды, Тб., 1960, с. 229;

II-78. Брагинский А., Финансы мелиорации, М., 1969, с.143;

- П-79. ГПИ «Грузгипрозем», Кн.1: схема переувлажненных земель Колхидской низменности в новых границах, Тб., 1980;
- П-80. Емельянов А., Экономика сельского хозяйства, 1982, с.132;
- П-81. Вильямс В., Общее земледелие с основами почвоведения, М.,1931, с. 370;
- П-82. Вайнер М., Производственные фонды в колхозах и совхозах, 1972, с. 261;
- П-83. Журнал «Экономика советской Украины», N11, 1990, с.83;
- П-84. Зузик Д., Экономика водного хозяйства, М., 1966, с. 483;
- П-85. Зальцман А., Принципы интенсификации сельского хозяйства и методы ее экономической оценки, М., 1966, с. 60;
- П-86. Использование мелиорированных земель в некоторых зарубежных странах, М., 1980, с. 44;
- П-87. Канделаки Т., Проблемы промышленного освоения местных ресурсов – заменителей древесного сырья, «Сабчота Сакартвело», Тб., 1985;
- П-88. Кизилашвили Ш., Экономическая эффективность орошения и пути его повышения в ГССР, Автореферат докт. Диссертации, Тб., 1987, с.53;
- П-89. Колесников В., Экология и водные отношения Грузии, «Мецниереба», Тб., 1992;
- П-90. Костяков А., Основы мелиорации, М., 1951, с. 7-16;
- П-91. Козлова Т., Трегобчук В., Экономика мелиорации земель, «Колос», М., 1972, с. 57;
- П-92. Лич Г., Эффективность мелиорации, М., 1975, с. 52;
- П-93. Малишев И. Важнейшие проблемы социалистического воспроизводства. – М. – 1968. С. 58;
- П-94. Маслов Б., Нестеров И. Вопросы орошения и осушения в США, 1967, с. 319;
- П-95. Моцерелия А., Мелиорация и сельскохозяйственное освоение Колхидской низменности, «Колос», М., 1974, с. 15-19;

II-96. Моцерелия А., Почвы Колхидской низменности, их мелиорация и сельскохозяйственное освоение, Поти, 1966, с. 358;

II-97. Минводхоз ГССР - Осушение и освоение Колхидской низменности, Тб., 1974;

II-98. Народное хозяйство СССР в 1990 г., М., 1991, с. 468;

II-99. Нормативы капвложений в отраслях АПК, Справочник, М., 1986, с.415;

II-100. Нормативы удельных капитальных вложений на закладку чайных плантаций и субтропических культур и уход за молодыми насаждениями, М., 1986, с.14;

II-101. Осушение и освоение Колхидской низменности, Тб., 1974, с.141;

II-102. О'Делл, Грейсон Д. (младший), Американский менеджмент на пороге XXI века, «Экономика», М., 1991;

II-103. Оффенгенден С., Панадиани А. И др., Эксплуатация гидромелиоративных систем, «Госиздатселхоз литературы», М., 1956, с. 40-57;

II-104. Подобедов Н., Природные ресурсы земли и охрана окружающей среды, «Недра», М., 1985;

II-105. Пошкус Б., Формы хозяйствования в период перехода на рыночные отношения//Международный агропромышленный журнал, N3, 1991, с.3-9;

II-106. Предложения по совершенствованию планирования и эффективному использованию капитальных вложений в АПК, М., 1990;

II-107. Раскин Г., Эффективность использования фонда в орошаемом земледелии, М., 1976, с. 222;

II-108. Сергеев С., Воспроизводство и эффективность основных фондов в сельском хозяйстве, М., 1982, с. 250;

II-109. Трапезников В., Главный показатель, Газета «Известия», 1970, 17 февраля;

II-110. Уклеба Д., Антропогенные ландшафты Грузии, Тб., 1983, с.159;

П-111. Чаянов А., Основные идеи и формы организации крестьянской кооперации, М., 1991, с. 305;

П-112. Черемушкин С., Экономическая оценка земли, М., 1961, с.183.

დამშრობი სისტემების ტექნიკური მაჩვენებლები
(2005 წ. 01.01. მდგომარეობით)

№		განზომილების ერთეული	სულ	მათ შორის		კოლხეთის დაბლობზე
				მულ.დეპარტამენტის ბალანსზე	მუნიციპ. დაქვემდ.	
1.	დაშრობილი მიწები	ათ. ჰა	162,9	149,2	13,7	140,7
2.	წყალმიმღებები, დასურული და ღია ქსელები	ათ. კმ	23,66	2,6	21,06	2,78
3.	ჰ/ტ ნაგებობები	ცალი	2904	2164	740	1904
4.	დამცავი მიწის დამბა	კმ	429	334	95	329
5.	სატუმბი სადგურები	ცალი	51	15	36	41
6.	საექსპლუატაციო გზები	კმ	1080	974	106	480
7.	შენობა-ნაგებობები	ცალი	87	48	39	67


*) ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ყოფილი სამედიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

100 ჰექტარი ჭარბტენიანი მიწების რეაბილიტაციისათვის ჩასატარებელი აუცილებელი სამუშაოების სახეობები და მათი საორიენტაციო გაფასება (2004 წლისათვის საგარაუდოდ მოქმედი ღირებულებებით)

№	სამუშაოს სახეობა	მოცულობა	ღირებულება, ლარი		შენიშვნა
			ერთეულის	საერთო	
1	2	3	4	5	6
1.	ორნატების წმენდა	10900 მ	0,23	2507	
2.	წყალშემკრები და წყალგამანაწილებელი არხების მექანიზებული წმენდა (ℓ=30კმ)	10200 კ.მ	0,84	8568	
3.	ამოყრილი მიწის მასის მექანიზებული მოსწორება	10200 კ.მ	0,16	1632	
4.	საექსპლუატაციო გზების შეკეთება	800 მ	0,48	384	
5.	მილხიდების მოწყობა	8 ერთ.	800,0	6400	
6.	არხების ნიველირება	40000 მ	24,0	960	
7.	არხების კალაპოტისა და ბურბების ბუჩქნარისაგან წმენდა	25000 კ.მ	0,15	3750	
8.	მილხიდების წმენდა	8 ერთ.	15,0	3750	
9.	გაუთვალისწინებელი დანახარჯები	1 კა	50,0	5000	
		<i>ჯამი</i>		29321	
	დ ღ გ 20 %			5864	
ს უ ლ				35185	

*) ცხრილი შედგენილია ყოფილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ასოციაციების სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტრუქტურები




- - - - კოორდინაცია/თანამშრომლობა

— დაქვემდებარება

სამელიორაციო ასოციაციის სტრუქტურა

ასოციაციის მმართველი და აღმასრულებელი ორგანოებია:


- წევრთა კრება;
- წარმომადგენელთა საბჭო;
- გამგეობა;
- მართვის აღმასრულებელი ორგანო;
- სარევიზიო კომისია;
- შესყიდვების მართვის კომიტეტი¹
- მრჩეველთა საბჭო



----- ფუნქცია
 — დაქვემდებარება

¹ აუცილებელია მხოლოდ პროექტის მიერ დაფინანსებული ასოციაციებისათვის.

**ირიგაცია-დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციის
ფედერაციული მოწყობის სავარაუდო სტრუქტურა**



ირიგაცია-დრენაჟის სისტემის არხების პირობითი სტრუქტურა

მაგისტრალური არხი

